

178 /
1990 / 2

ISSN 0132-5981
გეორგიული
იურიდიკა

სამართვლოს იურიისტთა კავშირი

სახელმწიფო და სამართალი

390

SOCIETAS IURISTARUM GEORGIAE
CIVITAS AC IUS
EPHEMERIS SCIENTIFICO-ACTIVA

Борис Курашвили — Критическая фаза перестройки	3
Александр Анкваби — Понятие и признаки нетрудового (незаконного) дохода	16
Комментарий	
Аполлон Палиашвили — Некоторые вопросы рассмотрения уголовных дел в суде кассационной инстанции	23
Первые шаги в науке	
Мариам Цацанашвили — К юридической и политической природе ревкома Грузии	33
Официальный материал	
Указ Президиума Верховного Совета Грузинской ССР	39
Положение о дисциплинарной ответственности судей судов Грузинской ССР, об отзыве и досрочном освобождении судей и народных заседателей	40
Постановление Пленума Верховного Суда Грузинской ССР	50
Из истории парламентаризма в Грузии	
Учредительное собрание Грузии: продолжение обсуждения закона о гражданстве (стенографические записи)	53
Персоналии	
Георгий Ткешелнадзе — Тинатин Церетели	70



© „სახელმწიფო და სამართალი“, 1990 წ.

გადაეცა წარმოებას 19.02. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.03. 90 წ.
ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.
შეკვ. № 424 ტირაჟი 26.000 უგ 04436



გარდაქმნის კრიზიკული ფაზა

8. იქნება თუ არა დემოკრატია?

გარდაქმნის პოლიტიკაში გამოირჩევა, — უფრო ზუსტად კი მკაფიოდ უნდა გამოირჩეოდეს ორი ურთიერთდაკავშირებული, გადაკედობილი, მაგრამ სხვადასხვაგვარი ასპექტი: სოციალურ-პოლიტიკური და ორგანიზაციულ-პოლიტიკური. სოციალურ-პოლიტიკური ასპექტი ძვეს ალტერნატიული პოლიტიკური კურსების მარაოზე, ხოლო ორგანიზაციულ-პოლიტიკური — ალტერნატიული პოლიტიკური რეჟიმების მარაოზე.

პოლიტიკური კურსით გამოიხატება საზოგადოების მიზნები, პოლიტიკური რეჟიმით — მათი მიღწევის ორგანიზაციული საშუალებანი. კურსს, როგორც მიზნების გამოხატულებას, პრიორიტეტი აქვს რეჟიმის წინაშე, განაპირობებს რეჟიმს როგორც თავის საშუალებას. როგორც კურსია, ისეთი რეჟიმია. მაგრამ ამ სუბორდინაციაში რეჟიმი ინარჩუნებს იმ „პრივილეგიას“, რომ, თუ არასწორად არის განსაზღვრული და უხეიროდ ხორციელდება, შეიძლება დაღუბოს და დაასამაროს ნებისმიერი, ყველაზე გონივრული კურსიც კი.

ყოველგვარი პოლიტიკური რეჟიმი წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთ-მოქმედების ორგანიზაციის ორი პოლარულად საწინააღმდეგო პრინციპის — ავტორიტარულობის (ცალმხრივი მბრძანებლურობის, კანონებისა და განკარგულებებისადმი უპირობო, უსიტყვო მორჩილების, მკაცრი დისციპლინისა და პასუხისმგებლობის) და დემოკრატიზმის (მხარეთა თანასწორუფლებიანობის, მათი შეთანხმების, არჩევანის თავისუფლების, თვითმმართველობის) ამა თუ იმ შეხამებას. პრაქტიკულად შეუძლებელია ერთი პრინციპის რეალიზაციის ფორმებს პირწმინდად მოკლებული და მხოლოდ მეორე პრინციპის რეალიზაციის ფორმაზე აგებული რეჟიმები. ანდა ასეთი რეჟიმები შესაძლებელია როგორც ანომალიური, საზოგადოებისათვის დამანგრეველი და ამიტომ ეფემერული. ფაქტობრივად თითოეულ რეჟიმში ჭარბობს ესა თუ ის მხარე, მაგრამ მის მაწონასწორებელ მხარესაც აქვს გარკვეული, სავსებით სერიოზული მნიშვნელობა.

კონკრეტული პოლიტიკური რეჟიმის ანალიზის დროს უპრიანია გამოვიყენოთ მათი ზოგადი ტიპოლოგია, თვისებრივი სკალა, რომელიც შეიცავს ექვს ობიექტურად შესაძლებელ რეჟიმს. აი ისინი: 1) ტოტალიტარული (მეტისმეტად, დამახინჯებულად ავტორიტარული, ჩვეულებრივ ტერორისტული, ტირანული) რეჟიმი; 2) მკაცრად ავტორიტარული; 3) ავტორიტარულ-დემოკრატი-

დასასრული. დასაწყისი იხ. „სახელმწიფო და სამართალი“, 1990, № 7.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. იცნაუბ.
ბ. გ. ლ. ი. თემა

ული; 4) დემოკრატიულ-ავტორიტარული; 5) ფართო-დემოკრატიული; 6) ანარქო-დემოკრატიული (მეტისმეტად, დამახინჯებულად დემოკრატიული, ნებაზე მიმშვები რეჟიმი, რომელიც იწვევს საზოგადოებრივი ცხოვრების დეზორგანიზაციას, ქაოსს, რის შემდეგ, როგორც ერთადერთი პრაქტიკული გამოსავალი, ყველაზე ხშირად ჩნდება ტოტალიტარული ან უკეთეს შემთხვევაში მკაცრად ავტორიტარული რეჟიმი).

პოლიტიკური კურსებისაგან განსხვავებით, პოლიტიკური რეჟიმები არა მარტო სახელწოდებით, არმედ შინაარსითაც, თავიანთი ფორმებითა და მეთოდებით ძირითადად ერთი და იგივე არიან როგორც კაპიტალისტურ, ისე სოციალისტურ სამყაროში. ფუნდამენტური ფაქტი ის არის, რომ მსგავსი პოლიტიკური რეჟიმები ემსახურებიან საწინააღმდეგო საზოგადოებრივ სისტემებსა და მათს პოლიტიკურ კურსებს. პოლიტიკური რეჟიმების შედარებით დამოუკიდებლობა იმის ნიადაგს ქმნის, რომ სოციალიზმმა გამოიყენოს კაცობრიობის მიერ გამოიმუშავებული მთელი დადებითი ორგანიზაციული მემკვიდრეობა, დაწყებული, ვთქვათ, ძველი ათენის დემოკრატიის გამოცდილებით და დამთავრებული თანამედროვე პარლამენტარიზმის გამოცდილებით. ამ სარბიელზე, მართლაც რომ ძნელია აღმოაჩინო პრინციპულად ახალი რამ. ასეთი ცდებიდან ყველაზე ხშირად გამოდის ბალღური ორიგინალობა, რომელსაც ცხოვრება დასცინის. — გაცილებით უფრო გონივრულია მუყაითი მოწაფეობა.

ზოგიერთი პუბლიცისტი გარდაქმნის უდავო მომხრეთაგან საჭიროდ მიიჩნევს დიქტატურას, იმას, რომ შეიქმნას, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ანალოგიით, საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი, რომელიც განახორციელებს გარდაქმნას, შემდეგ კი კარს გაუღებს დემოკრატიას. რა თქმა უნდა, თუ საქმე მივა ანარქო-დემოკრატიულ რეჟიმამდე, რომელსაც შეიძლება ეწოდოს აგრეთვე დემოკრატიული ქაოსი, დიქტატორული ხსნის საკითხმა შეიძლება შეიძინოს აქტუალურობა. მაგრამ საეჭვოა დამაჯერებელი იყოს ზოგადი მსჯელობა, შემთხვევით როდია, რომ ასე დიდხანს — საუკუნეთა მანძილზე — დასავლეთის ქვეყნები დემოკრატიისაკენ მიდიოდნენო, საბჭოთა ხალხს ასე ცოტა აქვს საკუთარი დემოკრატიული ტრადიციებიო, და ა. შ. არ არის იმის მიზეზი, რომ პანიკას მივეცეთ და ხსნა დიქტატურაში ვეძებოთ. თუ ობიექტურად საჭიროა, ხალხი სწრაფად სწავლობს დემოკრატიას. მით უმეტეს ისეთი ხალხი, როგორც საბჭოთა ხალხია. ჩვენს წინაშე უკვე არის საბჭოთა ხალხის დემოკრატიული სიმწიფის ფაქტები, რომელმაც სკეპტიკოსთა ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

მთელი საქმე ის არის, რომ ხალხის დემოკრატიული პოტენცია, რომელიც უკვე ახლა უდიდესია და რომელსაც სწრაფი განვითარების უნარი აქვს, წარემართოთ ახალი სოციალიზმის აღმშენებლობის კალაპოტი. მემარცხენეცენტრისტული პოლიტიკური კურსის მიღება და რეალიზაცია იქნება ასეთი კალაპოტი. ეს კურსი უზრუნველყოფს საუკეთესო, ყველაზე ფართო, იშვიათ შესაძლებლობებს სოციალური კონსენსუსისათვის, და მაშასადამე — არც ჩვენს ქვეყანაში, არც საერთოდ სოციალიზმის დროს ჯერ არნახული ფართოდემოკრატიული რეჟიმისათვის. ვერც ერთ სხვა პოლიტიკურ კურსს ვერ დავუკავშირებთ მტკიცედ გაშლილ დემოკრატიას, ყველა დანარჩენი კურსი გამოიწვევს უფრო აქტიურ და (ან) უფრო მასობრივ უარყოფას მარჯვნიდან თუ მარცხნიდან და ამიტომ მოითხოვს უფრო ავტორიტარულ რეჟიმებს. რამდენა-



დაც ფართო-დემოკრატიული რეჟიმი წარმოადგენს არა უბრალოდ პოლიტიკის რეალიზაციის საშუალებას, არამედ დამოუკიდებელ ღირებულებასაც (რასთანასწორობაზე უტკბები? უთანასწორო შებღალღლისათვის, ალბათ, თანასწორობა), ეს დამატებითი არგუმენტია მემარცხენეცენტრისტული კურსის სასარგებლოდ. მისი მიღება საზოგადოებას მისცემს ორმაგ მოგებას: მიზნებშიც და რეჟიმშიც.

სახელმწიფო სისტემა უნდა შეიცვალოს ისეთნაირად, რომ, ერთი მხრივ, დაიხვეწება მისი შინაგანი სტრუქტურა და დინამიკა და ამით გაიზრდება მისი თითოეული ქვესისტემის სპეციფიკური წვლილი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებაში, ხოლო მეორე მხრივ — სულ უფრო გამოიკვეთება თითოეული ქვესისტემის ურთიერთდამოკიდებულება, მათი შემაწონასწორებელი როლი, თითოეული ქვესისტემის მიერ სხვა სისტემათა სასარგებლო აქტიურობის სტიმულირება და უსარგებლო აქტიურობის შეკავება, ამასთან საქმე შეიძლება იქამდეც მივიდეს, რომ მათ საშუალება არ მისცენ ერთმანეთს დაიჩემონ მეტისმეტი ძალაუფლება, სცადონ დაამყარონ საკუთარი ერთმმართველობა. ეს არის „ძალაუფლების განაწილების“ არსი. ძალაუფლების განაწილება ძალაუფლების დემონოპოლიზაციაა, და მხოლოდ მას შესწევს უნარი დაიცვას ძალაუფლების „მომხმარებლები“ — საზოგადოება და თითოეული მოქალაქე მათი უფლებების, თავისუფლებისა და კანონიერი ინტერესების გათვლისაგან.

ამ დროისათვის გარდაქმნამ ყველაზე მეტად წინ წაიწია წარმომადგენლობითი სისტემის ჩამოყალიბების ნაწილში. შეველიეთ, როგორც იქნა, ილუზიას, რომ საბჭოები, რომლებიც წელიწადში ორჯერ იკრიბებოდნენ ორსამდლიან სესიაზე და არ სწყვეტდნენ დებუტატებს ძირითად სამუშაოს, აერთიანებენ უშუალო დემოკრატიის უპირატესობებსა და პარლამენტარიზმის უპირატესობებს. სინამდვილეში ეს უპირატესობანი იკარგებოდა. არ ყოფილა არც უშუალო დემოკრატიის უპირატესობანი (მის ნაცვლად იყო არაკონკურენტული არჩევნები, არ გამართულა არც ერთი რეფერენდუმი), არც სრულფასოვანი პარლამენტარიზმი (იყო მხოლოდ ერთსულოვანი დამტკიცებისა და მოწონების გამართული მექანიზმი, „მხარდაჭერის დემოკრატია“). ახლა არის პარლამენტარიზმი, იქნება, უნდა ვიფიქროთ, არა მარტო კონკურენტული არჩევნები, არამედ რეფერენდუმებიც (საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური, ადგილობრივი). მართალია, ეს-ეს არის შობილი პარლამენტარიზმი ჯერჯერობით დეფორმირებულია ზედმეტი წანაზარდებით — სახალხო დებუტატთა ყრილობითა და „საზოგადოებრივი კურიით“. მაგრამ მრავალ მოკავშირე რესპუბლიკას ჰყოფნის საღი აზრი უარყოს რესპუბლიკურ დონეზე ორივე ეს ინსტიტუტი.

იგივე ეხება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, როგორც სახელმწიფოს ერთპიროვნული მეთაურის, თანამდებობას. პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს პრეზიდენტის ძალაუფლების ეკვივალენტური ძალაუფლება, იმყოფება არა პარლამენტგარეთ და მისი კონტროლის ქვეშ, არამედ პარლამენტის, ის კი არა, სახალხო წარმომადგენლობის შემადგენლობაში და სათავეში. აქ ისევ ვხედავთ ელემენტარული დემოკრატიის გადახვევას. როგორც ჩანს, დამყარდება ნორმალური საპრეზიდენტო ხელისუფლება, ძალაუფლებას გაინაწილებენ პრეზიდენტი, რომელიც ადმინისტრაციული სისტემის მეთაური, გენერალური ხელმძღვანელია, და სახალხო წარმომადგენლობა, რომელიც

მელიც ამგვარ ხელმძღვანელობას არ საჭიროებს. ამ წყვილში სახალხო მომადგენლობას აქვს უპირატესი უფლებამოსილებანი: იგი გამოსცემს კანონებს და იღებს პრეზიდენტისათვის სავალდებულო გადაწყვეტილებებს. მაგრამ პრეზიდენტიც აწონასწორებს პარლამენტის უფლებამოსილებებს იმით, რომ შეუძლია მის გადაწყვეტილებებს დაადოს გადადებითი ვეტო, რომელიც დაიძლევა პარლამენტართა ხმების არა უბრალო, არამედ კვალიფიციური უმრავლესობით. საქმე, უტყობა, მიდის არა მარტო იქითკენ, რომ ჩვენში შეიქმნას საპრეზიდენტო ხელისუფლება მრავალპარტიულობის პირობებში, არამედ იქითკენაც, რომ პრეზიდენტი უშუალოდ აირჩიოს მოსახლეობამ კონკურენტულ არჩევნებში.

გარდაქმნის ყველაზე რთული და მწვავე პრობლემა ადმინისტრაციული სისტემის პრობლემა. მან ჯერჯერობით გარდაქმნისაგან თავი გამოისყიდა იმით, რომ 30-40 პროცენტით შეამცირა შტატები (ფაქტობრივად გადაისროლა კადრები მეტწილად აპარატის სხვადასხვა „საშუალო“ რგოლში) და ორნახევარი ათეულით შეკვეცა უწყებათა რიცხვი საკავშირო დონეზე, ამასთან პირობა დადო, რომ შეცვლიდა, ფაქტობრივად კი ხელუხლებელი დატოვა დარჩენილი ორმოცდაათი უწყების ფუნქციები.

ადმინისტრაციული სისტემის გარდაქმნის პრობლემებს არ შეიძლება ვწყვეტდეთ ადმინისტრაციულ სისტემაში არსებულ ბიუროკრატიულ დამახინჯებათა ემოციურად საცხებით გამართლებული, მაგრამ ვულგარული კრიტიკის ტალღაზე, თავისებური „ადმინისტრაციული ლუდიზმის“ ატმოსფეროში: დასაცხე სამინისტროებს, გარეკე აპარატი, გაუმარჯოს ჩინოვნიკობისაგან თავისუფლებას! აჰ, იგი მაინც საჭიროა? მაშ მოდიეთ დავუქვემდებაროთ ზოგიერთი უწყება უშუალოდ უზენაეს საბჭოს, ან სულაც „სრულძალაუფლებიან“ სახალხო დეპუტატთა ყრილობას. არსებითად ეს არის ზოგიერთი უბიწო — არაპროფესიონალი პოლიტიკოსის ჭაბუკური მაქსიმალიზმი.

„ადმინისტრაციული ლუდიზმი“ ყველაზე მოკლე გზაა იმისა, რომ მოვახდინოთ საზოგადოებრივი ცხოვრების დესტაბილიზაცია, მოვშალოთ იგი, მივიყვანოთ იმ მდგომარეობამდე, როცა დიქტატურა, რომელიც ეს-ეს არის განადგურებული, მაგრამ დიდი-დიდი, ახალი სახელწოდებებით აღდგენილი უწყებების ხელით ხორციელდება, ხდება გარდაუვალი როგორც ქაოსისაგან ხსნის ერთადერთი საშუალება. როგორც ბრალო, ისეთი მისაგებელია. თავისას მიიღებენ, დამსახურებულადაც, სახალხო წარმომადგენლებიც, დიქტატურა დასასჯურისებს მათ, დააბრუნებს წინანდელ დეკორატიულ მდგომარეობაში. და მაშინ ისინი საკუთარი მწარე გამოცდილებით მიხვდებიან, რომ არჩეული იყვნენ არა ადმინისტრაციული აპარატის გასანადგურებლად, არამედ მისი ღრმა ფუნქციურ-სტრუქტურული გარდაქმნისა და საიმედო „დისტანციური“ ფლობისათვის. მას უნდა ფლობდე, მაგრამ ასე, რომ არ ართმევდე დამოუკიდებლობას. ეს იქნება არარეალური და მავნე წამოწყება.

როცა სტიმულს ვაძლევთ და ვიყენებთ პროფესიულ აპარატს, რასაკვირველია, უნდა ვითვალისწინებდეთ იმას, რომ მას ადვილად ეყრება პროფესიული სენი — ბიუროკრატიზმი, თუ ამ სიტყვას აქსიოლოგიურად ნეიტრალური კი არა, ნეგატიური მნიშვნელობით ვიხმართ. „ადმინისტრაციული“ და „ბიუროკრატიული“ სინონიმები არ არის. ყოველი მოხელე ან დიდი თანამდებობის კაცი ბიუროკრატი როდია. იდეალში ადმინისტრაციული აპარატი შეიძლება თავისუფალი იყოს ბიუროკრატიზმისაგან. ~~ხოლო~~ მოხელე, დი-



დი თანამდებობის კაცი შეიძლება პატიოსან, უდიდესი სარგებლობის მომტან მშრომელად მოგვევლინოს. ბიუროკრატიაში აქ იწყება, სადაც აპარატი, დიდი თანამდებობის კაცი, მოხელე უგულებელყოფენ საზოგადოებრივ ინტერესებს, რომელთა გულისათვის არსებობენ და ხელფასს იღებენ, და მათ მეორე ადგილზე აყენებენ საკუთარ ინტერესებთან შედარებით. აპარატი შეიძლება იყოს ჯანსაღი, ბიუროკრატიაზეულის, ესე იგი ბიუროკრატიაში მეტნაკლებად ღრმად და ფართოდ, მაგრამ არა უიმედოდ შეპყრობილი, და ბიუროკრატიაში, ესე იგი ისეთი, პრაქტიკულად მთლიანად რომ უღალატა თავის სოციალურ დანიშნულებას.

გარდაქმნას უპირისპირდება მთლიანად ბიუროკრატიაზეული, ცალკეულ რგოლებში კი სრულიად გადაგვარებული, ბიუროკრატიაში აპარატი. მდგომარეობას ართულებს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში გაძლიერებული ტექნოკრატია ტენდენციები, აშკარად ჩანს სინდრომი, რომელსაც ტექნოკრატიაში ეწოდა. როგორ ვებრძოლოთ მას? მკაცრი და შეუწყობელი კონტროლით, რომელიც აპარატის საქმიანობის საბოლოო შედეგებს უნდა დაუწესონ უზენაესი საბჭოს კომიტეტებმა და კომისიებმა, ცალ-ცალკე თითოეულმა დებუტატმა, და სახალხო კონტროლის კომიტეტმა, რომელიც გამოყოფილია დანარჩენი აპარატისაგან, უპირისპირდება მას და უშუალოდ ექვემდებარება სახალხო წრემომადგენლობას. მას, ეტყობა, ჯერ კიდევ არ ესმის, რა იარაღი ჩაეარდნია ხელში და როგორ გამოიყენოს იგი.

სახალხო წრემომადგენლობის ნამდვილად სერიოზული ამოცანა, რომლის გადაწყვეტას იგი ვერა და ვერ შესდგამია, ის არის, რომ მოახდინოს სამთავრობო სისტემის რეფორმა, რამეთუ თავისი ფენომენალური ინერციულობისა და ბიუროკრატიაში ტრადიციების გამო ეს სისტემა, როგორც მრავალი რეორგანიზაციისა და ახლანდელი გარდაქმნის გამოცდილებამ გვიჩვენა, სრულიად მოკლებულია თვითრეფორმირების უნარს. ამ რეფორმის პრინციპი ის არის, რომ სოციალისტური სამოქალაქო საზოგადოების თავისთავადობას, შედარებით დამოკიდებულებას, მასში თვითრეგულაციის მექანიზმების კონსტრუქციულ მოქმედებას, სახელმწიფო მმართველობის დეცენტრალიზაციას, საწარმოო და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას შეესაბამება მხოლოდ მაქსიმალურად ფართო სპეციალიზებული — და, მაშასადამე, რიცხობრივად ნაკლები — დარგობრივი და დარგთშორისი („ფუნქციური“) უწყებების სისტემა.

საგნობრივად რომ წარმოიდგინოთ, თუ რას ნიშნავს ეს, გააცნობთ იმ საჭირო ფართოდ სპეციალიზებული უწყებების სანიმუშო ნუსხას, რომელთა ხელმძღვანელებისაგან შედგება სსრ კავშირის მთავრობა. სახალხო მეურნეობაში — ათი: სახელმწიფო საგემო კომიტეტი, ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, სამინისტროები: სახალხო მეურნეობის (დასახელება პირობითია, ფაქტობრივად იგი გაუძღვებოდა მატერიალური წარმოების მეტ ნაწილს — მრეწველობას, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობას), სათბობის და ენერგეტიკული მრეწველობისა, თავდაცვითი მრეწველობისა (ჯერჯერობით საჭიროა შევინარჩუნოთ იგი შედარებით განცალკევებულ დარგად), ტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობის და კავშირგაბმულობისა, ფინანსების, მომარაგების და ვაჭრობისა, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობისა. სოციალურ-კულტურულ სფეროში — ხუთი: განათლებისა და მეცნიერების, ინ-

ფორმაციისა და კულტურის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის ხელმწიფო კომიტეტები, ჯანმრთელობის დაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროები. საკუთრივ პოლიტიკურ სფეროში — სამი: საგარეო საქმეთა, თავდაცვის სამინისტროები, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი. სულ 18. იქნებოდა ნორმალური მთავრობა, რომელსაც სათავეში ეყოლებოდა თავმჯდომარე და მისი ერთი-ორი მოადგილე.

შემოთავაზებულ ნუსხაში ბოლომდე არ არის გამოყენებული მმართველობის დარგების გამსხვილების ერთი რეზერვი. არსებითად „სახალხო მეურნეობის სამინისტროში“ შეიძლება გაგვეერთიანებინა მატერიალური წარმოების ყველა დარგი, მათ შორის ტრანსპორტი, სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობა, თავდაცვითი მრეწველობა, კომუნალური მეურნეობა და კავშირგაბმულობა. მაშინ ოთხი სამინისტროთი ნაკლები იქნებოდა. საწარმოთა დამოუკიდებლობა ამით მხოლოდ მოიგებდა. მაგრამ საზოგადოება, ალბათ, წააგებდა. ამ ოთხ დარგში, მატერიალური წარმოების „დანარჩენი“, ჰარბი ნაწილისაგან განსხვავებით, ძნელია ან შეუძლებელია საკმარისი სისრულით მოვახდინოთ წარმოების დემონოპოლიზაცია და ამით საწარმოები მომხმარებლისა და, მაშასადამე, საზოგადოებისათვის ხელსაყრელი მკაცრი კონკურენციის მდგომარეობაში ჩავაყენოთ. აქ უფრო მეტად საჭიროა სახელმწიფოს ჩარევა წარმოების ორგანიზაციისა და სამეურნეო ურთიერთობაში, უწინარეს ყოვლისა დაგეგმვასა და ფასწარმოქმნაში. საჭიროა ან ტრადიციული დირექტიული დაგეგმვა (ფარისევლური „სახეკვეთებით“ შეუნიღბავი სავალდებულო დავალებანი), ან მისი უფრო მოქნილი და რბილი ფორმა, შეზღუდულად დირექტიული დაგეგმვა (ზემდგომი ორგანოს მიერ საწარმოთა დამოუკიდებლად შემუშავებული გეგმების დამტკიცება). მაშასადამე, გვეჭირდება შედარებით ვიწროდ სპეციალიზებული უწყებები. საჭირო იქნება სავალდებულო სახელმწიფო ფასებიც, რადგან ბაზარზე მონოპოლისტთა ყაჩაღობის დათრგუნვის სხვა გზა არ არსებობს.

სხვა მხრივ, მატერიალური წარმოების ჰარბი ნაწილიც კი შეიძლება დასჯერდეს „რეგულაციურ“ დაგეგმვას, რომლის დროსაც სახელმწიფო თავისთვის განსაზღვრავს მწარმოებლებზე ეკონომიკური ზემოქმედების მიმართულეებს (ასიგნებანი, ღოტაციები, კრედიტები, საგადასახადო შეღავათები და სხვ), რათა მიაღწიოს საჭირო ცვლილებებს წარმოების სტრუქტურაში და ბაზარზე, თანაც ისე, რომ არავითარ სავალდებულო მითითებებს არ აძლევდეს საწარმოებს. მაგრამ ამავე დროს საწარმოები რეგისტრაციაში უნდა ატარებდნენ თავიანთ საწარმოო გეგმებს — უბრალოდ იმისათვის, რომ სახელმწიფომ იცოდეს, რა პროცესები შეიძლება განვითარდეს მეურნეობაში ამა თუ იმ საგეგმო პერიოდის განმავლობაში. ვგონებ, აქაც საჭირო იქნება ფასების გარკვეული, უფრო მოქნილი სახელმწიფო კონტროლი და წმინდა კონიუნქტურული წყაროების მქონე მეტისმეტი შემოსავლის „ჩამოჭრა“ პროგრესული დაბეგვრის საშუალებით.

სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის, ისევე როგორც საერთოდ გარდაქმნის პირველი ოთხი წლის ეკონომიკური პოლიტიკის, კონფუზური ჩაფუშვა, რაც არა და არ სურთ ალიარონ, ბევრად იმით აიხსნება, რომ არ უნდოდნათ დაენახათ სხვადასხვა დარგობრივი კუთვნილების საწარმოების, როგორც მმართველობის ობიექტების, სპეციფიკა და შეაკოწიწეს სავალდებულო „სახელმწიფო შეკვეთების“ „უნივერსალური“ სისტემა, რომლითაც იფარებოდა იმ სურვილის უქონლობა, რომ შეღწეოდნენ მმართველობის ძველ სისტე-

მახ. იყო „სრული“ სამეურნეო ანგარიშის ნოვაციებიც. ისინი ვერ შეითავსა დაგეგმვის სისტემამ, და ამას მოჰყვა წარმოების საერთო დეზორგანიზაცია, ინფლაცია, ბიუჯეტის დეფიციტის ნახტომისებური ზრდა, შრომის ნაყოფიერების რეალური ზრდასთან და ბაზრის მდგომარეობასთან დაუკავშირებელი ხელფასის მატება. მეცნიერთა გაფრთხილების მიუხედავად ეკონომიკურ პოლიტიკაში დაშვებული უადრესად უხეში ხარვეზები ახლა უნდა გამრასწოროს კანონმა სოციალისტური საწარმოოს შესახებ (იგი ერთიანია ყველა ტიპის საწარმოებისათვის).

საკავშირო უწყებათა მოჩვენებითი კი არა, სერიოზული და რადიკალური გამსხვილების ბუნებრივი შედეგი იქნება ის, რომ მათ, როგორც წესი, უშუალოდ აღარ დაექვემდებარებიან საწარმოები და სხვა ორგანიზაციები. მაშასადამე, თითქმის ყველა ისინი დაექვემდებარებიან შესაბამის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს (თითქმის იმავე წყლებით). ეს მმართველობის ორგანოებს დაუახლოებს საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებს და ორივე მხარისათვის ხელშემწყობ პირობებს შექმნის. ასეთი სიახლოვისაგან ვნება არ მიადგება საწარმოო ორგანიზაციათა დამოუკიდებლობას, რადგან ეს უკანასკნელი ერთი და იგივე რჩება იმის მიუხედავად, სად იმყოფება მათი ზემდგომი ორგანო — ცენტრში თუ უფრო ახლოს. ამავე დროს ეს შექმნის, ბოლოს და ბოლოს, პირობებს, რომ ჩამოყალიბდეს ტერიტორიული საწარმოო კომპლექსები, რომლებიც დაექვემდებარებიან ერთიან მმართველობას (ახლა იგი განაწილებულია ძალაუფლებიან ცენტრსა და უძალაუფლებო ადგილებს შორის.)

ცენტრალური უწყებანი საერთო წესით უხელმძღვანელებენ თავიანთ დარგებს მხოლოდ და მხოლოდ ერთი და იმავე დასახელების რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, ხოლო კავშირის მთავრობა — რესპუბლიკებსა და ადგილებს მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკური მთავრობების და, შემდეგ, საოლქო და რაიონული დონის ადმინისტრაციული საბჭოების მეშვეობით. განხორციელდება „ორმაგი“ დაქვემდებარების დემოკრატიული სისტემა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული აპარატის პრაქტიკულად ყველა არასაკავშირო რგოლი დაექვემდებარება ვერტიკალურ ცენტრს, პორიზონტალურ — შესაბამის საბჭოს, რესპუბლიკურ მთავრობას, ადგილობრივ ადმინისტრაციულ საბჭოს. ეს სისტემა იძლევა იმის საუკეთესო შესაძლებლობებს, რომ პარამონიულად შევუხამოთ ერთმანეთს ცენტრის, რესპუბლიკებისა და ადგილების უფლებამოსილებანი, განვახორციელოთ ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და შევაწონასწოროთ იგი ცალკეულ ეროვნულ-ტერიტორიულ და ტერიტორიულ ერთობათა სპეციფიკური ინტერესებით.

სახალხო საწარმოებისათვის მაქსიმალური დამოუკიდებლობის მინიჭება, მათი ჩაბმა ძველ და ახალ კოოპერატივებთან ერთად კონკურენტულ ეკონომიკაში და ადმინისტრაციული აპარატის ძირეული რეორგანიზაცია ერთი მედლის ორი მხარეა. ისინი განუყრელად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ერთის შეცვლა მეორის პირობაა. ამიტომ ისინი ერთსა და იმავე დროს უნდა მოვახდინოთ. როცა გარდაქმნის კონსტრუქტორებმა 1987 წელს „მეთხედის“ ფორმით პირველი ღონისძიება განახორციელეს, მერე კი ორი წლის შემდეგ, „მერვედის“ ფორმით — მეორე ღონისძიება, მათ დიდი, მიუტევებელი სტრატეგიული შეცდომა დაუშვეს. მოინდომეს გაცურებინათ ისტორია, „ყველაფერი გაეუმჯობესებინათ ისე, რომ არაფერი არ შეეცვალათ“ — და ქვეყა-

ნაც, საკუთარი თავიც უძნელეს, კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენეს, გარდაქმნის შედეგებით თანაბარზომიერი და წარმატებული განვითარების შესაძლებლობა სამუდამოდ დაიკარგა 1987 წელს. ახლა გარდაქმნა უნდა განვაგრძოთ უკიდურესი არასტაბილურობის პირობებში. მაგრამ მაინც უნდა განვაგრძოთ სხვა გზა არ არის.

არასტაბილურობის, იმ საგანგებო ღონისძიებათა პირობებში, რომლებიც ეკონომიკურ სფეროში და აქა-იქ ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში ხორციელდება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკონტროლო სისტემის, მათ შორის სასამართლოების, საქმიანობა. საერთოდ იგი ნორმალურ პირობებშიც კი მასტაბილიზებელი ფაქტორია. ექსტრაორდინარულ პირობებში მას ჩვეულებრივ არ შესწევს უნარი გარდატეხოს მოვლენათა არასასიკეთო მიმდინარეობა; საამისოდ საჭიროა ღრმა პოზიტიური, კონსტრუქციული ღონისძიებანი, მაგრამ ეს ღონისძიებანიც კი, თუ საკონტროლო სისტემის გადიდებულ აქტიურობას არ ეყრდნობა, ხშირად იფუშება. გარდაქმნას ამ დარგში ორი ძნელად შეთავსებადი ამოცანა აქვს: საფუძველი ჩაუყაროს საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის გენერალური ტენდენციის შესაბამის საკონტროლო სისტემას და ამავე დროს გამოიყენოს ეს ახალი სისტემა, რათა მიიღოს ექსტრაორდინარული, ჩვეულებრივ მკაცრი და სასტიკი, ზომები. ამ საკითხის უფრო კონკრეტულად განხილვის საშუალება აქ არა გვაქვს.

ასეთია ძირითადად ცვლილებანი სახელმწიფო მექანიზმში, რომლებიც შესაბამეობა გაშლილი დემოკრატიული რეჟიმის პრინციპებს და შეიძლება გახდეს მემარცხენეცენტრისტული კურსის განხორციელების საშუალება და მისი ორგანიზაციული გარანტია. მაგრამ ეს არ კმარა. სსრ კავშირში ყველაფერს ფედერალური მომენტი ართულებს. ახალი სოციალიზმი შეუძლებელია, თუ არ იქნება ახალი ფედერალიზმი — არა მკაცრი, უნიტარულობისაკენ გადახრილი, არამედ რბილი, მოქნილი, რომელიც ესაზღვრება კონფედერალიზმს, მაგამ უარყოფს ამ უპერსპექტივო გადაქცევას. ვცადოთ განვიხილოთ პრობლემა არჩევანისა, რომელიც აქაც უნდა მოვახდინოთ.

4. სეპარაცია თუ ფედერაცია?

არ შეიძლება არ დაეთანხმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის სექტემბრის პლენუმის მიერ მიღებულ პლატფორმას ეროვნული პოლიტიკის საკითხებზე ეროვნებათშორისი ურთიერთობის უკიდურესი გამწვავების, ნამდვილი კრიზისის მიზეზთა ანალიზში. მემკვიდრეობა მართლაც, რომ მთლად სასიკეთო არ არის, ცალკეულ მომენტებში კი, განსაკუთრებით მთელი ეროვნებების დეპორტაციასთან დაკავშირებით, რომლებიც დღემდე ვერ ელირსნენ მშობლიურ მიწა-წყალზე თავიანთი უფლებების აღდგენას, სულაც უკეთურია. სავესებით მართებულია აგრეთვე პლატფორმაში გამოთქმული აზრი, რომ არახელსაყრელი ფაქტორები წარმოადგენდა დისონანსს მეტწილად სწორ პოლიტიკაში, რომელშიც შეხამებული იყო ზრუნვა ყველა, უწინარესად, ყველაზე ჩამორჩენილი და დაჩაგრული ერის აღორძინება-განვითარებისა და მათი ინტერნაციონალური ძმობა-თანამშრომლობისათვის.

ეროვნული კრიზისი წარმოიქმნა და ვითარდება როგორც საბჭოთა სოციალიზმის საერთო კრიზისის — ეკონომიკური, პოლიტიკური, ზნეობრივი კრიზისის შემადგენელი ნაწილი. სოციალისტურ საზოგადოება თავისდა სამარცხვინოდ რასიზმს და ეროვნულ სეგრეგაციასაც კი მოესწრო. ზოგან ამ

სეგრეგაციამ ველური ფორმები შეიძინა — ხდება მკვლელობა, ცეცხლის წაქიშება, გაჩნდა ასეულათასობით ლტოლვილი. ზოგან ვხვდებით თითქოსდა ცივილიზებულ, არსებითად კი არაეთიკურ ფორმებს — ჯერჯერობით ძალდაუტანებლად „აძევებენ“ „მიგრანტებს“, ეწევიან მათს იურიდიულ დისკრიმინაციას (ბინადრობის ცენზი და სხვ.), უქმნიან საერთო დისკომფორტსა და მომავლის ურწმუნოების ატმოსფეროს.

ეროვნული კრიზისის უშუალო მიზეზი გახდა ეროვნული შეგნების ავადმყოფობა. მაგრამ მთელი საქმე ის არის, თუ როგორია ამ უშუალო მიზეზის უფრო ღრმა ფესვები. ეს ფესვები უმთავრესად უნდა ვეძიოთ არა შედარებით შორეულ წარსულში (თუმცა ისინი, რა თქმა უნდა, იქაც არის), არამედ მის უნიკო და უხეირო მშენებლობაში, იმაში, რომ მთელი სამიოთხი ათწლეულით დაგვიანდა ტოტალიტარული დამახინჯებით დამძიმებული საგანგებო, მობილიზაციური სოციალიზმიდან ნორმალურ, დემოკრატიულ სოციალიზმზე გადასვლა. არა საკუთრივ ეროვნულ სფეროში, ეროვნულ ხასიათში და ა. შ., არამედ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში. არა გარდაქმნაში, თუმცა მასშიც, რადგან თავისი ოთხი წლიდან ორ წელიწადს იგი ბევრ რამეს გვპირდებოდა, მომდევნო ორ წელიწადს კი სანახევრო „მეოთხედ“, „მერვედ“ ზომებს სჯერდებოდა, რომლებმაც ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება და ხალხის ლამის უმრავლესობის საერთო მწვავე იმედგაცრუება გამოიწვიეს.

თავისი როლი შეასრულა ისეთი დიდი, წამყვანი ერის წარმომადგენელთა ბიუროკრატიულმა გამოვლინებებმაც, როგორც არის მთელი ქვეყნის მასშტაბით რუსი ერი. ეს გამოვლინებები გარდუვალად იძენს შოვინისტურ ელფერს. უაზრობა იქნებოდა უარგვეყო ჩვენი ფედერაციის რუსოცენტრისტული ხასიათი, ის, რომ რუსმა ერმა — უფრო ფართოდ კი სლავმა ერებმა (ველიკორუსებმა, უკრაინელებმა, ბელორუსებმა) უდიდესი პოზიტური როლი შეასრულეს მთელი ქვეყნის აღმავლობაში, დამონებისა და განადგურებისაგან მის დაცვაში, რომ ისინი კვლავაც იქნებიან საბჭოთა ფედერაციის ჩონჩხი, მისი მთავარი კვანძი და წამყვანი ძალა. მაგრამ ასევე უაზრობა იქნებოდა არ ვხედავდეთ ბიუროკრატიზმისა და შოვინიზმის სიმბიოზის საშიშროებას. ეს მცირერიცხოვანი ერების წყენისა და მათი მხრივ წინააღმდეგობების გაწევის დამატებით საბაზია, და მათი ეს რეაქცია ადვილად იძენს ნაციონალისტურ ხასიათს.

საზოგადოებრივი განვითარების მთავარი ნიშნების გამო უკმაყოფილებამ და გარდაქმნის პირველი შედეგებით გამოწვეულმა მწვავე იმედგაცრუებამ უბიძგა კიდევ მრავალ ერს იქითკენ, რამ დაეწყოთ სოციალური კრიზისიდან გამოსვლის ძებნა საკუთრივ ეროვნული პრობლემების გადაჭრის გზით. არადა ეს პრობლემები მხოლოდ წარმოებულები არიან. სოციალური ეროვნულმა შეცვალა. ის, რაც ერთად არ კეთდება, ჩვენ თვითონ გავაკეთოთ, შევკავშირდეთ ეროვნულ საფუძველზე, ჩამოვშორდეთ ხელისშემშლელ სხვა ერებს, თავიდან მოვიცილოთ ისინიო. ამ გზაზე მათ ახალი სასოწარკვეთა, მის ნიადაგზე კი ახალი კონფულისიები და უბედურებანი მოელოთ.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ახლა უბედურებაში ჩავარდნილ ორკორპუსიან გემს, კატამარანს მოგვაგონებს. მისი ერთი, დაზიანებული, კორპუსი სანახევროდ წყალშია ჩაძირული, გემბანი გადაფერდილია, მეორე, ეროვნული კორპუსი კი წყლის თავზეა ამოსული, ხოლო მასზე მიმაგრებული წევის ბრახნი ხმაურით ტრიალებს ჰაერში.

ნიც როგორ ვუმკურნალოთ ეროვნულ ავადმყოფობას, თანაც ისე, რომ მხარი დავეჭიროთ კეთილშობილურ მისწრაფებას ეროვნული თვითშენარჩუნებისადმი, აღორძინება-აყვავებისადმი? რა თქმა უნდა, უმთავრესად არა ინტერნაციონალისტური ქადაგებით, თუმცა, თუ ჭკვიანურია, იგიც სრულიად აუცილებელია. რაკი ავადმყოფობამ ღრმად გაიდგა ფესვები სოციალურ სფეროში, მისი სიმპტომატური კი არა, რადიკალური მკურნალობის საშუალებაა საფუძვლიანი სოციალური გარდაქმნები. ისინი უნდა ასრულებდნენ ერთბაშად ორ ფუნქციას: აუმჯობესებდნენ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას და ამავე დროს ადამიანთა, განსაკუთრებით საზოგადოებრივი ვალისა და ვაჟკაცური შემართების ადამიანთა საზოგადოებრივ აქტიურობას, ენერჯისა ნაკლებპროდუქტიული წმინდა ეროვნული მიზნებიდან გადართავდნენ უფრო პროდუქტიულ სოციალურ მიზნებზე. გამოდის რაღაც სოციალურ-შრომითი თერაპიის მსგავსი რამ. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ ნიადაგზე მომხდარ დანაშულობათა, უმთავრესად მკვლელობათა წინააღმდეგ ბრძოლაში თავიდან ვერ ავიცილებთ მკაცრ და სასტიკ ზომებს, შეუფერებელ მოძრაობებს, ნაციონალისტურსაც კი, და მათ ლიდერებს პატივისცემით უნდა ვეკიდებოდეთ, ვიყოთ, როგორც ლენინი გვიჩვენა, უსასრულოდ ყურადღებიანი და დამთმობი ყველაფერში, რაც ეროვნული ცოხვრების ფორმებსა და ეროვნებათშორის ურთიერთობას ეხება. საჭიროა კვლავ ვისწავლოთ ერთად ცხოვრება.

ასეთია სტრატეგია, რომელიც სკკპ პლატფორმაშიც არის გამოხატული, ზოგადად მაგრამ, ალბათ, ცალკეულ ელემენტებში არასაკმარისად გარკვევით. გამორჩენილია ნიუანსები, რომლებიდანაც გამომდინარეობს არსებითად სხვაგვარი ან მსგავსი, მაგრამ უფრო რადიკალური ღონისძიებანი. აი რა დებულებებით შეიძლება შეგვესწორებინა ან შეგვევსო პლატფორმა.

პლატფორმა ითვალისწინებს იმას, რომ არის სახელმწიფო წყობილების სამი ტიპი: კონფედერაცია (მათ უარყოფენ), ფედერაცია და უნიტარული სახელმწიფო. ამავე დროს კი არის ხუთი ტიპი: კონფედერაცია, ეროვნულ-ტერიტორიული ფედერაცია, ტერიტორიული ფედერაცია (მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები), უნიტარული სახელმწიფო ავტონომიური ფორმირებებითურთ, უბრალო უნიტარული სახელმწიფო. შეიძლება თუ არა ერთ საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანდნენ ეროვნული და ტერიტორიული ერთეულები? რატომაც არა?! პლატფორმა არც ისე შორსაა ამ აზრისაგან, რადგან დასაშვებად მიაჩნია იმის მიზანშეწონილობა, „რომ რუსეთის სფს რესპუბლიკაში გადავიდეთ მსხვილი რეგიონების მართვაზე“.

თუ გარდაქმნის ხელმძღვანელები, რომლებიც მას დაჟინებით „რევოლუციურს“ უწოდებენ, თუნდაც გამონაკლისის წესით გამოიჩინენ ხასიათს და ნამდვილად რადიკალურ ცვლილებებს შეიტანენ ეროვნულ-სახელმწიფო წყობილებაში, უკვე ახლა იქნებოდა შესაძლებელი მიგველო გადაწყვეტილება და შეგვექმნა შერეული ეროვნულ-ტერიტორიული ფედერაცია, რომელშიც თანასწორი უფლებებით შევიდოდნენ ტერიტორიული ერთეულები („შტატები“), ესე იგი რსფს რესპუბლიკისა და სხვა იმ დიდი რესპუბლიკების რეგიონები, რომელთა მოსახლეობა 10 მილიონს აღემატება, და არსებული მოკავშირე რესპუბლიკები.

მაშინ სსრ კავშირის შემადგენლობაში იქნებოდა ოცდაათი მოკავშირე რესპუბლიკა: ჩრდილო-დასავლეთის, შუა რუსეთის, შუა ვოლგის, ქვემო

ვოლგის, სამხრეთ რუსეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, ურალის, დასავლეთ ციმბირის, აღმოსავლეთ ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ უკრაინის, სამხრეთ უკრაინის, მარცხენა ნაპირის, მარჯვენა ნაპირის, დასავლეთ ყაზახეთის, ჩრდილოეთ ყაზახეთის, სამხრეთ ყაზახეთის, აღმოსავლეთ უზბეკეთის, დასავლეთ უზბეკეთის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, საქართველოს, ლიტვის, პოლონეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის, ესტონეთის.

წარმოვიდგინოთ შემდეგ ასეთი სიახლე.

ნაცვლად მოკავშირე რესპუბლიკებისა, რომლებიც მათი სურვილისამებრ დაყოფილი არიან „შტატებად“, იქმნება სუბფედერალური კავშირები: რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთის, უზბეკეთის. ისინი არ მართავენ თავიანთ წევრებს, მაგრამ სახალხო წარმომადგენლობის ორგანოდ აქვთ შესაბამისი რესპუბლიკებისაგან არჩეულ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა კრება და საჭიროების შემთხვევაში წყვეტენ საერთო საკითხებს, უწინარეს ყოვლისა ეროვნული განვითარების სფეროში. მოკავშირე რესპუბლიკებს, რომლებაც ტერიტორიული პრინციპითაა შექმნილი სუბფედერალური კავშირების ფარგლებში, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისაგან განსხვავებით არა აქვთ თითოეულს ცალ-ცალკე სსრ კავშირიდან გასვლის უფლება, ასეთი უფლება უნარჩუნდება მხოლოდ სუბფედერალურ კავშირს მთლიანად.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭო ყალიბდება წარმომადგენლობის ასეთი ნორმებით: მოკავშირე რესპუბლიკა — 5 კაცი, ავტონომიური რესპუბლიკა — 3, ავტონომიური ოლქი — 1. სულ გამოდის 231 კაცი. ამდენივეა კავშირის საბჭოში. სულ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში 462 კაცია. ეს საგნებით საკმარისია მუდმივად მომუშავე პარლამენტისათვის. მას უშუალოდ მოსახლეობა ირჩევს. სახალხო დეპუტატთა ყრილობა ერთი-ორი წლის შემდეგ წყვეტს თავის სახელოვან არსებობას სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებით. სსრ კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებში აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც ვიცე-პრეზიდენტთან ერთად საკონკურსო არჩევნებში უშუალოდ მოსახლეობა ირჩევს. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი უქმდება. უმაღლეს საკონსულტაციო ორგანოდ წესდება საპრეზიდენტო საბჭო, რომელშიც შედიან კავშირის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და 30 მოკავშირე რესპუბლიკის პრეზიდენტები. იქმნება აგრეთვე ანალოგიური სამთავრობო საბჭო.

გადაჭრით ხდება მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაცია. საკავშირო უწყებებს, უიშვიათესი გამონაკლისით, არა აქვთ უშუალო დაქვემდებარებაში საწარმოები და სხვა დაწესებულებანი და საკავშირო განვითარების სტრატეგიით იფარგლებიან. თითქმის მთელი უშუალო მმართველობა რესპუბლიკურ და ადგილობრივ დონეებზე გადადის.

ხორციელდება სახალხო საკუთრების გენერალური რევიზია და გაყოფა. მისი შედარებით მცირე ნაწილი საერთო-სახალხოა, ესე იგი ეკუთვნის მთლიანად საბჭოთა ხალხს, რომელსაც საკუთრებითს ურთიერთობაში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის საკავშირო ორგანოები წარმოადგენენ. ახლანდელი „საერთო-სახელმწიფო“ ქონების დიდი ნაწილი კი, მათ შორის მთელი მიწა, წიაღი, წყალი, ტყე, მოკავშირე რესპუბლიკების ხალხის საკუთრებად არის აღიარებული. მათი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები რესპუბლიკურ ქონებას შემდეგ გადასცემენ საკუთრებად ან უფლებამოსილ მფლობელობად ტერიტორიულ ერთობებს, რომლებსაც ხელისუფლე-

ბისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები წარმოადგენენ, და საწარმოებს, მათს შრომით კოლექტივებს.

საბჭოთა ფედერაციის, ისევე როგორც მთელი სახელმწიფო წყობილების, ნამდვილი ბაზისი უნდა გახდეს ტერიტორიული, კერძოდ რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიში. ეს ეფევშიზმი იმისათვის არის გამოგონებული, რომ ადვინშნოტ რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ტერიტორიული ერთობებს ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ისინი გვევლინებიან საქონლის მწარმოებელი შრომითი კოლექტივების ასოციაციებად, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთობას წარმართავენ ღირებულების კანონის შესაბამისად ერთიან საერთო-საკავშირო სოციალისტურ ბაზარზე მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ეკვივალენტური გაცვლის მეშვეობით. პრინციპული სხვაობა რესპუბლიკურ და ადგილობრივ სამეურნეო ანგარიშს შორის არ არის. ტერიტორიული სამეურნეო ანგარიშის შექმნა არის სწორედ მთავარი მიმართულება სოციალურ-ეკონომიკური საშუალებებით ეროვნული პრობლემების გადაჭრაში. ყოველი ეროვნულ-ტერიტორიული ერთობა ბედნიერად ან გაჭირვებით იცხოვრებს იმისდა მიხედვით, თუ როგორი იქნება მათი შრომის საზოგადოებრივი ღირებულება, რომლის საზომია ყველაზე ობიექტური და დემოკრატიული — ნაკლს ვერ უნახავ — ინსტრუმენტი — სახელდობრ ბაზარი. რა თქმა უნდა, რეგულირებადი.

ბაზრის, ეკონომიკისა და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირება კი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მის ორგანული ერთიანობა ხელსაყრელი იქნება ყველა რესპუბლიკისათვის, მოითხოვს კანონმდებლობის მაქსიმალურ ერთიანობას. ახალი, მოქნილი, რბილი ფედერაციის ხასიათს არათუ არ ეწინააღმდეგება, არამედ პირდაპირ შეესაბამება ისეთი მდგომარეობა, როცა იმოქმედებენ არა საერთო-საკავშირო კანონმდებლობის საფუძვლები და ისეთი დამაკონკრეტებელი მოკავშირე რესპუბლიკათა კოდექსები, რომლებიც ზშირად დეტალებში განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ ყველა რესპუბლიკისათვის ერთიანი კონკრეტული კანონები. ამასთან ეს კანონები მიღებული უნდა იქნეს მოკავშირე რესპუბლიკების ერთხმივობით, ანდა, რაც ოპტიმალურად გვესახება, უბრალო ან კვალიფიციური (2/3) უმრავლესობით, თანაც ისე, რომ არ იყოს წინააღმდეგ მიცემული ხმები. ამასთან მოკავშირე რესპუბლიკები მიიღებენ უფლებას საჭიროების შეთხვევაში (ასეთი შემთხვევები კი, როგორც ჩანს, ბევრი არ იქნება) საერთო-საკავშირო კანონებისათვის გამოსცენ დამატებითი დადგენილებანი, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება რესპუბლიკების ნამდვილი სპეციფიკა. ვფიქრობ, ასეთი წესი შეესაბამება იმ პრინციპს, რომ კავშირის უფლებამოსილებანი წარმოებულია მოკავშირე რესპუბლიკების უფლებამოსილებისაგან.

გვგონია, რომ ეს სიახლეები ყოველივე იმასთან ერთად, რაც გათვალისწინებულია პლატფორმაში, ან მის ნაცვლად, ახალი საბჭოთა ფედერაციის საფუძვლებს შექმნის და იგი ხელს მისცემს ყველა რესპუბლიკას, მათ შორის იმ რესპუბლიკებსაც, სადაც ახლა ძლიერია სეპარაციული განწყობილებანი. ვთქვათ და ზოგიერთ რესპუბლიკაში მაინც იმძლავრა სეპარაციულმა ან კონფედერაციულმა განწყობილებებმა. მერედა რა, თავში ხელი შემოვირტყათ? რატომ არ უნდა ცხადყოს სოციალიზმმა, რომ უნარი შესწევს არა მარტო გამოაცხადოს შიდალი დემოკრატიული პრინციპები, ამ შემთხვევაში ერთა თვით-გამორკვევის უფლება, არამედ მიჰყვეს კიდევ მათ?

საჭირო იქნება გავითვალისწინოთ ეროვნული სურვილები, კიდევაც რომ ვერ დავარწმუნოთ ამა თუ იმ რესპუბლიკის ხალხის უმრავლესობა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოუფიქრებლობაში. რა თქმა უნდა, ამასთან უნდა ვიზრუნოთ „მიგრანტების“ ბედისათვის, კერძოდ მათი იძულებითი თვითდებორტაციის შემთხვევაში მატერიალური და მორალური კომპენსაციისათვის, და საერთო-საკავშირო ქონებისათვის. და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ღია დაფუტოვით ფედერაციის კარი „კონფედერატებსაც“ და გამოყოფილებსაც. სვებედნიერ ქვეყანაში მათ შეუძლიათ დაბრუნდნენ კიდევ. ყველა შემთხვევაში უნდა ვიზრუნოთ კეთილი მეზობლობისათვის — საერთაშორისო ურთიერთობაში დამკვიდრებული „ახალი აზროვნების“ სულისკვეთებით.

ყველა იმ პრობლემის გადაჭრა, გარდაქმნის წინაშე რომ დადგა მის ახლანდელ კრიტიკულ ეტაპზე, დაკავშირებულია პარტიული სისტემის ღრმა, რადიკალურ რეორგანიზაციასთან. საბჭოთა სოციალიზმი ხორცს შეასხამს, ბოლოს და ბოლოს, დემოკრატიული სოციალიზმის მოდელს, რომელიც გულისხმობს მრავალპარტიულობას. მისი ბირთვია თანამშრომლობით დაკავშირებული და ერთმანეთის მოცილე სოციალისტურად ორიენტირებული ორი — სამი პარტია, რომლებიც საზოგადოებას სოციალისტური პოლიტიკის სხვადასხვა ვარიანტს სთავაზობენ. ეს რთული საკითხია, რომელიც განსაკუთრებულ გარჩევას მოითხოვს.





უშრომელი (უპანონო) უემოსავლის ნება და ნიშნები

„უშრომელი უემოსავალი“ — ეს არის განზოგადებული ტერმინი, რომელიც მოიცავს სამართლებრივი ბუნებით განსხვავებული საქმიანობის შედეგად მიღებულ უემოსავლებს, რაც იწვევს გაღებულ შრომით წვლილთან შეუსაბამოდ ცალკეულ მოქალაქეთა გამდიდრებას. აქ ჩვენი ამოცანა მოცემული ცნების არსის სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი როდია. მხოლოდ იმას ვუსვამთ ხაზს, რომ უშრომელი უემოსავლების საფუძველი ძვეს ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში — ეს არის შრომის მიხედვით განაწილება. სწორედ სოციალიზმის ამ არსებითი პრინციპის უხეში დამახინჯების საბოლოო შედეგია უშრომელი უემოსავალი. რეალურ ცხოვრებაში ეს დამახინჯება ობიექტივირებულია რთული სოციალურ-სამართლებრივი მოვლენით, რომელსაც ეწოდა „უშრომელი უემოსავალი“.

იურიდიულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ გვაქვს უშრომელი უემოსავლის ცნების ერთიანი განსაზღვრა. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნ. კუზნეცოვისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ო. ოსიპენკოს აზრით უშრომელი უემოსავლები „ეს არის უემოსავლები, რომელთაც მოქალაქეები ღებულობენ არამართლზომიერი მეთოდებით შრომითი წვლილის გარეშე, ესე იგი, კანონსაწინააღმდეგო, უკანონო საქმიანობით“¹. უნდა აღინიშნოს ამ განსაზღვრების წინააღმდეგობრიობა, რადგან აქედან გამომდინარეობს, რომ უშრომელი უემოსავალი ის უემოსავალია, რომელსაც მოქალაქე ღებულობს შრომითი წვლილის გარეშე. მაშინ რა ვუყოთ იმ უემოსავლებს, რომლებიც მიღებულია მნიშვნელოვანი შრომითი წვლილის გაღებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ითვლება უშრომელად? თვით ეს ავტორებიც ხომ ლაპარაკობენ უკანონო საქმიანობის გზით მიღებულ უემოსავლებზე. „საქმიანობა“ კი, უწინარესად, ნიშნავს პირად შრომას, გარკვეულ შრომით წვლილს.

სხვა საკითხია ის, რომ ამ „შრომითი წვლილის“ მიზანი უკანონო გამდიდრებაა. უზბეკეთში ბამბისსაწმენდ მრეწველობაში, საქართველოში ღვინისა და ჩაის მრეწველობაში, მოსკოვისა და როსტოვის ვაჭრობის სისტემაში, სსრ კავშირის ნავთობპროდუქტების ყოფილი სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში და სხვაგან გამოვლენილ განმაურებულ დანაშაულობათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ ანგარებიან ბოროტმოქმედებათა ორგანიზატორები და მათი შემსრულებლებიც ნამდვილ შრომით ფერხულში იყვნენ ჩაბმული, მაგრამ მათ მიერ მიღებული მოგება მაინც უშრომელია, მაშინ, როცა თუ აღნიშნული

¹ «Советская юстиция», № 20, 1986, с. 5.



ავტორების განსაზღვრას დაეუჭერებთ, გამოდის, რომ არის შრომითი წვლილი, ესე იგი, რაც უნდა პარადოქსალურად ჟღერდეს, ამგვარი შემოსავლები შრომითია. ამასთან, ასეთი შემოსავლების მიღების მექანიზმი აშკარად გვიჩვენებს, რომ შრომითმა წვლილმაც შეიძლება განაპირობოს უკანონო გამდიდრება. ასე, რომ ვერ დავეთანხმებით ნ. კუზნეცოვისა და ო. ოსიპენკოს მოსაზრებას. იგი ცალმხრივი, არასრულია და მან პრაქტიკულად შეიძლება უშრომელი შემოსავლების წინააღმდეგ მებრძოლი სამართალდამცავი ორგანოების დეზორიენტირება მოახდინოს.

და, რალა თქმა უნდა, ასეთ განსაზღვრას ღირსებას ვერ სძენს იმის მითითება, რომ ავტორები „შრომითი წვლილის გარეშე“ და „არამართლზომიერი საქმიანობის გზით“ ცნებებს შორის ტოლობის ნიშნას რომ სვამენ. ეს ლოგიკური შეცდომაა.

თავის მხრივ, ი. მოროგულოვასაც მიაჩნია, რომ უშრომელ შემოსავლად ითვლება არამართლზომიერი ხერხით მიღებული შემოსავალი². მაგრამ ამ განსაზღვრის ჩარჩოებს მიღმაც აღმოჩნდება უშრომელი შემოსავლის ზოგიერთი სახე. ვთქვათ, დაუმსახურებელი პრემიის, ან „გამოუმუშავებელი“ ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები ასე ფართოდ რომ იყო გავრცელებული 70-იანი წლების დამლევსა და 80-იანი წლების დამდეგს. „უშრომელი შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის 15 მაისის დადგენილებაში შემთხვევით როდი იყო ხაზგასმული „შრომის ორგანიზაციის, ნორმებისა და ანაზღაურების“ აუცილებელი სრულყოფა, „იმის მიღწევა, რათა პატიოსანი, კეთილსინდისიერი და მაღალხარისხოვანი შრომა ღირსეულად ანაზღაურდეს“, „წამგლეჯაობისა და მომხვეჭელობის გამოვლინების“ წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების და იმ პირთა დასჯის აუცილებლობა, ვინც ცდილობს „სახელმწიფოს ცოტა მისცეს, მისგან კი ბევრი მიიღოს“.

ამრიგად, შრომის უფლების გამოყენების დროსაც კი, ვთქვათ, ფაბრიკაში მუშაობისას, უშრომელი შემოსავლის მიღების მომენტის შესაძლებლობა მაინც იქმნება. რა ბუნებისა არიან ასეთი შემოსავლები? შრომითია? ცხადია, არა, თუმცაღა მართლზომიერია. აი, ამიტომ არ ვეთანხმებით ი. მოროგულოვას. მის მიერ შემოთავაზებული განსაზღვრა ერთსახოვანია, აქ ყურადღების მიღმა აღმოჩნდა განსახილველი მოვლენის მნიშვნელოვანი მომენტები და ამიტომ, შეუძლებელია მან კეთილი სამსახური გაუწიოს და საიმედო კომპასად გამოადგეს სამართალდამცველ ორგანოებს იოლი ცხოვრების მოყვარულებთან ბრძოლაში, ამასთან მკაცრადაც დაიცვან სოციალისტური კანონიერების პრინციპი.

ე. ხარიტონოვი და ნ. სანიანმეტოვა უშრომელ შემოსავლებს მიაკუთვნებენ ისეთ „შემოსავლებს, რომლებიც მიღებულია პირადი შრომითი წვლილის გარეშე, ან აშკარად აჭარბებს დახარჯული შრომის რაოდენობას და ხარისხს“³. მაგრამ განა შეიძლება, რომ უშრომელად ჩაითვალოს ის შემოსავლები, რომლებიც მიღებულია მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან პირადი შრომითი წვლილის გარეშე? ანდა, შემნახველ ბანკში შენახული ფულიდან მიღებული პროცენტები, „სპორტლოტოსა“ თუ სხვა ლატარიებში მოგებული თანხები, საჩუქრად მიღებული მემკვიდრეობა, და ა. შ. ცხადია, რომ არა.

² «Советская юстиция», № 20, 1986, с. 28.
³ «Советская юстиция», № 17, 1986, с. 5.

საქ. სსრ კ. მარქსის
 სახ. სახ. რესპუბ.
 გეგმავთა დეპარტამენტი

მეორე მხრივ, უკვე აღნიშნეთ, რომ რაც შეიძლება მეტის უკანონოდ წამგლეჯთა აქტიურობა, „შრომისმოყვარეობა“, „დახარჯული შრომის რაოდენობა და ხარისხი“, იმდენად მაღალია, რომ შეიძლება გაგიკვირდეთ კიდევ მაგრამ დამტაცებელი, სპეკულანტი და სხვ. ამის გამო ნაკლებად საშიში როდია, რადგან მათ „შრომას“ გააჩნია მეტად განსხვავებული თვისებრივი ნიშნები. ამიტომ, ჩვენი აზრით, „პირადი შრომითი წვლილის“ არარსებობის წინა პლანზე წამოწევა აუცილებელი სრულებითაც არ არის. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ კანონი ხომ დადგენილი წესით უშვებს მეუღლეების, ნათესავების, კმაყოფაზე მყოფთა და სხვათა შრომის გამოყენებას. კოოპერატივის წევრები ვალდებული კი არ არიან, რომ ყოველთვის თვითონ იმუშაონ (იხ. კოოპერაციის შესახებ კანონის 44-46-ე მუხლები).

სწორედ იმ სფეროში, რომელსაც ეს ავტორები ანალიზებენ (უშრომელი შემოსავლების მიღებისათვის საცხოვრებელი შენობების გამოყენება), პრაქტიკულად, ოთახების დალაგებაში, რეცხვაში და სხვა საქმეში ხშირად იყენებენ იმ პირთა შეილებს, რომლებიც საცხოვრებელ ფართობს იძლევიან ქირავნობით (ქვექირავნობით). აქ პირადი შრომა არ არის, მაგრამ შემოსავალი ყოველთვის როდი ჩაითვლება უშრომელად, რასაც სამართლიანად თვით ეს ავტორებიც აღიარებენ⁴.

ჩვენი აზრით, განსაზღვრა არა მარტო იმით უნდა გამოირჩეოდეს, რომ ზუსტად მიუთითებდეს მოვლენის მთავარ, არსებით ნიშნებზე, არამედ იმითაც, რომ იგი უნდა დასტურდებოდეს პრაქტიკით და მისი გამოყენების დროს გამოორიცხული უნდა იყოს შეცდომები, ვთქვათ, სასამართლოს, პროკურატურის და მილიციის ორგანოების მიერ.

პროფესორი შ. ჩიკვაშვილი თვლის, რომ უშრომელი შემოსავალი არის ყველა ის ქონება, რომელსაც მოქალაქე ღებულობს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შრომის მიხედვით განაწილებასთან კავშირის გარეშე, იმ გამონაკლისების გარდა, რომლებიც დადგენილია კანონით (მემკვიდრეობით, ჩუქებით და სხვ. მიღებული ქონება)⁵. ყურადღებას იქცევს უშრომელი შემოსავლებისადმი მეტად ფართო მიდგომა, თუმცა ეს განსაზღვრა მთლიანობაში მოიცავს აღნიშნული მოვლენის მრავალმნიშვნელოვან მხარეს, მაგრამ გააჩნია ნაკლოვანებანიც: პრაქტიკაში ძნელია ისეთი წმინდა ეკონომიკური კატეგორიების შემცველი ცნებების ოპერირება, როგორიცაა „განაწილება“. „ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი“ და სხვ. აღნიშნულ განსაზღვრაში ზუსტად არ ჩანს კავშირი უშრომელ შემოსავლებსა და დახარჯული შრომის რაოდენობასა და ხარისხს შორის. გარდა ამისა, უშრომელი შემოსავალი გამოიწატება არა მარტო ქონების, არამედ, ვთქვათ, ფულის სახითაც.

და კიდევ ერთი მოსაზრება. „ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი“ ყოველთვის „შრომის მიხედვით ნაწილდება?“ პრაქტიკაში განა შესაძლებელია ეს? „ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი“ ხომ უნდა ნაწილდებოდეს ბავშვებზე, ავადმყოფებზე, ბავშვობიდან ინვალიდებზე და ა. შ. ცხადია, რომ ისინი ღებულობენ უშრომელ შემოსავლებს. ეს იმითაც ეხება, ვინც იღებს დაუმსახურებელ პრემიებს და სხვ. ისინიც, არსებითად ღებულობენ არა შრომის მიხედვით, მაგრამ ყველა ასეთი პირი თავის წილს ღებულობს

⁴ См. подробнее об этом А. Ю. Кабалкин, Л. И. Савенко. Индивидуальная трудовая деятельность и закон, М., 1987, гл. IV.

⁵ «Заря Востока», 11.10.86.

„ერთობლივი საზოგადოებრივი შემოსავლიდან“ როგორც ვხედავთ, პრეფ. შ. ჩიკვაშვილის მიერ მოცემული განსაზღვრა მრავალ პოზიციასთან ვერ თავსდება.

მაგრამ, ცხადია, ეს როდია მთავარი. როგორც სამართლიანად წერენ პ. გრიშაევი და ტ. კოშაევა, მოცემული განსაზღვრანი „არ იძლევიან სრულ წარმოდგენას უშრომელი შემოსავლების სოციალურ და სამართლებრივი არსის თაობაზე. ჩვენი აზრით, უშრომელი შემოსავალზე არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მხოლოდ დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოვლენა შრომითი შემოსავლის ცნებისა. ასეთმა დაპირისპირებამ შეიძლება მცდარ დასკვნამდე მიგვიყვანოს. აღნიშნული სახის შემოსავლების გამიჯვნის კრიტერიუმები უნდა ვეძებოთ მათ მიმართ საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის დამოკიდებულებაში. განაწილების არსებული სისტემის ჩარჩოებში მიღებული შრომითი შემოსავალი არის საბჭოთა კავშირის მოქალაქის მიერ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის კონსტიტუციური მოვალეობის შესრულების შედეგი. იგი საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის მიერ ყოველთვის ნებადართული და წახალისებულია. ამას ვერ ვიტყვით უშრომელ შემოსავალზე, რომლის მიღება ან აკრძალულია, ან ნებადართულია „კანონით მკაცრად შეზღუდულ შემთხვევებში“⁶.

საინტერესო მოსაზრება გამოთქვას თვით პ. გრიშაევმა და ტ. კოშაევამ: „კანონსაწინააღმდეგო უშრომელ შემოსავლად უნდა მივიჩნიოთ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დარღვევით მიღებული შემოსავალი, რომლის მიღებისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია შრომის, სამოქალაქო, აღმინისტრაციული და სისხლის სამართლის ნორმებით“⁷.

როგორც ვხედავთ, ავტორებმა შემოგვთავაზეს რთული იურიდიული კონსტრუქციის „კანონსაწინააღმდეგო უშრომელი შემოსავალი“. მაშასადამე, არსებობს „მართლზომიერი უშრომელი შემოსავალიც“. ვფიქრობთ, ეს სწორი გამიჯვნაა. უწინარესად ხომ სწორედ კანონსაწინააღმდეგო გამდიდრების აღმოფხვრაზეა ლაპარაკი, რადგან სწორედ ეს წარმოადგენს სოციალურ საშიშროებას, მაგრამ პ. გრიშაევისა და ტ. კოშაევას ფორმულირებასაც აქვს ნაკლოვანებანი, რადგან ისინი დაადგენენ სამართლის დარღვა ჩამოთვლის გზას, რომელთა ნორმების მიხედვითაც, მათი აზრით, უნდა დადგეს „იოლი ცხოვრების მოყვარულთა“ პასუხისმგებლობა. იბადება კითხვა: სხვა დარღვების ნორმების მიხედვით პასუხისმგებლობა გამორიცხულია? ვთქვათ, საფინანსო, საკომლექურნეო, მიწის, პროცესუალური და ა. შ. სამართლით? ცხადია, რომ ასეთი პასუხისმგებლობაც დგება. ესე იგი, აღნიშნულ განსაზღვრას არსებითი ნაკლი გააჩნია. ალბათ, უკეთესი იქნებოდა მიგვეთითებინა, რომ კანონსაწინააღმდეგო უშრომელი შემოსავლები მოიცავენ პასუხისმგებლობას საერთოდ საბჭოთა სამართლის ნორმების მიხედვით. ვფიქრობთ, იმაზე მითითებაც, რომ კანონსაწინააღმდეგო უშრომელი შემოსავლები მიიღება „საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დარღვევით“, აგრეთვე ზედმეტია. ეს არის ნებისმიერი სამართალდარღვევის, ნებისმიერი არამართლზომიერი ქმედების ნიშანი, რადგან იგი აუცილებლად ეწინააღმდეგება ჩვენს კონსტიტუციას, ხოლო მოვლენის განსაზღვრაში, უწინარესად, საჭიროა მივუთითოთ იმ ნიშნებზე, რომლებიც დამახასიათებელია სწორედ მოცემული მოვლენისათვის.

⁶ «Советская юстиция», № 23, 1987. с. 22.

⁷ Там же, с. 23.

პროფესორ ვ. რიასენცევის მიაჩნია, რომ „უშრომელი შემოსავლები“ შემოსავლები, რომლებიც მიღებულია „შრომითი წვლილის გარეშე და კანონის დარღვევით ან ისეთი საკუთარი შრომით, რომელიც ეწინააღმდეგება მოქმედ სამართლებრივ ნორმებს“⁸.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ არ არის აუცილებელი უშრომელი შემოსავლების ესოდენ მკაცრად დაკავშირება „შრომითი წვლილის“ არარსებობასთან. საინტერესოა, რომ უშრომელი შემოსავლის შრომითი წვლილის გარეშე მიღების დასადასტურებლად, დასკვნის სახით, ვ. რიასენცევი ასეთ მოსაზრებას გთავაზობს: „ამის მაგალითად გამოგვადგება ის მაღალი საფასური, რომელსაც სისტემატურად იღებენ საცხოვრებელი ფართობების ქვემოქირავნებისაგან“.

მაგრამ თუ ამ „საფასურს“ ღებულობენ „არასისტემატურად“ და თუ იგი არც ისე „მაღალია?“ მაშინ როგორ მოვიქცეთ? ასეთი შემოსავალი შრომითია თუ უშრომელი? რადგან შრომითი წვლილი არ არის (ქვემოქირავნე, მაგალითად, თვითონ ალაგებს, ავეჯი საკუთარი მოიტანა და ა. შ.), ამიტომ მიღებული შემოსავალი უშრომელია? მაშინ რა მოვუხერხოთ რსფსრ-ს საბინაო კოდექსის 78-ე მუხლს და სხვა რესპუბლიკების საბინაო კოდექსების შესაბამის მუხლებს, რომელთა მიხედვითაც დაშვებულია საფასურის გადახდევინება? ანდა, პირიქით, ვთქვათ, პირი, რომელმაც გააქირავა საცხოვრებელი ფართი, ოთახს უსუფთავებს მდგმურს, სადილსაც უმზადებს და სხვ. ერთი სიტყვით, შეაქვს შრომითი წვლილი, მაგრამ ქვემოქირავნისაგან იღებს ისეთ საფასურს, რაც აღემატება დადგენილ განაკვეთებს. ითვლება თუ არა ეს თანხა უშრომელად? შრომა დახარჯულია, კანონიც ფორმალურად არ ირღვევა, ესე იგი, ვ. რიასენცევის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოქმედ სამართლებრივ ნორმებთან წინააღმდეგობა“ არ არის. როგორც ვხედავთ, ვ. რიასენცევის მიერ მოცემული განსაზღვრა მოკლებული როდია წინააღმდეგობრიობას და მას სამართალდამცველი ორგანოები ვერ გამოიყენებენ ნებისმიერი გზით გამდიდრების მოყვარულთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. საჭიროა აგრეთვე შრომითი და უშრომელი შემოსავლების გამიჯვნის კრიტერიუმები, ამასთან იმის დადგენა, თუ როგორ არიან დაკავშირებულნი შემოსავლები სამართლებრივ აკრძალვებთან და უფლებებთან, სოციალური სამართლიანობის პრინციპებთან და სამართალდამცველი ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობასთან. ყოველივე ამას ვ. რიასენცევისეული განსაზღვრა ვერ პასუხობს.

ლიტერატურაში „უშრომელი შემოსავლის“ ერთიანი განსაზღვრის უქონლობა მრავალი მიზეზით აიხსნება. ასეთი განსაზღვრა არ არის არც ერთ საკანონმდებლო აქტში. არა გვაქვს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის შესაბამისი განმარტებაც. ხოლო რესპუბლიკათა დონეზე არსებული განმარტებები, ჯერ ერთი, სრული არ არის, მეორეც ის, რომ ისინი, ცხადია, ერთიან განსაზღვრას ვერ შეცვლიან. ამ ტერმინის ეკონომიკური და იურიდიული აზრი ერთმანეთს არ ემთხვევა — ეს კიდევ ერთი მიზეზი. საქმე ის არის, რომ კანონი რიგ შემთხვევებში უშვებს უშრომელი შემოსავლის მიღებასაც (მაგალითად, მოგება „სპორტლოტოში“), მეორე მხრივ, შრომითი წვლილის გაღების შედეგად მიღებული შემოსავალი ზოგჯერ უშრომელად ითვლება (მაგალითად, ციტრუსების იმ ფასად გაყიდვა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სახელმწიფო საცალო ფასებს). „უშრომელი შემოსავლის“ ზუსტი

⁸ «Советская юстиция», № 19, 1986, с. 4.

განსაზღვრის უქონლობამ პრაქტიკაში მიგვიყვანა, როგორც ეს პრესაშიც აღინიშნა, უშრომელი შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლაში კანონმდებლობის გამოყენების ცნობილ გადახრებამდე⁹.

ვეცდებით ჩამოვაყალიბოთ უშრომელი შემოსავლების განსაზღვრა, თუმცაღა, ცხადია, არა გვაქვს პრეტენზია მის სისრულესა და უექველობაზე. მიმაჩნია, რომ „უშრომელი შემოსავლის“ მთავარი ნიშანია მისი არაკანონიერი ხასიათი, ესე იგი, მისი მიღება, ამოღების მეთოდი, ზომები, სახეები და ა. შ. პირდაპირ ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის ნორმებს. შემოსავლების ამოღების მეთოდთან დაკავშირებით აკრძალვა პირდაპირ არ არის დადგენილი კანონში, მაშინ უნდა ამოვიღეთ ცნობილი ფორმულიდან — „ნებადართულია ის, რაც კანონით პირდაპირ არ არის აკრძალული“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთ შემოსავლებს უშრომელად ვერ მივიჩნევთ. იმ შემოსავლებს, რომელთაც ჩვენ ვებრძვი, იურიდიულად უფრო ზუსტი იქნებოდა თუ მათ ვუწოდებდით — „უკანონო ხერხით მიღებული უშრომელი შემოსავლები“ ან უფრო მოკლედ, „უკანონო შემოსავლები“, რასაც ზოგჯერ უკვე უწოდებენ კიდევ¹⁰ მართლაც, საზღვარი გავლებულია კანონიერ და უკანონო შემოსავლებს შორის, ამასთან უკანონოდ უნდა მივიჩნიოთ ისინი, რომლებიც მიღებულია კანონის დარღვევით ან მისი შემოვლით, ამასთან იმისაგან დამოუკიდებლად, გაღებულია თუ არა პირადი შრომა და რა ზომის. იატაკქვეშა მეწარმეობა და მსხვილმასშტაბებიანი სპეკულაცია დიდ შრომას, ორგანიზატორულ უნარსა და ფხიანობას მოითხოვს, რაც ყველა საწარმოს ან გაერთიანების გენერალურ დირექტორს როდი ხელეწიფება. ქრთამის ამღები ზოგჯერ „ბევრს აკეთებს“ ქრთამის მიმცემისათვის, ამდენად შეუძლია ქრთამი „გამომუშავებულად“ ჩათვალოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქრთამი ტიპური უკანონო შემოსავალია, რაც უნდა „დიდი შრომა“ გასწიოს ქრთამის ამღებმა.

ნ. ზაიკინი და ნ. კონდრაშკოვი სამართლიანად მიუთითებენ, რომ „ზუსტი იქნება თუ ვიხმართ... ცნებებს „კანონიერი“ (მართლზომიერი) და „უკანონო“ (არამართლზომიერი) შემოსავლები. ამასთან „კანონიერი“ და „უკანონო“ შემოსავლების ცნებებში კრიტერიუმები უფრო გარკვეულია, კანონსაწინააღმდეგო ხერხით ან აკრძალული ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები უკანონო იქნება და ისინი უშრომელს უნდა მიეკუთვნოს, თუნდაც მათი მიღების საფუძველი შრომა იყოს. სრულიად გასაგებია, რომ უშრომელად, უკანონოდ მიჩნეულია ის შემოსავლები, რომლებიც მიღებულია დანაშაულებრივი გზით... ამავე დროს, უკანონოდ, უშრომელ შემოსავლებად ვერ მივიჩნევთ იმ შემოსავლებს, რომლებიც მიღებულია შრომითი წვლილის გაღების გარეშე, მაგრამ მართლზომიერი გზით. მაგალითად, მემკვიდრეობა, ნაჩუქრობა და ა. შ.¹¹

უფრო ზუსტი რომ ვიყოთ, უმჯობესია მოცემულ შემოსავლებს ვუწოდოთ „არამართლზომიერი“, და არა „არაკანონიერი“, რამდენადაც ისინი არღვევენ არა მარტო კანონებს, არამედ კანონქვემდებარე აქტებსაც (სხვადასხვა დადგენილებები, ინსტრუქციები, დებულებები და სხვ).

⁹ «Известия», 27 сентября 1986 г.

¹⁰ См. например, «Известия» 12 июня 1987 г., «Незаконный доход».

¹¹ Н. Заикин, Н. Кондрашков. Ответственность за нетрудовые доходы, М., 1987.

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ აქტები კანონებს უნდა შეესაბამებოდნენ და, რომ ყოველდღიურ ყოფაში ცნებები „უკანონო“ და „არამართლზომიერი“ სინონიმებად აღიქმებიან, მაშინ, ჩვენი აზრით, უნდა ვინმართ უფრო მყარი ტერმინი — „უკანონო შემოსავალი“. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, უმჯობესია, რომ სამართალდამცველი ორგანოების მუშაკები დაეყრდნონ ცნებას „უკანონო შემოსავალი“, ვიდრე „უშრომელი შემოსავლის“ ცნებას, რადგან ამ უკანასკნელში ცხადად ვერ იკვეთება კანონიერების კრიტერიუმები და, როგორც უკვე აღინიშნა, მოქალაქეთა მრავალი უშრომელი, ესე იგი, ძირიდად გამოუქმუშავებელი შემოსავლები (მემკვიდრეობა, ნაჩუქრობა, მატერიალური დახმარება, ვთქვათ, პროფკავშირისა და ა. შ.) კანონმდებლობით ნებადართულია და ითვლება კანონიერად.

„უშრომელი შემოსავლის“ (ჯერჯერობით საზოგადოდ მიღებული ტერმინოლოგია ვინმართთ) ცნების მეორე ნიშანი მჭიდროდ არის დაკავშირებული პირველთან და შეიძლება განვიხილოთ როგორც არაკეთილსასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობად იმ პირთათვის, რომლებიც ასეთ შემოსავლებს ლეგულობენ. რა თქმა უნდა, სამართალდამცველი და სხვა სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების ძალისხმევაზეა დამოკიდებული ამ შესაძლებლობის პრაქტიკულად ამოქმედება და რეალური ღონისძიებების გატარება აღნიშნულ პირთა წინააღმდეგ, მაგრამ აქ ხაზი უნდა გაესვას კანონში ჩადებულ სწორედ ამ შესაძლებლობათა ამოქმედებას.

„უშრომელი შემოსავლის“ ცნების შემდეგი ნიშანი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ უშრომელად შეიძლება მივიჩნიოთ ის შემოსავალიც, რომელიც მის მიღებისათვის დახარჯული შრომის რაოდენობასა და ხარისხთან შედარებით არაპროპორციულად დიდია. ამასთან, მხედველობაშია მიღებული შრომით წვლილსა და შემოსავლის რაოდენობას შორის არსებითი, მნიშვნელოვანი არათანაშეზომილება.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ უშრომელი შემოსავლები, რომელთა მიღებასაც თვით კანონი უშვებს, არ შეიცავს ისეთ სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც უნდა დადგეს უშრომელი და ამავე დროს უკანონო შემოსავლების მიღების დროს, მაგრამ ამით ეკონომიკური არსი ხომ არ იცვლება — არა გვაქვს შრომითი წვლილი. აქ, ჩვენი აზრით, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ შესაბამისი შრომითი წვლილის არარსებობა როდი მოწმობს მოცემული შემოსავლების სოციალურ საშიშროებას, რამდენადაც ასეთ პირებს კონფლიქტი არა აქვთ კანონთან, მათი ამოქმედება კი მართლზომიერია.

თუ ამ ნიშნებს განვაზოგადებთ, უკანონოდ უნდა მივიჩნიოთ ის შემოსავლები, რომლებიც მიღებულია შრომითი წვლილის გარეშე არამართლზომიერი გზით, ან არათანაშეზომილია მიღებული შემოსავლებისათვის გაწეული შრომის რაოდენობასა და ხარისხთან. ასეთი პირებისათვის დგება არაკეთილსასურველი სამართლებრივი შედეგი.

ვიმეორებთ, რომ მოცემული ფორმულირების უქვეყლობის პრეტენზია არ გავაჩნია. მაგრამ კანონმდებლობასა თუ იურიდიულ მეცნიერებაში რაც უფრო სწრაფად შემუშავდება უშრომელი შემოსავლების ზუსტი მეცნიერული განსაზღვრა, მით უფრო წარმატებულად დაეძლევათ ამ მოვლენასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ასევე მიგვაჩნია, რომ კანონში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული „უკანონო შემოსავლის“ ცნების გავრცობილი განმარტების დაუშვებლობის შესახებ.

იწვევს საქმის განხილვას საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. ერთად ერთი მოთხოვნა იმაში გამოიხატება, რომ საჩივარი იყოს წერილობით შედგენილი და არა ზეპირსიტყვიერი¹.

კასატორი ვალდებული არ არის შეიტანოს საჩივარი სასამართლო წარმოების ენაზე. იგი უფლებამოსილია გაასაჩივროს სასამართლოს განაჩენი მის მშობლიურ ან მისთვის კარგად ცნობილ ენაზე. განაჩენის ასეთი გასაჩივრება იწვევს საქმის განხილვას საკასაციო წესით.

გასაჩივრებას ექვემდებარება ყველა სასამართლოს განაჩენი, გარდა მოკავშირე რესპუბლიკისა და სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს განაჩენისა. ამ სასამართლოთა განაჩენები, გამოტანილი პირველი ინსტანციის წესით, შეიძლება გადაისინჯოს მხოლოდ ზედამხედველობის წესით.

არსებული წესის შესაბამისად, თუ საქმეს პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ ისეთ სასამართლოში, როგორცაა აფხაზეთის, აჭარის უმაღლესი სასამართლოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო — მათი განაჩენები შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით. ხოლო თუ იმავე საქმეს და იმავე პირის მიმართ განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, იგი უკვე არ ექვემდებარება საკასაციო გასაჩივრებას, რითაც გარკვეულად იზღუდება მსჯავრდებულისა და პროცესის სხვა შესაბამისი მონაწილის უფლებები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი დემოკრატიზაციის მიზნით, სასურველი იქნებოდა კანონში შეტანილ იქნას ცვლილება, რომლის თანახმადც დაიშვება მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის წესით გამოტანილი განაჩენის გასაჩივრება საკასაციო წესით. ასეთი მოსაზრება პროცესუალურ ლიტერატურაში უკვე იყო გამოთქმული².

გ) საკასაციო ინსტანციის სასამართლოების შემდეგ ძირითად პრინციპულ დებულებას მიეკუთვნება ის, რომ იგი ითვალისწინებს საქმის განხილვის ხარვეზიო წესს. ამ ძირითადი საწყისის არსი საქართველოს სსრ სსს კოდექსის 344-ე მუხლის შესაბამისად იმაში გამოიხატება, რომ საქმის განხილვის დროს საკასაციო ინსტანციის სასამართლო შეზღუდული არ არის მხოლოდ საკასაციო საჩივრისა და პროტესტის ფარგლებით, იგი საქმეს იხილავს სრული მოცულობით ყველა მსჯავრდებულის მიმართ, მათ შორის იმათ მიმართ, რომლებსაც საჩივარი არ შეუტანიათ.

ასეთი წესი იმის საშუალებას იძლევა, რომ ზემდგომმა სასამართლომ სრული მოცულობით განახორციელოს ზედამხედველობა ქვემდგომი სასამართლოებისადმი, რომ მან გვერდი არ აუაროს დაშვებულ შეცდომებს, პროცესის მონაწილეთა უფლებების შეზღუდვებს, კანონების დარღვევას და სხვა ისეთ ხარვეზებს, რაც მოწმობს საქმის გამოძიება-განხილვის ცალმხრივობაზე, არასისრულეზე.

დ) საბჭოთა კასაციისათვის დამახასიათებელია ისეთი პრინციპული დებულება, როგორცაა განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შე-

¹ См. «Комментарий к уголовно-процессуальному кодексу РСФСР», М., (1985, с. 489.

² Ципкин А. Л. — Право на защиту в кассационном и надзорном производстве при исполнении приговора, Саратов, 1965, с. 5—6; Перлов И. Д. Кассационное производство в советском уголовном процессе, М., 1968, с. 63—64; Строгович М. С., Курс советского уголовного процесса, том 2, М., 1970, с. 368.



მოწმება (მუხლი 344-ე). ამ ძირითადი საწყისის არსი იმაში გამოიხატება, რომ საქმის განხილვის დროს საკასაციო ინსტანციის სასამართლო ამოწმებს დაცული იყო თუ არა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის დროს პროცესუალური კანონის ნორმები, სწორად და ზუსტად იყო თუ არა ისინი გამოყენებული კონკრეტულ შემთხვევაში, დაცული იყო თუ არა ბრალდებულის (განსასჯელის) და პროცესის სხვა მონაწილეთა კანონით დადგენილი უფლებები და ინტერესები. სწორედ იყო თუ არა დაკვალიფიცირებული პირის ქმედობა. ყოველივე აღნიშნული ეხება განაჩენის კანონიერების შემოწმებას.

გარდა კანონიერებისა უნდა შემოწმდეს აგრეთვე განაჩენის დასაბუთებულება, ე. ი. საქმის საკასაციო წესით განხილვის დროს საჭიროა გაირკვეს და დადგინდეს რამდენად შეესაბამება განაჩენი საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, სწორად იყო თუ არა შეფასებული მტკიცებულებები, ყოველმხრივად და სრულყოფილად იყო თუ არა მოპოვებული ყველა ის მტკიცებულება, რომელიც საჭირო და აუცილებელი იყო ქვეშაობების დასადგენად³.

ე) ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონი ადგენს საკასაციო ინსტანციისათვის ისეთ დამახასიათებელ პრინციპს, როგორცაა **დამატებითი მასალების წარდგენა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში**. ამ საწყისის არსი იმაში გამოიხატება, რომ იმ პირებს, ვისაც აქვს განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების ან გაპროტესტების უფლება, თავიანთი საჩივრის ან პროტესტის დასადასტურებლად შეუძლიათ წარადგინონ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში ისეთი მასალები, რომლებიც არ ყოფილან შესწავლისა და განხილვის საგანი პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს (მუხლი 348-ე). განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით დამატებითი მასალების გამოთხოვის უფლება აქვს აგრეთვე თვით საკასაციო ინსტანციის სასამართლოს.

ვ) საკასაციო ინსტანციის სასამართლოსათვის დამახასიათებელია ისეთი პრინციპი, როგორცაა **განსასჯელის პროცესუალური მდგომარეობის გაუარესების დაუშვებლობა**. ამ ძირითადი დებულების არსი პირდაპირ არის გათვალისწინებული პროცესუალური კანონით, რომლის ძალითაც საკასაციო წესით საქმის განხილვის დროს სასამართლოს შეუძლია შეამსუბუქოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი ან გამოიყენოს კანონი ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესახებ, მაგრამ არა აქვს უფლება **გააძლიეროს სასჯელი**, აგრეთვე გამოიყენოს კანონი უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ (მუხლი 361-ე).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების პროცესუალურ ლიტერატურაში დაყენებულია საკითხი იმის შესახებ, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიენიჭოს უფლება საქმის „უარესობისაკენ შემობრუნების“ შესახებ⁴. მსჯავრდებულის პროცესუალური მდგომარეობის გაუარესების კონცეფციას ჩვენ არ ვეთანხმებით.

ზ) და ბოლოს, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მოღვაწეობისათვის დამახასიათებელია **ამ სასამართლოს ფართო უფლებამოსილება**. ამ ძირითადი

³ См. Зыков В. — Пути повышения качества рассмотрения уголовных дел в кассационном порядке, «Советская юстиция», 1987, № 8, с. 26—27.

⁴ См. Мальков Н. Расширить пределы прав вышестоящих судов, «Советская юстиция», 1989, № 9, с. 27—28.

თადი საწყისის არსი იმაში გამოიხატება, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლო სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგად უფლებამოსილია დატოვოს განაჩენი ძალაში და უარყოს საკასაციო საჩივარი ან საკასაციო პროტესტი; მიიღოს საკასაციო საჩივარი ან პროკურორის საკასაციო პროტესტი და გააუქმოს განაჩენი საქმის დაბრუნებით დამატებითი გამოძიებისათვის ან სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის; ცვლილებები შეიტნოს განაჩენში და ბოლოს საერთოდ შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმე წარმოებით⁵.

2. განაჩენის საკასაციო გასაჩივრება და გასაჩივრების სუბიექტები. ა) განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების უფლებით სარგებლობენ საქართველოს სსრ სსსკ 377-ე მუხლში ჩამოთვლილი სუბიექტები. მათ შორის კანონი არ ასახელებს საზოგადოებრივ ბრალმდებელს და საზოგადოებრივ დამცველს. კანონის ძალით პროცესის ამ მონაწილეებს უფლება არა აქვთ გაასაჩივრონ განაჩენი საკასაციო წესით.

ასეთი დადგენილი წესი უნდა იყოს განხილული, როგორც საპროცესო კანონის ხარვეზი. საზოგადოებრივი დამცველი და საზოგადოებრივი ბრალმდებელი წარმოადგენენ პროცესის მონაწილეებს, მის სრულუფლებიან სუბიექტს (იხ. საქ. სსრ სსს კოდექსის 251-ე მუხლი).

იმის გამო, რომ მოქმედი კანონით არ არის გათვალისწინებული საზოგადოებრივი ბრალმდებელისა და საზოგადოებრივი დამცველის მიერ განაჩენის გასაჩივრების უფლება, ლიტერატურაში დაყენებულია საკითხი, რომ პროცესის ამ მონაწილეებმა საჩივრით მიმართონ პროკურორს და თხოვონ მას განაჩენის გაპროტესტება⁶. საკითხის ასე ნახევრად გადაწყვეტა არ არის საკმარისი, ვინაიდან ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი დამცველი და ბრალმდებელი მთლიანად დამოკიდებული არიან პროკურორზე, რომელსაც შეუძლია გაიზიაროს ან არ გაიზიაროს მათი მოსაზრება.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით უფრო დემოკრატიული, სწორი და დასაბუთებულია ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივ ბრალმდებელსა და დამცველს კანონის ძალით მიენიჭოს განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების უფლება და ამ თვალსაზრისით შეტანილ იქნეს სათანადო ცვლილება საპროცესო კოდექსებში⁷.

ბ) საპროცესო კანონის შესაბამისად (337-ე მუხლი) მსჯავრდებულის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს გაასაჩივროს საკასაციო წესით სასამართლოს განაჩენი, მაგრამ კანონში არ არის ნათქვამი შეუძლია თუ არა გაასაჩივროს განაჩენი მსჯავრდებულის ახლო ნათესავს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის 17 დეკემბრის სახელმძღვანელო № 10 დადგენილების „სასამართლოების მიერ საკასაციო წესით სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის პრაქტიკის შესახებ“ მე-9 პუნქტის შესაბამისად

⁵ См. Обзор практики рассмотрения Верховным Судом РСФСР уголовных дел в кассационном порядке и в порядке надзора в 1988 году, «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1989, № 12, с. 9—12; Обзор по некоторым вопросам кассационной и надзорной практики Верховного Суда РСФСР по уголовным делам, «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1987, № 11, с. 9—16.

⁶ См. Советский уголовный процесс, Ленинград, 1989, с. 357; Басков В. И. Общественные обвинители и защитники, М., 1979, с. 81—82.

⁷ См. Строгович М. С. Курс советского уголовного процесса, том 2, М., 1970, с. 372.

მსჯავრდებულის ახლო ნათესავს უფლება აქვს გაასაჩივროს სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით, თუ ისინი პროცესში ოფიციალურად იყვნენ დაშვებულნი განსასჯელის კანონიერ წარმომადგენლად, მის დამცველად ან დაზარალებულის წარმომადგენლად⁸.

მიგვაჩნია, რომ კანონის სრულყოფის მიზნით, მისი დემოკრატიული საწყისების განმტკიცების შესაბამისად, სასურველი იქნებოდა მსჯავრდებულის ახლო ნათესავს მიენიჭოს განაჩენის გასაჩივრების უფლება როგორც თავისი ინიციატივით, ისე მსჯავრდებულის რწმუნების საფუძველზე.

გ) პროცესუალურ ლიტერატურაში და პრაქტიკაში⁹ გარკვეულ დავას იწვევს საკითხი იმის შესახებ, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი: თუ დამცველმა გაასაჩივრა განაჩენი, მაგრამ მსჯავრდებული უარს ამბობს დაცვაზე მეორე ინსტანციის სასამართლოში საქმის განილვის დროს; თუ დამცველს მიაჩნია, რომ სასამართლოს განაჩენი უნდა გასაჩივრდეს, მაგრამ მსჯავრდებულს არ სურს განაჩენის გასაჩივრება; თუ დამცველს არ მიაჩნია საჭიროდ განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრება, მაგრამ მსჯავრდებული საჭიროდ თვლის განაჩენის გასაჩივრებას; საჭიროა თუ არა მსჯავრდებულის თანხმობა იმის თაობაზე, რომ დამცველმა გაასაჩივროს განაჩენი საკასაციო წესით.

ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დამცველი მონაწილეობდა პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განილვის დროს და მას მიაჩნია, რომ განაჩენი უნდა გასაჩივრდეს, იგი უფლებამოსილია შეიტანოს საკასაციო საჩივარი თავის ინიციატივით მსჯავრდებულთან ამ საკითხის შეთანხმების გარეშე¹⁰. საკითხის ამგვარ გადაწყვეტას საფუძვლად უდევს დამცველის, როგორც პროცესის სრულყოფიანი სუბიექტის, უფლებამოსილება და მისი მოვალეობა დაიცვას მსჯავრდებულის უფლებები რეალურად და ეფექტიანად. საპროცესო კანონი დამცველს ანიჭებს განაჩენის გასაჩივრების უფლებას და იგი არ მოითხოვს ამ უფლების განხორციელებისათვის მსჯავრდებულის თანხმობას. თუ მსჯავრდებული არ ეთანხმება დამცველის მიერ საკასაციო საჩივარში მოყვანილ დასაბუთებას და მოტივირებას, მას შეუძლია თვითონაც გაასაჩივროს საკასაციო წესით სასამართლოს განაჩენი და დაასაბუთოს იგი თავისებურად და არა ისე, როგორც ეს დამცველმა გააკეთა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის 17 დეკემბრის № 10 დადგენილებაში გატარებულია შემდეგი მოსაზრება დამცველზე უარის თქმასთან დაკავშირებით. კერძოდ, პლენუმის დადგენილების მე-8 პუნქტში აღნიშნულია, რომ თუ მსჯავრდებული უარს იტყვის იყოლიოს მეორე ინსტანციის სასამართლოში დამცველი, ამ დამცველის მიერ ადრე შეტანილი საკასაციო საჩივარი არ უნდა იყოს განხილული და საქმეზე წარმოება წყდება, თუ სხვის მიერ არ არის გასაჩივრებული ან გაპროტესტებული

⁸ См. «Сборник постановлений пленума Верховного Суда СССР (1924—1986)», М., 1987, с. 798.

⁹ См. Апт П., Защитник в кассационной инстанции, «Советская юстиция», 1987, № 10, с. 15; Практика прокурорского надзора при рассмотрении судами уголовных дел, М., 1987, с. 608, 610—611.

¹⁰ См. «Сборник постановлений пленума Верховного Суда СССР», М., 1987, с. 797; Басков В. И., Протокольная форма досудебной подготовки материалов, М., 1989, с. 123.



განაჩენი, იმ შემთხვევაში კი, როდესაც კანონის ძალით დამცველზე უარის თქმა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის (საქ. სსრ სსს კოდექსის 45-ე მუხლი), საკასაციო ინსტანცია კოლეგიურად გადაწყვეტს საკითხს არსებითად და მიუხედავად მსჯავრდებულის მიერ დაცვაზე უარის თქმისა, მას უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს დამცველის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივარი¹¹.

სასამართლო პრაქტიკაში ადგილოდ იქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დამცველს მიაჩნია, რომ სასამართლოს განაჩენი უნდა გასაჩივრდეს საკასაციო წესით, მაგრამ მსჯავრდებულის ამის წინააღმდეგაა. ა. ლ. ციპკინი თვლის, რომ თუ მსჯავრდებულს არ სურს განაჩენის გასაჩივრება, დამცველს უფლება არ აქვს შეიტანოს საკასაციო საჩივარი¹². ასეთი მოსაზრება სადავოა, რადგან დამცველი არის პროცესის დამოუკიდებელი სუბიექტი, იგი მოქმედებს თავის შინაგანი რწმენის საფუძველზე და თუ იგი მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის ინტერესებიდან გამომდინარე, განაჩენი უნდა გასაჩივრდეს საკასაციო წესით, მის პროცესუალურ ვალდებულებას შეადგენს განაჩენის გასაჩივრება.

განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების დროს, ზოგ შემთხვევაში, ადგილი აქვს ისეთ გარემოებას, რომ მსჯავრდებულს მიაჩნია და თვლის, რომ განაჩენი უნდა გასაჩივრდეს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ მის დამცველს მიაჩნია, რომ განაჩენის გასაჩივრებისათვის არ არსებობს არავითარი საფუძველი.

ამ საკითხის გადაწყვეტის დროს უნდა გამოვიდეთ იმ პრინციპული დებულებიდან, რომ დამცველი ყველა შემთხვევაში ვალდებულია დაიცვას მსჯავრდებულის ინტერესები და არც ერთ შემთხვევაში იგი არ დატოვოს დაცვის გარეშე. აქედან გამომდინარე იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ დამცველმა უნდა გაასაჩივროს სასამართლოს განაჩენი, მაგრამ საკასაციო საჩივარი მან უნდა შეიტანოს არა თავისი, არამედ მსჯავრდებულის სახელით. ამ დროს დამცველი ვალდებულია მსჯავრდებულის სახელით დაასაბუთოს საკასაციო საჩივარი, მოიყვანოს განაჩენის გაუქმების ან შეცვლის მოტივები და ყველა ის არგუმენტაცია, რომელსაც მსჯავრდებულის აყენებს განაჩენის საკასაციო წესით გადასინჯვისათვის, როგორც სწორად არის აღნიშნული, საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა იქნებოდა მსჯავრდებულის დაცვის გარეშე დატოვება¹³.

დ) კანონის ძალით (საქართველოს სსრ სსს კოდექსის 339-ე მუხლი) განაჩენებზე პროტესტის ან საჩივრის შემოსვლის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლო ატყობინებს მსჯავრდებულს, გამართლებულს და პროცესში მონაწილე სხვა პირებს, რომელთა ინტერესებსაც ეხება საჩივარი ან პროტესტი, რომ ისინი გაეცნონ საჩივრისა და პროტესტის შინაარსს და საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინონ საწინააღმდეგო მოსაზრება. კანონის ეს დებულება არის სწორი და ერთგვაროვნად გადაწყვეტილი მოკავშირე რესპუბლიკების საპროცესო კოდექსებით, მაგრამ პრაქტიკაში იგი ყოველთვის

¹¹ «Сборник постановлений пленума Верховного Суда СССР», М., 1987, с. 797.

¹² Ципкин А. Л., Право на защиту в кассационном и надзорном производстве при исполнении приговора, Саратов, 1965, с. 16.

¹³ См. Перлов И. Д., Кассационное производство в советском уголовном процессе, М., 1968, с. 173—140; «Советский уголовный процесс», М., 1980, с. 423.

არ არის დაცული და გარანტირებული. კანონის აღნიშნული მოთხოვნის დარღვევის შესახებ მიუთითა რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა თავის 1988 წლის 23 აგვისტოს № 5 დადგენილებაში „საკასაციო ინსტანციის სასამართლოს როლის ამოღების შესახებ სისხლის სამართლის საქმეთა ხარისხიანი განხილვის უზრუნველსაყოფად“¹⁴.

კანონმდებლობით სხვადასხვაგვარად წყდება საკითხი იმის შესახებ უნდა ჩაბარდეს თუ არა მსჯავრდებულს და გამართლებულს პროტესტის ან საჩივრის პირი.

რსფსრ-ის სსსკ 327-ე მუხლის, საქართველოს სსრ სსსკ 339-ე მუხლისა და სხვა ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკათა საპროცესო კოდექსების მუხლების შესაბამისად (ტაჯიკეთი — 331-ე, თურქმენეთი — 342-ე) მსჯავრდებულს ან გამართლებულს, თუ იგი ამას მოითხოვს, მიეცემა პროტესტის ან საჩივრის პირი.

მოლდავეთის სსრ სსს კოდექსის 398-ე მუხლის, სომხეთის სსრ სსს კოდექსის 325-ე მუხლის, ყირგიზეთის სსრ სსს კოდექსის 329-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო ვალდებულია ყველა შემთხვევაში ჩააბაროს საჩივრისა და პროტესტის პირი მსჯავრდებულს ან გამართლებულს. ესტონეთის სსრ სსს კოდექსის 294-ე მუხლის შესაბამისად მსჯავრდებულს, თუ იგი პატიმრობაში იმყოფება, მხოლოდ მაშინ ბარდება პროტესტის ან საჩივრის პირი.

საკითხის ასეთი სხვადასხვაგვარი გადაწყვეტა მოკავშირე რესპუბლიკების საპროცესო კოდექსების საფუძველზე, არ არის გამართლებული, იგი არ შეიძლება აიხსნას მოკავშირე რესპუბლიკათა თავისებურების საფუძველზე. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი დემოკრატიზაციისა და მსჯავრდებულის დაცვის უფლების შემდგომი გაფართოების მიზნით, სასურველი იქნებოდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკების საპროცესო კოდექსებმა დაადგინონ წესი, რომლის შესაბამისად მსჯავრდებულს და გამართლებულს ყველა შემთხვევაში ჩაბარდეს საკასაციო წესით გასაჩივრებული პროტესტის ან საჩივრის პირი.

ე) პირს, რომელიც საჩივრებს ან აპროტესტებს განაჩენს საკასაციო წესით უფლება აქვს შეიტანოს დამატებითი პროტესტი ან საჩივარი მანამ, ვიდრე დაიწყება საქმის განხილვა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც დამატებითი საჩივრის ან პროტესტის შეტანა გამოწვეულია იმით, რომ ძირითადი საჩივრის ან პროტესტის შეტანის შემდეგ აღმოცენდა და გაირკვა ახალი გარემოებანი, რომელიც საჭიროა აისახოს დამატებით საჩივარში ან პროტესტში. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დამატებითი საჩივრის შეტანა გამოწვეულია მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებით. საჩივრის შემტანი პირი, როგორც წესი, დამცველი, ძირითად საჩივარს არ ასაბუთებს, არ მოჰყავს მასში მოტივები, რომლებმაც უნდა გამოიწვიოს განაჩენის შეცვლა ან გაუქმება, ინახავს ამას საიდუმლოდ და წარუდგენს შემდგომ საკასაციო ინსტანციის სასამართლოს დამატებითი საჩივრის სახით. ასეთი ხერხი არ არის სასურველი, მაგრამ იგი დასაშვებია, რადგან კანონი არ მოითხოვს საკასაციო საჩივრის დაწვრილებით დასაბუთებას. მართოდენ ის ფაქტი, რომ შეტანილია

¹⁴ См. «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1988, № 10, с. 5.

საკასაციო საჩივარი აუცილებლად გამოიწვევს საქმის განხილვას საკასაციო ინსტანციაში¹⁵.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დამატებით საკასაციო საჩივარში (პროტესტი) არ შეიძლება მოყვანილ იქნას იმ დარღვევებისა და ნაკლის შესახებ, რომელიც არ იყო ასახული ძირითადი საჩივარში¹⁶.

გ. საქმის განხილვა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

ა) საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვამდე უნდა გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს გამოძახებული საქმის განხილვასთან დაკავშირებით. საერთო წესის მიხედვით იმ პირს, ვისაც შეტანილი აქვს საკასაციო საჩივარი, უნდა ეცნობოს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დღისა და დროის შესახებ. ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკის საპროცესო კოდექსის შესაბამისად (მაგალითად, რსფსრ-ის სსსკ 336-ე მუხლი) რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს საქმის განხილვის დანიშნის შესახებ აცნობებს საკასაციო საჩივრის შემტან პირს და იმ პირს, ვინც საწინააღმდეგო მოსაზრება შეიტანა საკასაციო საჩივრის ირგვლივ, მხოლოდ მაშინ, თუ ეს პირები მოითხოვენ დაესწრონ საქმის განხილვას საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

მიგვაჩნია, რომ მსჯავრდებულს უნდა ეცნობოს საქმის განხილვის დროის შესახებ, მიუხედავად იმისა, იმყოფება იგი საპატიმრო ადგილებში, თუ მას არა აქვს შეზღუდული თავისუფლება, შეტანილი აქვს მას საკასაციო საჩივარი, თუ — არა. ასეთი წესი პირდაპირ და ნათლად არ არის ჩამოყალიბებული საპროცესო კოდექსებში, მაგრამ მისი დანერგვა იქნებოდა მეტად სასურველი და საჭირო.

კანონში ნათქვამია (საქართველოს სსრ სსს კოდექსის 346-ე მუხლი), რომ საკასაციო წესით საქმის განხილვისას სასამართლო სხდომაზე მსჯავრდებულის მონაწილეობის საკითხს წყვეტს სასამართლო, რომელიც საქმეს იხილავს.

კანონის სრულყოფის მიზნით სასურველი იქნებოდა მასში აღინიშნოს, რომ თუ პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებული სურვილს გამოთქვამს ახსნა-განმარტება მისცეს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს, იგი ყველა შემთხვევაში უნდა იყოს მოყვანილი საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. საკითხის ასეთი გადაწყვეტა, ჯერ ერთი, საშუალებას მისცემს მსჯავრდებულს უშუალოდ განახორციელოს დაცვის უფლება და, მეორე მხრივ, მისი უფლება, მონაწილეობა მიიღოს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, გათანაბრებული იქნება იმ მსჯავრდებულთან, რომელიც არ იმყოფება პატიმრობაში. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელს, თავისი სურვილის მიხედვით, ყოველთვის შეუძლია გამოცხადდეს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში და მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ასეთი მოსაზრება სამართლიანად არის გამოთქმული ლიტერატურაში¹⁷.

ბ) საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის წესს არეგ-

¹⁵ См. «Комментарий к уголовно процессуальному кодексу РСФСР». М., 1985, с. 489.

¹⁶ Перлов И. Д. — Кассационное производство в советском уголовном процессе. М., 1968, с. 376.

¹⁷ См. Строгович М. С., Курс советского уголовного процесса, том 2, М., 1970, с. 396.

ლაშქარებს საქართველოს სსრ სსს კოდექსის 349-ე მუხლი, რომელიც მთელი რიგი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტას ტოვებს რეგლამენტის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა, რომ 349-ე მუხლში დამატებით აღნიშნოს საკასაციო ინსტანციის თავმჯდომარის ისეთი მოვალეობა, როგორცაა: გამოცხადებული მსჯავრდებულისა და პროცესის სხვა მონაწილეთა პიროვნების დადგენა; საკითხის გარკვევა გაეცნოთ თუ არა შესაბამის პირებს პროტესტის ან საჩივრის შინაარსი; გამოცხადებულ პირებისათვის უფლებათა და მოვალეობათა განმარტება; თუ თარჯიმანი მონაწილეობს, მისი გაფრთხილება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ შეგნებულად ცრუ თარჯიმანისათვის. კანონში საჭიროა იყოს აგრეთვე რეგლამენტირებული განცხადებული აცილების გადაწყვეტის წესი.

გ) კანონის შესაბამისად (საქართველოს სსრ სსსკ 348-ე მუხლი) საჩივარში ან პროტესტში მოყვანილ მოსაზრებათა დასადასტურებლად ან უარსაყოფად, პირებს, რომლებსაც უფლება აქვთ საკასაციო წესით გაასაჩივრონ ან გააპროტესტონ სასამართლოს განაჩენი, შეუძლიათ წარადგინონ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში დამატებითი მასალები.

დამატებითი მასალების (ან ახალი მასალების) წარდგენა საკასაციო ინსტანციის სასამართლოსათვის არის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი პრინციპი, რომელიც ხელს უწყობს ზემდგომ სასამართლოს საქმის სრულყოფილად და ყოველმხრივად განხილვაში. დამატებითი მასალების სახით საკასაციო ინსტანციას წარედგინება ისეთი მასალები, რომელიც არ იყო განხილვის საგანი პირველი ინსტანციის სასამართლოში და არ არის მოპოვებული საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გზით. ამ მასალების სახით, როგორც წესი, წარედგინება საკასაციო ინსტანციას დოკუმენტები (სხვადასხვა სახის საბუთები, წერილები, განცხადებები, ცნობები, დახასიათებები, სპეციალისტთა დასკვნები)¹⁸, მაგრამ კანონი არ კრძალავს, რომ დამატებითი მასალების სახით წარდგენილი იყოს სხვადასხვა სახის საგანი.

საპროცესო კოდექსების უმრავლესობა არ არეგულირებს საკითხს იმის შესახებ, შეუძლია თუ არა საკასაციო ინსტანციის სასამართლოს თვითონ გამოითხოვოს დამატებითი მასალები სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებიდან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან და ცალკეულ მოქალაქეთა მფლობელობიდან. მხოლოდ ესტონეთის სსრ სსს კოდექსი პირდაპირ ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოს უფლებას არა მარტო მიიღოს დამატებითი მასალები პროცესის მონაწილეებისაგან, არამედ უშუალოდ გამოითხოვოს ისინი (მუხლი 301-ე).

კანონის ასეთი მითითება არის სწორი და დასაბუთებული, იგი ხელს უწყობს სასამართლო ინიციატივის გამოჩენას საქმის ყოველმხრივი და სრულყოფილი განხილვის მიზნით.

დ) არსებული წესის თანახმად საკასაციო ინსტანციაში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს არ დგება ოქმი. სასამართლო სხდომის შინაარსი და გამოთქმული მოსაზრებანი აისახება საკასაციო ინსტანციის მიერ გამოტანილ განჩინებაში.

¹⁸ См. Бурмакинский Ю., Мольков Н., Пересмотр в порядке надзора Судебных решений по уголовным делам, «Советская юстиция», 1987, № 4, с. 13—14.

პროცესუალურ ლიტერატურაში სამართლიანად არის დაყენებული კითხი იმის შესახებ, რომ კანონის ეს ხარვეზი გამოსწორდეს და მასში ნილ იყოს ახალი ნორმა, რომელიც დაავალდებულებდა საკასაციო ინსტანციის სასამართლოს საქმის განხილვის ყველა შემთხვევაში შეადგინოს სასამართლო სხდომის ოქმი¹⁹.

საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დროს ოქმის შედგენის აუცილებლობა იმით არის გამოწვეული, რომ მასში სრულად აისახებოდა სასამართლო სხდომის პროცესის მსვლელობა, პროცესის მონაწილეთა უფლებათა განმარტება, თარჯიმანის გაფრთხილება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, საქმეში მონაწილე პირთა აღძრული აცილება და მისი მოტივები, მათ მიერ განცხადებული შუამდგომლობები და ახსნა-განმარტებანი. ყველა ამ მასალის დამახსოვრება და აღქმა პრაქტიკულად შეუძლებელია ოქმის შედგენის გარეშე არა მარტო მრავალეპიზოდური და დიდი საქმეების განხილვისას, არამედ ყოველი საქმის საკასაციო წესით განხილვის დროსაც.

¹⁹ См. Перлов И. Д., Кассационное производство в советском уголовном процессе, М., 1968, с. 299—300; Строгович М. С., Курс советского уголовного процесса, том 2, М., 1970, с. 400—401.

მარია მ. ცაცანაშვილი

საქართველოს რევოლუციის იურიდიული და პოლიტიკური გუნდებისათვის

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, წლების განმავლობაში, მკვლევართა შორის დაგა არ შეწყვეტილა საქართველოში 1921-1922 წლებში არსებული რევოლუციური კომიტეტის პოლიტიკური შეფასების თაობაზე. კონკრეტულად, დავის საგანი გახდა რევკომის პროლეტარიატის დიქტატურის ფორმად აღიარება. მეცნიერთა ერთი ნაწილი (გ. ერემოვი, ნ. სუმბაძე, ი. კაჭარავა, ა. კინწურაშვილი, გ. თევზაძე და სხვები) გამოდიან იმ მოსაზრებიდან, რომ გამარჯვებულ მუშათა კლასს, ქვეყნის საშინაო და საგარეო პირობების შესაბამისად არ შეეძლო საბჭოები თავიდანვე მიეღო სახელმწიფოებრივ ფორმად. ისინი თვლიან, რომ 1921 წლიდან შეუძლებელი იყო პროლეტარიატის დიქტატურის არსებობა რაიმე სახელმწიფოებრივი ფორმის გარეშე და რევკომების სისტემაც სწორედ ამ ფორმის გამონახულება იყო.

მკვლევართა მეორე ნაწილი (უ. ბახტაძე, ი. დოლიძე, ივ. სურგულაძე, კ. წერეთელი და სხვები) რევკომს არ მიიჩნევენ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად, იმის გამო, რომ რევოლუციური ხელისუფლების საგანგებო ორგანოები, რომელთა ფუნქციები იცვლებოდა ქვეყანაში შექმნილი ვითარების შესაბამისად, არსებობდა ყველგან, სადაც კი სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა. მათ ზოგან რევშტაბები (იაკუტიაში), ზოგან ლარბთა კომიტეტები (ალმოსავლეთ ციმბირში), ზოგან სასოფლო და საუბნო ლარბკომები (აზერბაიჯანში, სადაც რევკომების გაუქმების შემდეგ, საბჭოების არჩევნებამდე, ისინი საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენდნენ) ერქვათ. მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად ისინი არსად ყოფილან აღიარებულნი. გარდა ამისა, აურჩეველი ორგანოს გამოცხადება სახელმწიფოს ფორმად, როგორც პოლიტიკურად, ისე მეცნიერულად, მიუღებელია.

უკანასკნელ პერიოდში სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში მწვავედ დაისვა ეს საკითხი, ხოლო საქართველოს სსრ XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს XII სესიამ 1921 წლის 25 თებერვლის აქტი შეაფასა, რო-

გორც რსფსრ-ს მხრიდან დემოკრატიული საქართველოს შეიარაღებული პარტიის პარტიის, ინტერვენცია და ფაქტობრივი ანექსია.

ასეთ ვითარებაში კვლავ დგება ჩვენს წინაშე რევკომების პოლიტიკური და იურიდიული ბუნების ფარკვევის საკითხი. ამ წერილის მიზანიც სწორედ ეს არის.

საერთო აღიარებით, რევკომები დროებითი საგანგებო ორგანოებია, რომლებიც იქმნებოდა სამოქალაქო ომისა და სამხედრო ინტერვენციის პირობებში და აერთიანებდა მთელ სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებას. 1919 წლის 24 ნოემბრის დებულებაც რევკომების შესახებ, ითვალისწინებდა ახალგანთავისუფლებულ ტერიტორიაზე, ფრონტისპირა ზონასა და ზურგში რევკომების შექმნას. როგორც წესი, მათ ქმნიდა რევოლუციური სამხედრო საბჭო, რომელიც სამხედრო ხელისუფლების და პოლიტიკური ხელმძღვანელობის უმაღლესი კოლექტიური ორგანო იყო, მაგრამ მასში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებიც მონაწილეობდნენ. რაც შეეხება საქართველოს რევკომს, ოფიციალური ვერსიით იგი შეიქმნა 16 თებერვალს შულავერში, რუსეთის გამოცდილების საფუძველზე, „საქართველოს მშრომელთა აჯანყების“ ხელმძღვანელობისათვის.

აქ ორ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. ჯერ ერთი, რევკომი საქართველოს აჯანყებას ვერ უხელმძღვანელებდა იმ უბრალო მიზეზით, რომ იმ დროს საქართველოში აჯანყება არ მომხდარა; მეორე, თუ ვიტყვი, „რუსეთის გამოცდილების საფუძველზე“, უნდა განვმარტოთ, რომ რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციები მუშათა და ჯარისკაცთა ადგილობრივ საბჭოებთან 1917-1918 წლებში აყალიბებდნენ არა რევკომებს, არამედ სამხედრო რევკომებს. პირველი ასეთი სამხედრო რევკომის შექმნის იდეა ლენინს ეკუთვნის და იგი განხორციელდა პეტროგრადის სამხედრო საბჭოს მიერ 1917 წლის 12 (15) ოქტომბერს. აჯანყების გამარჯვების დროს ქვეყანაში 40-ზე მეტი სამხედრო რევკომი მოქმედებდა, ხოლო სამოქალაქო ომის დროს თეთრგვარდიელთა და უცხოეთის ინტერვენტთა მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე იქმნებოდა არალეგალური სამხედრო რევკომები.

ასე რომ, ფაქტობრივად საქართველოში რევკომები შეიქმნა მთავრობისა და პარტიის ლიდერთა მიერ ჩამოყალიბებული შეხედულებებითა და მითითებებით, რომლებსაც რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურო და XI წითელი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო ანხორციელებდნენ. ამ ორგანოს შექმნას თავისი პოლიტიკური მისია ჰქონდა, რათა საქართველო აღებული ყოფილიყო „საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დაცვით“.

საქართველოს რევკომმა შექმნის დღესვე სთხოვა რუსეთის მთავრობას დახმარება, რადგან სწორედ ეს იყო მისი საგანგებოდ შექმნის ძირითადი ამოცანა. თუმცა, ქრონოლოგიურად, საარქივო მასალების მოშველიებით, ნათელი ხდება, რომ წითელი არმიის შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე და საომარი მოქმედებების დაწყება ბევრად უსწრებდა წინ საქართველოს რევკომის მოთხოვნას.

რევოლუციური კომიტეტების ბუნების სრული ახსნისათვის საჭიროა ამომწურავად გაირკვეს მათი ადგილი პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში.

პროლეტარიატის დიქტატურა მარქსიზმის კლასიკოსების მიერ მიჩნეუ-

ლია როგორც კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის პოლიტიკურად გარდამავალი პერიოდი. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს გარკვეულ ტიპს, რომელიც ფორმათა მრავალგვარობით შეიძლება დახასიათდეს. დიქტატურა ისტორიისათვის უცხო არ არის, მისი შემოღება ხდებოდა ქვეყნისათვის საფრთხის დამუქრების დროს (მაგალითად: რომში სენატის დადგენილებით), კლასობრივი ბრძოლის მკვეთრად გამწვავების პერიოდში (მაგალითად ფრანკოს დიქტატურა ესპანეთში, ფაშისტური დიქტატურა ნაცისტურ გერმანიაში); მაგრამ ასეთ შემთხვევებში დიქტატურა არის ხელისუფლების განხორციელების წესი, ე. წ. დიქტატორული რეჟიმი.

რაც შეეხება დიქტატურას, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების არსს, იგი ჯერ კიდევ ანტიკური სამყაროდან მომდინარეობს (პლატონი, ციცერონი და ა. შ.), შემდგომში იგი განვითარდა ახალ დროშიც (ბაბევი და ა. შ.), ფაქტობრივად კი განხორციელდა მარქსიზმის კლასიკოსთა მეცნიერული ნაშრომების მიხედვით. მარქსისტული მოძღვრების ამოსავალი დებულებაა სოციალისტური რევოლუციის ერთდროულად გამარჯვება მთელს მსოფლიოში, ამიტომ, პროლეტარიატის დიქტატურის ტიპის სახელმწიფოს, რა ფორმითაც არ უნდა არსებულებოდა იგი, საშინაო და საგარეო ფუნქციები შეზღუდული ექნებოდა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მარქსი აპროგნოზებდა მხოლოდ თავისი დროის, კერძოდ XIX საუკუნის განვითარების შესაძლებლობებს და არ ეგონა, რომ სოციალისტურ სისტემას დიდხანს მოუწევდა არსებობა კაპიტალისტურ გარემოცვაში. ლენინური თეორია კი ძლიერი კაპიტალისტური სახელმწიფოების გვერდით შესაძლებლად მიიჩნევს ცალკე აღებულ ერთ რომელიმე ქვეყანაში (თუნდაც კაპიტალისტურად განუვითარებელ სახელმწიფოში), სოციალიზმის გამარჯვებას. ასეთ შემთხვევაში პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს ფუნქციები მკვეთრად იზრდება, რაც დაკავშირებულია გაბატონებული კლასის ძალადობასა და სისხლიან ბრძოლებთან, აგრეთვე საერთაშორისო ასპარეზზე თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის განმტკიცებასა და გავრცელებასთან.

ფართოდ იყო დამკვიდრებული ის წარმოდგენაც, თითქოს ლენინს ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის დასრულებული პროგრამა, სინამდვილეში მას ასეთი პროგრამა არ ჰქონია.

ცნობილია, რომ ლენინსა და ბოლშევიკებს ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და მოწყობის პერიოდში განვითარებული ქვეყნების პროლეტარიატის მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ, მაგრამ სამოქალაქო ომი ისე დამთავრდა, სხვა ქვეყნებში პროლეტარული რევოლუცია არ მომხდარა. ამდენად, გასაბჭოებული რუსეთი მსოფლიო რევოლუციის დაწყების მოლოდინში სრულიად მარტო აღმოჩნდა. იმდროინდელი პოლიტიკური ხელისუფლების აბსოლუტური უმრავლესობაც შეუძლებლად თვლიდა რომელიმე პარტიის მიერ ხელისუფლების ხელში აღებას, რადგან თვლიდნენ, რომ რუსეთში არ იყო ისეთი ძლიერი და გავლენიანი პარტია, რომელსაც შეეძლო მხარდაჭერა ჰქონოდა და გამოეხატა საზოგადოების აუცილებელი უმრავლესობის ნება. ასეთ პოლიტიკურ სიტუაციაში ხელისუფლების ხელში აღება კი არ ხდებოდა, არამედ იდეის განსახორციელებლად, ბოლშევიკებმა დაიპყრეს ხელისუფლება. ეს ნიშნავდა, რომ სოციალიზმის მშენებლობის საქმეში ლენინმა წინ წამოსწია და ერთმანეთს დაუკავშირა პროლეტარიატის დიქტატურის 2 ელემენტი: იძულება და აღმშენებლობა, მაგრამ არა მთელი კლასის — პრო-

ლეტარიატისა, არამედ ერთი ნაწილის — ბოლშევიკური პარტიის იძულებული აღმშენებლობა საზოგადოების უდიდესი ნაწილის მიმართ.

რუსეთში სოციალიზმის მშენებლობის დაწყება არსებითად ემყარებოდა სოციალისტური რევოლუციის ლენინურ თეორიას, რომელიც დიქტატურის ისეთი საშინაო ფუნქციების გვერდით, როგორცაა სამეურნეო-ორგანიზატორული, კულტურულ-აღმზრდევლობითი და სოციალისტური საკუთრების დაცვა, აუცილებლად მიიჩნევდა დაპირისპირებული კლასების წინააღმდეგობათა დათრგუნვის და ექსპლუატატორული კლასების მოსპობის ფუნქციის არსებობას. იგი განაპირობა დიქტატურის ვიწრო ჩარჩოებში მოქცევამ და ერთი გარკვეული პარტიის, ბოლშევიკების, დიქტატურად გადაქცევამ, რომლითაც შეუზღუდველი ძალაუფლება გავრცელდა საზოგადოების უდიდეს ნაწილზე. ჯერ იყო და ქვეყანაში არსებული კაპიტალისტები და მემამულეები გამოცხადდნენ ექსპლუატატორულ კლასებად, შემდეგ იგი გავრცელდა კულაკობაზეც. კაცობრიობის ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ხელისუფლება სახელმწიფოში მცხოვრებ მტრულად გამოცხადებულ კლასებს ფიზიკურად ანადგურებდა. თუ იმდროინდელ აღწერის მასალებსაც გადავხედავთ, ნათლად შევამჩნევთ საზოგადოებრივ სტრუქტურაში არსებით ცვლილებებს: თუ 1928 წლის მონაცემებით ბურჟუაზია შეადგენდა მთელი მოსახლეობის 4,5 პროცენტს, ხოლო კულაკები 3,7 პროცენტს, 1934 წლისათვის — შესაბამისად 0,1 პროცენტი და 0,9 პროცენტია. 1939 წლის აღწერით კი მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაში ბურჟუაზია და კულაკობა საერთოდ აღარ ჩანს.

მარქსისტული მოძღვრება არ გულისხმობს ახალი საზოგადოების განვითარების კონკრეტული ფორმებისა და მექანიზმების გამოგონებას. მასში დამუშავებულია სოციალიზმის იდეა, ამასთან, ეყრდნობა რა რეალურ საზოგადოებრივ ცხოვრებას, თავისი დროის რევოლუციური მუშათა მოძრაობის პრაქტიკას, ამტკიცებს კაპიტალიზმის ისტორიულად წარმავალ ხასიათს და საზოგადოებრივი განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლის ისტორიულ აუცილებლობას; ამიტომ, ცხადია, თეორია პასუხს ვერ აგებს ამა თუ იმ წლებში მომხდარი სოციალიზმის დეფორმაციისა და ამა თუ იმ პოლიტიკურ მიღწევათა მცდარი მოქმედებისათვის.

რამდენად სწორად იყო ინფორმირებული ლენინი საქართველოში რევოლუციური სიტუაციისა და აქ აჯანყების ორგანოების შექმნის აუცილებლობის შესახებ, კარგად ჩანს უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული საარქივო მასალებიდან. ჩვენ მხოლოდ შევაფასებთ დიქტატურის ტიპის, ლენინის მიერ აღმოჩენილი საბჭოების ფორმის სახელმწიფოში შექმნილ რევოლუციურ კომიტეტებს, როგორც დიქტატურისათვის თანამდევ საგანგებო და აუცილებელ ორგანოებს. სახელმწიფოს მექანიზმში მათ მივიჩნევთ ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალური ორგანოების, აგრეთვე საბჭოთა წითელი არმიის საგანგებო ადგილობრივ ორგანოებად, რომლებიც იკმნებოდნენ რევოლუციის ინსცენირების ან საოკუპაციო რეჟიმის დროს და ახორციელებდნენ ქვეყნის საგარეო ფუნქციას — საბჭოთა წესწყობილების ექსპორტირებას მსოფლიო რევოლუციისაკენ მიმავალ გზაზე.

აჯანყების მომზადებისა და ხელისუფლების ხელში ასაღებად მონათლული ორგანოების ხანგრძლივად არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე (1921 წლის თებერვალი — 1922 წლის თებერვალ-მარტი) ზუსტად შეესაბამებოდა

მის 1919 წლის 24 ნოემბრის დებულებით განსაზღვრულ იურიდიულ სტატუსს, როგორც სამხედრო ინტერვენციის დროს შექმნილ ორგანოს. ეს ნიშნავდა, რომ რევკომები არა მარტო სხვა ქვეყნების მიერ ინტერვენციის წინააღმდეგ შექმნილი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოები იყო, არამედ შინაარსობრივად გულისხმობდა აგრეთვე ინტერვენციას თვით საბჭოთა რუსეთის მხრიდანაც, რადგან რევოლუციურმა მესიანობამ ტრანსფორმაცია განიცადა და საგარეო პოლიტიკაში სახელმწიფოებრივ მესიანობად იქცა. (შედარებისათვის: აზერბაიჯანში რევკომები არსებობდა 1920 წლის აპრილიდან 1921 წლის მაისამდე, სომხეთში — 1920 წლის ნოემბრიდან 1921 წლის მაისამდე; უკრაინაში — 1919 წლის დეკემბრიდან 1920 წლის თებერვლამდე; ბელორუსიაში — 1918 წლის ნოემბრიდან 1920 წლის დეკემბრამდე, ხოლო რუსეთში, აჯანყების ხელმძღვანელობის ორგანოები, რომელთანაც ეს რევკომებია გაიგივებული, შეიქმნა პეტროგრადში 1917 12 (15) ოქტომბერს, მოსკოვში — 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს), რომელთაც ხელისუფლება ხელში აღებისთანავე გადასცემს საბჭოებს).

საქართველოს დიქტატურის საგანგებო ორგანოები: საქართველოს რევკომი, სამაზრო, საქალაქო და სათემო რევკომები საოკუპაციო რეჟიმის დროს ჩამოყალიბდა. ამ დროს მოქმედებდა საქართველოს სსრ რევკომის პლენუმი, პრეზიდიუმი, მცირე პრეზიდიუმი, 1921 წლის 21 აპრილის დეკრეტით კი რევკომი გამოცხადდა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უზენაეს საკანონმდებლო, განმკარგულებელ და კონტროლის ორგანოდ. თვითონ ლენინიც, როგორც რსფსრ-ს თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, აღიარებდა საქართველოს სსრ-ს სუვერენული ორგანოების არსებობას და მოითხოვდა მათდამი მე-11 არმიის ხელმძღვანელობის მხრივ განსაკუთრებულ პატივისცემით მოპყრობას, მაგრამ ერთია პატივისცემით მოპყრობა და სხვაა ფაქტობრივი მდგომარეობა, რომ რეალურად ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენდნენ რკპ (ბ) ც. კ.-ს კავბიურო და XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო, ხოლო საქართველოს ც. კ. და რევკომი ნომინალურად ითვლებოდნენ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებად. ასეთი ვითარება სავსებით შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ სამხედრო საოკუპაციო რეჟიმის პირობებს, რომლის დროს მათკუბირებელ სახელმწიფოს არ ენიჭება საკუთრების უფლება ოკუპირებულ ტერიტორიაზე, იგი პატივს უნდა სცემდეს ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებს. ოკუპაცია დროებითი ღონისძიებაა და მისი განხანგრძლივება თვით მათკუბირებულ რუსეთსაც ხელს არ აძლევდა, როგორც ერთა თვითგამორკვევის მედროშე სახელმწიფოს. და 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულებით მოხდა ოკუპირებული სახელმწიფოს ბედის განსაზღვრა, რომ საქართველოს სსრ საბჭოთა რუსეთთან ერთგვარ ფედერაციულ კავშირში შედიოდა. ხელშეკრულების მიხედვით, სამხედრო და სამეურნეო კავშირურთიერთობათა გაერთიანებული ორგანოების ხელმძღვანელობა ხორციელდებოდა სრულიად რუსეთის საბჭოებისა და ცაკის მეშვეობით. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით 1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულება აღარ მოიცავდა დებულებას საქართველოს საქმეებში რუსეთის ჩაურევლობის შესახებ. ეს ნიშნავდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდებოდა ის ღონისძიებანი, რისთვისაც საოკუპაციო რეჟიმი იქნა შემოღებული.

საქართველოს რევკომის საქმიანობა წარიმართა იმგვარად, რომ დაეხმარა კოეზამდე არსებული ყველა ორგანო და დაწესებულება საქართველოში საბჭოთა პრინციპის საფუძველზე აგებულყო. ამ მხრივ საქართველოს რევკომმა გაატარა ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებები. 1921 წლის 11 მარტის დეკრეტით დაშლილად გამოაცხადა დემოკრატიული საქართველოს არმია და გვარდია. 1921 წლის 22 მარტის დეკრეტით გააუქმა დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის მიერ არჩეული სენატი, სასამართლო პალატა დეპარტამენტებით, საბროკურორო ნაწილით და გამოძიებელთა თანამდებობანი, სამხედრო სასამართლო, ასევე ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. 1922 წლის 2 იანვრის დეკრეტით „მუშურ-გლეხური მილიციის ორგანიზაციის შესახებ“, კი მილიციას მიანიჭა ისეთივე მნიშვნელობა, „როგორც განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილებს“, კონტრევოლუციისთან საბრძოლველად; გასწია კონტრაგიტაცია საქართველოს გასაბჭოების გამო რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპაში გაჩაღებულ კამპანიასთან დაკავშირებით. საქართველოს სსრ-ს სახელზე რევკომის მიერ დეკრეტების მიღება იურიდიულად საქართველოს დამოუკიდებლობას ნიშნავდა, მაგრამ თუ შევხედავთ მოვლენებს იმ კუთხით, რომ რკპ (ბ) კავბიურო და წითელი არმიის სამხედრო საბჭო, კვლავ ფუნქციონირებდნენ როგორც ხელისუფლების ორგანოები, რომელთაც შექმნეს საქართველოს რევკომი, ნათელი ხდება, რომ ფაქტიურად ეს დამოუკიდებლობა ვერ განხორციელდებოდა. მართლაც, კავბიუროს 1921 წლის ივლისის პლენუმმა საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის კომუნისტებს დაუსახა რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების პროგრამა. 1921 წლის 16 აგვისტოს რკპ (ბ) ც. კ. კავბიურომ მიიღო გადაწყვეტილება კავკასიის ეკონომიკური საბჭოს დაარსების შესახებ, რაც ნიშნავდა, რომ რუსეთი ამიერკავკასიის ოკუპირებულ ტერიტორიას თავის სამეურნეო და პოლიტიკური ორგანიზაციის სფეროში ათავსებდა, სამი მოკავშირე რესპუბლიკა მისთვის ერთ მთლიან ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა. ამ დადგენილების გამო გაილაშქრეს საქართველოს ც. კ.-ის და რევკომის წევრებმა, რომლებიც მოითხოვდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, რისთვისაც ისტორიაში ნაციონალ-უკლონისტების სახელით შევიდნენ. 1921 წლის 29 ნოემბერს კი რკპ (ბ) ც. კ. პოლიტბიურომ ერთხმად მიიღო ლენინის წინადადება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების შესახებ, რომელიც კიდევ განხორციელდა 1922 წლის 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულებით. ასე, რომ საქართველოს რევკომები იურიდიულად და პოლიტიკურად საქართველოს ფაქტიურ ანექსიას ემსახურებოდნენ.



საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

ბრძანებულება

საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე განთავისუფლების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

„სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-17 და მე-18 მუხლების შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე განთავისუფლების შესახებ. (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 15 დეკემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1976 წ., № 12, მუხ. 217);

საქართველოს სსრ 1981 წლის 25 ნოემბრის კანონი „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“. (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 13, მუხ. 294).

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუშაბრიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1980 წლის 2 თებერვალი.



დეკლარაცია

საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და სახალხო მსჯულთა გაწვევისა და ვადამდე განთავისუფლების შესახებ

თავი I

საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

მუხლი 1. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა.

„სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად მოსამართლე შეიძლება მიეცეს დისციპლინური პასუხისმგებაში ბრალეული მოქმედების ან უმოქმედობის გამო:

- 1) სასამართლო საქმეების განხილვისას კანონიერების დარღვევისათვის;
- 2) სხვა სამსახურებრივი გადაცდომისათვის;
- 3) სახელის გამტეხი საქციელისათვის.

სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა თავისთავად არ იწვევს ამ გადაწყვეტილების გამოტანის მონაწილე მოსამართლის პასუხისმგებლობას, თუ ამასთან მას არ დაუშვია კანონის წინასწარგანზრახული დარღვევა ან არაკეთილსინდისიერება, რომელსაც არსებითი შედეგები მოჰყვა.

მუხლი 2. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების კომპეტენცია მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო კოლეგია განიხილავს საქმეებს:

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს სსრ რაიონების, ქალაქების სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია განიხილავს საქმეებს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია განიხილავს საქმეებს:

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეების მოადგილეებისა და წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობის შესახებ.

მუხლი 3. დისციპლინური საქმის აღძვრის უფლება.

დისციპლინური საქმის აღძვრის უფლება აქვთ:

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს — საქართველოს სსრ ყველა სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეების, თავმჯდომარეთა მოადგილეების, წევრებისა და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ;

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეებს — შესაბამისი სასამართლოების წევრებისა და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ;

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსს — შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ.

მუხლი 4. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ვადები.

მოსამართლე დისციპლინურ პასუხისგებაში შეიძლება მიეცეს გადაცდომის გამოვლენის დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, სამსახურებრივი შემოწმების დროისა და საპატიო მიზეზით მოსამართლის სამუშაოზე არყოფნის ჩათვლელად, მაგრამ არა უგვიანეს ერთი წლისა გადაცდომის ჩადენის დღიდან.

მუხლი 5. დისციპლინური საქმის აღძვრის წესი.

დისციპლინური საქმის აღძვრელი პირი წინასწარ ამოწმებს მასალებს, რომელიც შეეხება მოსამართლის პასუხისგებაში მიცემის საფუძვლებს და მოითხოვს მისგან წერილობით ახსნა-განმარტებას.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეებს გამოაქვთ დადგენილება დისციპლინური საქმის აღძვრის შესახებ, ხოლო საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსი გამოსცემენ ბრძანებას.

დადგენილებასა და ბრძანებაში უნდა აღინიშნოს დისციპლინური საქმის აღძვრის წინასწარი შემოწმებით დადგენილი საფუძველი. დადგენილება ან ბრძანება სათანადო მასალებთან ერთად განსახილველად ეგზავნება მოსამართლეთა შესაბამის საკვალიფიკაციო კოლეგიას.

დისციპლინური საქმის მასლების საკვალიფიკაციო კოლეგიაში გადაზღვრულ შემთხვევაში, მათ უნდა გაეცნოს მოსამართლე, რომლის მიმართაც იგი აღიძრა, ამასთან, მოსამართლეს უფლება აქვს წარადგინოს დამატებითი ახსნა-განმარტებანი ან აღძრას შუამდგომლობა საქმის დამატებით შემოწმების შესახებ.

მუხლი 6. დისციპლინური საქმის გამოთხოვა.

დადგენილება ან ბრძანება დისციპლინური საქმის აღძვრის შესახებ შეიძლება გამოითხოვოს საქმის აღმძვრელმა პირმა საკვალიფიკაციო კოლეგიაში საქმის განხილვის დაწყებამდე.

მოსამართლეს, რომლის მიმართაც დისციპლინური საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების ან ბრძანების გამოთხოვა ხდება, უფლება აქვს მოითხოვოს საკვალიფიკაციო კოლეგიის მიერ საქმის არსებითი განხილვა.

მუხლი 7. საქმის მომზადება საკვალიფიკაციო კოლეგიაში განსახილველად.

საქმის განხილვამდე, აუცილებლობის შემთხვევაში, წარმოებს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საფუძვლის დამატებითი შესწავლა, რასაც კოლეგიის თავმჯდომარე ავალებს კოლეგიის ერთ-ერთ წევრს. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, ხდება დამატებითი მასალებისა და დოკუმენტების, აგრეთვე იმ სასამართლო საქმეების გამოთხოვა, რომელთა განხილვის დროს მოსამართლემ დაუშვა კანონის დარღვევა.

მუხლი 8. საკვალიფიკაციო კოლეგიის შემადგენლობა დისციპლინური საქმის განხილვის დროს.

საკვალიფიკაციო კოლეგია დისციპლინურ საქმეებს განიხილავს მის წევრთა არანაკლებ ნახევრის შემადგენლობით. საკვალიფიკაციო კოლეგიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობებს ასრულებს მისი მოადგილე ან კოლეგიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც წყვეტს კოლეგიის მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

მუხლი 9. დისციპლინური საქმის განხილვის ვადები.

დისციპლინური საქმე განხილულ უნდა იქნეს საკვალიფიკაციო კოლეგიაში მისი შემოსვლის დღიდან ყველაზე დიდი ერთ თვეში.

მუხლი 10. საკვალიფიკაციო კოლეგიის სხდომის მონაწილე პირები.

საკვალიფიკაციო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის განხილვისას დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის მონაწილეობა აუცილებელია.

საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვთ სხვა მოსამართლეებსაც, აგრეთვე თანამდებობის პირს, რომელმაც დისციპლინური საქმე აღძრა ან მის წარმომადგენელს.

მუხლი 11. დისციპლინური საქმის განხილვის წესი.

თავმჯდომარე სხდომას გახსნილად აცხადებს და აცნობს დამსწრეთ საკვალიფიკაციო კოლეგიის შემადგენლობას. მოსამართლეს შეუძლია საქმის განხილვამდე საკვალიფიკაციო კოლეგიის წევრებს მისცეს აცილება, რომელიც უნდა განიხილოს კოლეგიის შემადგენლობამ.

დისციპლინური საქმის განხილვა იწყება კოლეგიის თავმჯდომარის ან ერთ-ერთი წევრის მოხსენებით. დისციპლინური საქმის აღმძვრელ პირს უფლება აქვს გამოთქვას თავისი აზრი. მოსამართლის ახსნა-განმარტების მოსმენა აუცილებელია.

სხდომის მსვლელობის დროს პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს უფლება აქვს ნებისმიერ მომენტში განაცხადოს უშამდგომლობა ან მისცეს დამატებითი ახსნა-განმარტება. კოლეგიის შეხედულებით შეიძლება მოსმენილ იქნეს როგორც მოსამართლის, ასევე კოლეგიის ინიციატივით მოწვეულ სხვა პირთა ინფორმაციები, გამოქვეყნდეს დოკუმენტები და გამოკვლეულ იქნეს საქმეში არსებული და დამატებით წარმოუცვნილი სხვა მასალები.

გადაწყვეტილება გამოაქვეთ სათათბირო ოთახში.

კოლეგიის სხდომაზე აწარმოებენ ოქმს.

მუხლი 12. გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე.

საკვალიფიკაციო კოლეგიას შეუძლია გამოიტანოს შემდეგი გადაწყვეტილებანი:

- დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ;
 - დისციპლინური საქმის შეწყვეტის შესახებ;
 - დისციპლინური საქმის მასალების იმ ორგანოებისათვის გადაცემის შესახებ, რომლებიც უფლებამოსილი არიან აღძრან საკითხი მოსამართლის გაწვევის ან მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე.
- კოლეგიას შეუძლია დაადოს შემდეგი სახის დისციპლინური სასჯელი:
- ა) შენიშვნა;
 - ბ) საყვედური;
 - გ) სასტიკი საყვედური.

სასჯელის დადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დარღვევის ხასიათი და მისი შედეგები, გადაცდომის სიმძიმე, მოსამართლის პიროვნება და მისი ბრალის ხარისხი.

საკვალიფიკაციო კოლეგია დისციპლინურ საქმეს წყვეტს:

- მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის დაუსაბუთებლობის გამო;
- დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ამ დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული ვადების გასვლის შემთხვევაში;
- დისციპლინური სასჯელის დადების არამიზანშეწონილობის დროს იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია მასალების მხოლოდ სხდომაზე განხილვით შემოიფარგლოს.

მუხლი 13. გადაწყვეტილების გამოტანის წესი.

გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე მიიღება განხილვაში მონაწილე კოლეგიის წევრთა ხმების უმრავლესობით, ჩამოყალიბდება წერილობით და მას ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კოლეგიის წევრები.

კოლეგიის წევრი, რომელიც არ ეთანხმება საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას და დარჩა უმცირესობაში, ხელს არ აწერს კოლეგიის გადაწყვეტილებას და წერილობით ჩამოაყალიბებს თავის განსაკუთრებულ აზრს, რომელიც საქმეს თან ერთვის.

გადაწყვეტილებას დისციპლინურ საქმეზე აცხადებენ საკვალიფიკაციო კოლეგიის სხდომაზე.

მუხლი 14. გადაწყვეტილების შინაარსი.

დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს: კოლეგიის დასახელება, მისი შემადგენლობა; საქმის განხილვის ადგილი და დრო; დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის სახელი, მამის სახელი, გვარი და თანამდებობა; დისციპლინური საქმის აღმძვრელი პირის თანამდებობა და გვარი; საქმის გარემოებანი; მოსამართლის ახსნა-განმარტება და მისი პიროვნების დამახასიათებელი მონაცემები; მიღებული გადაწყვეტილების მოტივირება მტკიცებულებათა მითითებით; დისციპლინური სასჯელის ზომა ან დისციპლინური საქმის შეწყვეტის საფუძველი, აგრეთვე გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.

მუხლი 15. გადაწყვეტილების პირის გაგზავნა ჩაბარება.

დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილების პირი მისი გამოტანიდან სამი დღის ვადაში გაეგზავნება მოსამართლეს, რომლის მიმართაც გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმის აღმძვრელ პირსა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს.

გადაწყვეტილების პირი ერთვის მოსამართლის პირად საქმეს.

მუხლი 16. დისციპლინური საქმის განახლება.

თუ ორგანო, რომლის წინაშეც საკვალიფიკაციო კოლეგიის გადაწყვეტილებით დაყენებულია მოსამართლის გაწვევის ან მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი, ვერ ნახავს საამისო საფუძველს, მაშინ დისციპლინური საქმე დაუბრუნდება საკვალიფიკაციო კოლეგიას და განახლდება. კოლეგიის პირვანდელი გადაწყვეტილების გამოტანიდან მასალების დაბრუნებამდე გასული დრო არ ითვლება ამ დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ვადებში.

მუხლი 17. საკვალიფიკაციო კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

საქართველოს სსრ რაიონების, ქალაქების სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების გადაწყვეტილება მისი გამოტანის დღიდან ორი კვირის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიაში იმ მოსამართლის მიერ, ვის მიმართაც იგი იქნა გამოტანილი.

საჩივარს გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ განხილავს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია მისი შეტანის დღიდან ერთი თვის ვადაში. მისი გადაწყვეტილება საბოლოოა. კოლეგიის სხდომას შეიძლება ესწრებოდეს საჩივრის შემტანი მოსამართლე.

მუხლი 18. საჩივრის განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია უფლებამოსილია:

უცვლელად დატოვოს გადაწყვეტილება, ხოლო საჩივარი — დაუქმყოფილებელი;

გააუქმოს გადაწყვეტილება და მიიღოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საკითხი თავის წარმოებაში განსახილველად;

გააუქმოს გადაწყვეტილება და შეწყვიტოს დისციპლინური საქმე;

შეცვალოს გადაწყვეტილება და მოსამართლეს დაადოს უფრო მსუბუქი დისციპლინური სასჯელი.

საჩივარის გამო გადაწყვეტილების პირი გადაიგზავნება ამ დებულების მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 19. დისციპლინური სასჯელის მოხსნა.

თუ დისციპლინური სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მოსამართლეს არ დაედება ახალი დისციპლინური სასჯელი, იგი ითვლება დისციპლინური სასჯელის არმქონედ.

დისციპლინური საქმის აღმძვრელი პირის წარდგინებით, აგრეთვე თავისი ინიციატივით დისციპლინური სასჯელის დამდებ საკვალიფიკაციო კოლეგიას შეუძლია სასჯელის დადების დღიდან არანაკლებ ექვსი თვის გასვლის შემდეგ ვადამდე მოუხსნას სასჯელი მოსამართლეს უმწიკვლო ყოფაქცევისა და თავისი სამსახურებრივი მოვალეობებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამო.

თავი II

მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის გაწვევა და ვადამდე განთავისუფლება

მუხლი 20. მოსამართლისა და სახალხო მსაჯულისათვის უფლებამოსილების ვადამდე ჩამორთმევა.

„სსრ კავშირში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრებს და სახალხო მსაჯულებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებსა და სახალხო მსაჯულებს, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს შეიძლება ვადამდე ჩამოერთვათ უფლებამოსილება სასამართლოს საქმეების განხილვისას სოციალისტური კანონიერების დარღვევისათვის ან მათ მალალ წოდებასთან შეუთავსებელი სახელის გამტეხი საქციელისათვის, აგრეთვე მათ მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის გამო.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრებს და სახალხო მსაჯულებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებს და სახალხო მსაჯულებს გაიწვევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებსა და სახალხო მსაჯულებს — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოები, სახალხო დებუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭო, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეებს — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები, სახალხო დებუტატთა საბჭოები, რომლებმაც ისინი აირჩიეს, ხოლო რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს — შრომითი კოლექტივების კრებები სამუშაო ადგილის მიხედვით ან მოქალაქეთა კრებები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც ისინი არჩეული იყვნენ სახალხო მსაჯულებად.

მუხლი 21. გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება.

გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება ეკუთვნით:

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს — საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ;

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს — საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეების, წევრებისა და სახალხო მსაჯულების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასა-

მართლობის თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილეების, წევრების და სახალხო მსაჯულების, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, წევრებისა და სახალხო მსაჯულების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, წევრებისა და სახალხო მსაჯულების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების ყველა მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის მიმართ სასამართლო საქმეების განხილვისას კანონიერების დარღვევისათვის;

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილეების, წევრებისა და სახალხო მსაჯულების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების ყველა მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების მიმართ მათ მაღალ წოდებასთან შეუთავსებელი სახელის გამტეხი საქციელისათვის;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეებს — შესაბამისად უზენაესი სასამართლოების, საქალაქო და საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეების, მოადგილეების, წევრებისა და სახალხო მსაჯულების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეების და სახალხო მსაჯულების მიმართ სასამართლო საქმეების განხილვისას კანონიერების დარღვევისათვის;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსს — შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების მიმართ მათ მაღალ წოდებასთან შეუთავსებელი სახელის გამტეხი საქციელისათვის;

შრომით კოლექტივებსა და მოქალაქეთა კრებებს — მათ მიერ არჩეული რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების მიმართ მათ მაღალ წოდებასთან შეუთავსებელი სახელის გამტეხი საქციელისათვის.

მუხლი 22. გაწვევის შესახებ საკითხის აღძვრის წესი.

პირი, რომელიც აღძრავს საკითხს გაწვევის შესახებ, ორგანიზაციის უკეთეს იმ მასალების გულდასმით შესწავლას, რომელიც საფუძვლად დაედო ამ საკითხის დაყენებას, აცნობებს მოსამართლეს ან სახალხო მსაჯულს მათი გაწვევის საკითხის აღძვრისა და გაწვევის მოტივის შესახებ, ასევე მოითხოვს წერილობით ახსნა-განმარტებას.

მასალები, რომლის საფუძველზედაც აღძრა მოსამართლის გაწვევის საკითხი, დასკვნისათვის გადაეგზავნებათ:

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების, თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეების მიმართ — საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიას;

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და

წარდგინება ქალაქების თბილისისა და ქუთაისის რაიონული სახალხო სასამართლოების მოსამართლეთა გაწვევის შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს შეაქვს შესაბამისად თბილისის და ქუთაისის სახალხო დებუტატთა საქალაქო საბჭოებში.

წარდგინებას აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მოსამართლეთა გაწვევის შესახებ საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნასთან ერთად და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის აზრის გათვალისწინებით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დებუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსი წარადგენენ შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებსა და ავტონომიური ოლქის სახალხო დებუტატთა საბჭოში.

წარდგინება საქართველოს სს რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების გაწვევის შესახებ შეაქვს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს სახალხო მსაჯულის შრომით კოლექტივში სამუშაო ადგილის მიხედვით ან მოქალაქეთა კრებებზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც იგი აირჩიეს.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულის გაწვევის შესახებ წარდგინებას განიხილავენ შრომითი კოლექტივის კრებებზე სამუშაო ადგილის მიხედვით ან მოქალაქეთა კრებებზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც იგი აირჩიეს სახალხო მსაჯულად. გადაწყვეტილებას სახალხო მსაჯულის გაწვევის შესახებ იღებენ ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით. კრებებზე სახალხო მსაჯულის დასწრება, რომლის მიმართ წყდება საკითხი გამოწვევის შესახებ, სავალდებულოა.

მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი წარმოადგენს უფლებამოსილების ვადამდე ჩამორთმევის დამოუკიდებელ საფუძველს.

მუხლი 24. მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების ვადამდე განთავისუფლების საფუძველები.

მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები შეიძლება ვადამდე განთავისუფლდნენ თავიანთი მოვალეობების შესრულებისაგან:

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც ხელს უშლის მუშაობის გაგრძელებას;

სხვა თანამდებობაზე არჩევის ან მათი თანხმობით სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო;

პირადი სურვილით.

მუხლი 25. ვადამდე განთავისუფლების წესი.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრებს და სახალხო მსაჯულებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებსა და სახალხო მსაჯულებს ვადამდე ათავისუფლებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებს და სახალხო მსაჯულებს ვადამდე ათავისუფლებს შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოები.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, წევრებს და სახალხო მსაჯულებს ვადამდე ათავისუფლებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო.

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს ვადამდე ათავისუფლებს შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოები.

წარდგინება საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულების ვადამდე განთავისუფლების შესახებ შეაქვეს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. სხვა მოსამართლეთა მიმართ — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, საოლქო სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სახალხო მსაჯულების მიმართ — ამ სასამართლოების თავმჯდომარეებს.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულის ვადამდე განთავისუფლების წარდგინება შეაქვეს რაიონული საქალაქო სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს სახალხო მსაჯულის შრომით კოლექტივში სამუშაო ადგილის მიხედვით ან მოქალაქეთა კრებაზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; სადაც იგი აირჩიეს სახალხო მსაჯულად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება

№ 6

1989 წელი, 21 დეკემბერი.

**„მოქალაქეთა უფლებების შემბლაღავი სახელმწიფო მმართველობის
ორგანოებისა და თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების
სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“ კანონის გამოყენების
სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხის თაობაზე**

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ კანონს „მოქალაქეთა უფლებების შემბლაღავი სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“ მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში, საჯაროობისა და დემოკრატიზმის გაფართოებაში, იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც გარდაქმნის პირობებში სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე დგას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1988 წლის 23 დეკემბერს მიიღო № 14 დადგენილება „მოქალაქეთა უფლებების შემბლაღავ თანამდებობის პირთა არამართლზომიერ მოქმედებებზე საჩივრების სასამართლოების მიერ განხილვის შესახებ“, რომლითაც სასამართლოებს მიეცათ სახელმძღვანელო მითითებები სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილ არსებით საკითხებზე. დადგენილებამ უზრუნველყო პრაქტიკის მიერ წამოჭრილ საკითხებში გარკვევა და საქმეთა სწორი განხილვა-გადაწყვეტა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები „სსრ კავშირის 1987 წლის 30 ივნისის კანონის „მოქალაქეთა უფლებების შემბლაღავი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედებების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“ შესასრულებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 7 ნოემბრის დადგენილებით 1990 წლის 1 ივლისიდან სამოქმედოდ შემოდის სსრ კავშირის კანონი „მოქალაქეთა უფლებების შემბლაღავი სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“ და ერთდროულად ძალას კარგავს 1987 წლის 30 ივნისის კანონი.

ამასთან დაკავშირებით და იმის გამო, რომ რესპუბლიკის სასამართლო-
ების პრაქტიკაში წამოჭრილი რიგი საკითხისა განმარტებას მოითხოვს, სა-
ქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

ადგენს:

1. განემარტოს სასამართლოებს, რომ „მოქალაქეთა უფლებების შემ-
ბღალავი სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა
არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“
სსრ კავშირის კანონის 1990 წლის 1 ივლისის სამოქმედოდ შემოღებამდე
წარმოშობილი უთიერთობები რეგულირდება „მოქალაქეთა უფლებების
შემბღალავი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამარ-
თლოში გასაჩივრების წესის შესახებ“ სსრ კავშირის 1987 წლის 30 ივნისის
კანონით.

2. „მოქალაქეთა უფლებების შემბღალავი სახელმწიფო მმართველობის
ორგანოების და თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასა-
მართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“ კანონის საფუძველზე შეიძლება სა-
სამართლოში გასაჩივრდეს სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ან თანამ-
დებობის პირის ყველა არამართლზომიერი მოქმედება, რომელიც ბღალავს
მოქალაქის უფლებებს, გარდა იმ მოქმედებებისა, რომელთა გასაჩივრების
სხვა წესი დადგენილია სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ კანონით, აგრეთ-
ვე ნორმატიული ხასიათის აქტებით.

3. სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სახელმწიფო მმართვე-
ლობის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედე-
ბით შებღალული უფლებების აღდგენა რიგ შემთხვევებში რეალურია მხოლოდ
მაშინ, თუ ეს დაუყოვნებლივ მოხდა და ამიტომ, ასეთ შემთხვევებში სასა-
მართლომ უნდა უზრუნველპყოს მაქსიმალურად შესაძლო მოკლე ვადაში საქ-
მის განხილვა და მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.

4. განემარტოს სასამართლოებს, რომ სამუშაოზე მიღებაზე უარის შესა-
ხებ საჩივრის განხილვისას მაშინ, როდესაც მომჩივანი ახალგაზრდა სპეცია-
ლისტია, სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ შრო-
მის კანონთა კოდექსის 176-ე მუხლით, რომლის თანახმად ახალგაზრდა მუ-
შები, რომლებმაც დაამთავრეს პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სას-
წავლებლები და ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც დაამთავრეს უმაღ-
ლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, უზრუნველყოფილი უნდა
იქნენ სამუშაოთი მიღებული სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

ახალგაზრდა სპეციალისტს, რომელსაც განაწილებით სამუშაოზე მიღება-
ზე უარს ეტყვიან, შეუძლია ეს უარი სასამართლოში გასაჩივროს.

იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ განაწილებით მი-
სულ ახალგაზრდა სპეციალისტს უარი უთხრეს სამუშაოზე მიღებაზე, მან
გადაწყვეტილებით უნდა დაავალოს მოცემული საწარმოს, ორგანიზაციის, და-
წესებულების ადმინისტრაციას მიიღოს მოცემული ახალგაზრდა სპეციალისტი
სამუშაოზე.

იმის გამო, რომ ასეთი გადაწყვეტილება არ არის გადაწყვეტილება სა-
მუშაოზე აღდგენის შესახებ, მასზე უშუალოდ არ ვრცელდება საქართველოს
სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლი გადაწყვე-
ტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ, მაგრამ იმის გათვალისწი-

ნებით, რომ მოცემულ შემთხვევაშიც არსებითად შრომის უფლებებია დარღვეული, სასამართლოს ევალება თანახმად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლისა, იმსჯელოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ.

იმისათვის, რათა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელი იყოს, სასამართლომ საქმის განხილვის პროცესში უნდა გაარკვიოს, არის თუ არა ახალგაზრდა სპეციალისტისათვის განაწილებით განსაზღვრული თანამდებობა ვაკანტური, ან თუ განაწილებისას კონკრეტული თანამდებობა განსაზღვრული არ იყო, არის თუ არა ახალგაზრდა სპეციალისტისათვის შესაფერისი თანამდებობა ვაკანტური.

შესაბამისად „უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელ დამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა რესპუბლიკათშორისო, საუწყებო-შორისო და პერსონალური განაწილების შესახებ დებულების“ 50-ე პუნქტისა, როცა ახალგაზრდა სპეციალისტი ვაკანტური ადგილის უქონლობის გამო ვერ იქნება გამოყენებული იმ საწარმოში, ორგანიზაციაში, დაწესებულებაში, სადაც იგი გაგზავნილია პერსონალური განაწილების კომისიის მიერ, სამინისტრო (უწყება), რომლის გამგებლობაშიცაა მოცემული საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება, ვალდებულია მისცეს ახალგაზრდა სპეციალისტს სხვა სამუშაო თავის სისტემაში ან მიავლინოს იგი სხვა სამინისტროს (უწყების) სისტემაში სამუშაოდ მასთან შეთანხმებით.

ამიტომ, ვაკანტური სამუშაოს უქონლობის შემთხვევაში სასამართლომ ადმინისტრაციას უნდა დაავალოს აღნიშნული ნორმის მოთხოვნის დაცვა.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას დაევალოს მოამზადოს მიმოხილვა „მოქალაქეთა უფლებების შემბღალავი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“ კანონის და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1988 წლის 23 დეკემბრის № 14 დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ. მიმოხილვა დაეგზავნოს სახალხო სასამართლოებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე
პლენუმის მდივანი

ა. კარანაძე
ჩ. რუსიაშვილი



საქართველოს დაფუძნებელი კრება*

გაზრქალება მსჯელობისა მოქალაქეობის კანონის შესახებ

მე მესმის ამ საკითხებში ფედერალისტების პოზიცია, რომლებიც საქართველოში მუდამ ჰქადაგებდნენ და ავრცელებდნენ ზოოლოგიურ ნაციონალიზმის იდეებს. ჩემთვის გაუგებარი იყო მხოლოდ სოციალ-დემოკრატების პოზიცია, რომლებიც დღესაც იჩემებენ ინტერნაციონალისტობას, მაგრამ მას შემდეგ, რაც მე მოვისმინე მიშა არსენიძის და საყვარელიძის სიტყვა, ღრმად დავრწმუნდი იმაში, რომ ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა დაივიწყა თავისი სოციალისტური პროგრამა და წარსული ინტერნაციონალისტური მოღვაწეობა საქართველოში, სავსებით დაჰკარგა თავისი სოციალისტური სახე და გადაიქცა დაკარგულ სოციალიზმის პარტიათ. საუბედუროთ კანონ-პროექტის ზოგად განხილვის დროს, რეგლამენტი საშვალელებს არ მაძლევდა პასუხი გამეცა იმ ორი ორატორისათვის, რომელთა გამოლაშქრება ჩემს წინააღმდეგ იმ სახით, რომლითაც ეს იმათ იკადრეს, მხოლოდ მათ სრულ უსუსურობას ამტკიცებდა. ეს ორატორები იყვნენ ბ. ბ. მესხიშვილი და არსენიძე. ბ-ნი მესხიშვილი დაცინვით მე დიდ რევოლუციონერს

მიწოდებს და ეს მან თავის სიტყვაში ასჯერ მაინც გაიმეორა. ეს სიტყვა — „დიდო რევოლუციონერო“ იყო ერთად ერთი და მასთან უმთავრესი არგუმენტი, რომელიც მან დიდი რიხით ჩვენი ფრაქციის შესწორების წინააღმდეგ მოიყვანა. რაც შეეხება დანარჩენ მოსაზრებებს, რომლებიც ბ. მესხიშვილმა ჩვენი შესწორების წინააღმდეგ მოიყვანა, ისინი სრულიად უადგილოთ იყო თქმული და არ გამოძინარეობდა იმ ახსნა-განმარტებიდან, რომლითაც მე დავასაბუთებ ჩვენი ფრაქციის მიერ შეტანილი შესწორებები მოქალაქეობის კანონ-პროექტში. მართალია მე დიდი რევოლუციონერი არა ვარ და ამას არც ვჩემულობ, მაგრამ ბ. მესხიშვილს თავის თავი დიდ რევოლუციონერათ მოაქვს. მხოლოდ ამაზე ამ ტრიბუნიდან თვით ბ. მესხიშვილის მიერ ყვირილი ზედმეტი იყო. ნამდვილ რევოლუციონერს რეკლამა არ სჭირდება, რადგანაც ნამდვილი რევოლუციონერის საქმეები თვით ლაღადებენ მის რევოლუციონერობაზე. ახლა ავიღოთ და გავსინჯოთ „ქეშმარიტ რევოლუციონერ“ მესხიშვილის საგმირო რევოლუციონ-

დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, 1990 წ. №№ 1, 2.

ნური საქმეები. ამ რამოდენიმე წლის წინეთ ბ. მესხიშვილმა თფილისის ქალაქის ცენტრში წარმოთქვა თავისი „ისტორიული“ სიტყვა, რომელშიც ის გუნდურს უკმევდა რუსეთის რეაქციონურ მთავრობას და ქართველი ხალხის სისხლით და მკერდით რუსეთის ბიუროკრატის დაცვას აღუთქვამდა. ბ-ნ მესხიშვილის აზრებს სავსებით იზიარებდა მისი პარტია, რომელიც რევოლუციის დაწყებამდე რამოდენიმე თვის წინეთ რუსეთის ბიუროკრატის გაყინულ გულის მოღობობას ლამობდა და გვირგვინოსან ნიკოლოზის სურათს თავის სოციალისტურ გაზეთ „სახალხო ფურცელში“ ათავსებდა. ყველა ამის შემდეგ ბ. მესხიშვილის მიერ სხვის რევოლუციონერობაზე ხმამაღლა ლაპარაკი, მართლა რომ სასაცილოა.

ბ-ნმა მესხიშვილმა განაცხადა, რომ მე მსურს ჩემის პროექტით მივსცე მოქალაქეობის უფლება ყველა იმათ, ვინც დასცემს ზურგში ლახვარს რევოლუციას და დემოკრატის, ვინც უჭერს მხარს რევოლუციის და საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეებს, დენიკინელებს და სპეკულიანტებს. წარმოსთქვა ეს საშინელი სიტყვები მესხიშვილმა და გაათავა. საიდან გამოიყვანა ბ-ნმა მესხიშვილმა ეს დასკვნა ალაპმა უწყის, მაგრამ, ალბათ, მას სხვანაირათ ესმის ლოდიკის კანონები და ამიტომ ბევრი არ მოეთხოვება. და ეს ყველაფერი მომაწერა მე მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლოს პათეტიურად გაეთავებია თავისი სიტყვა: „იხლა თქვენ თითონ განსაჯეთ, ვინ არის ჩვენ ორში რევოლუციონერი“-ო. ბ-ნ მესხიშვილს ჰგონია, რომ რევოლუციონერობისათვის საკმარისია ყოველი სიტყვა, რომელიც მას პირს მოადგება. მესხიშვილს ჰგონია რომ ყველა ის, ვინც მოწერილი იყო რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტ-

რაციულ ერთეულზე 1914 წლის ივნისის 19-ამდე, უსათუოდ რევოლუციის, დემოკრატის, საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეა და დენიკინის და სპეკულიანტების მტერია. არა, ბ-ნო მესხიშვილო, ბევრი იმათგანი ვინც მიწერილია რესპუბლიკის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე, კონტრ-რევოლუციონერიც არის, დენიკინის მომხრეც და მასთან სპეკულიანტიც და, თქვენი ლოდიკით რომ ვიმსჯელოთ, რადგანაც თქვენ კანონ-პროექტის პირველ მუხლს უცვლელად იღებთ, თქვენ კონტრ-რევოლუციონერების და სპეკულიანტების დამცველი ყოფილხართ, მაგრამ მე, ბ-ნო მესხიშვილო, ამას თქვენ არ დაგწამებთ, მხოლოდ მომავლისათვის ერთ რამეს მოგთხოვთ: როდესაც ჩემს წინააღმდეგ რაიმე ბრალდების წამოყენებას მოისურვებთ, ცოტათი მაინც მოიფიქრეთ და უბრალო ლოდიკას მცირეოდენი ანგარიში გაუწიეთ. ბ-ნ მესხიშვილს არც ჩემი იურისტობა მოსწონს, რადგანაც მე გამიცხადებია, რომ ძველი კანონი ქვეშევრდომობისა არ ვარგა და ეს იქიდანაც სჩანს, რომ წარმოდგენილ კანონ-პროექტის ბოლო მუხლი ძველ კანონს აუქმებსო. მესხიშვილი ამბობს: როდესაც ახალ კანონს ვიღებთ და ამავე საკითხზე ძველი კანონიც არსებობს, ყოველი ახალი კანონი გააუქმებს ძველ კანონს არა იმიტომ, რომ ძველი კანონი არ ვარგოდა, არამედ იმიტომ, რომ გამოცემულია ამავე საკითხზე ახალი კანონი. ბ-ნ მესხიშვილს უნდა სცოდნოდა, რომ მოქალაქეობის ძველი კანონის უვარგისობა ერთხმათ აღიარა საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიამ, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის დამატებითი კანონ-პროექტის განმარტებაში სიტყვა სიტყვით შემდეგს სწერდა „საქართველოს ეროვ-

ნულ საბჭოს 1918 წ. 16 ივლისის კანონმა საქართველოს მოქალაქეთა გარეშე დასტოვა ჩვენი ქვეყნის დიდძალი მცხოვრებნი როგორც ქართველნი, ისე უცხოელნი, რომელნიც მიწერილნი არ არიან არც ერთ ადმინისტრაციულ ერთეულზე და რომელთა პოლიტიკური და სამოქალაქო მდგომარეობა დღემდე გამოურკვეველია. ასეთი აუტანელი მდგომარეობის მოსასპობათ საქიროა დამატებითი კანონი და სხვა“. ასე რომ მართო მე არ ვყოფილვარ ძველი კანონის „მშვენიერების“ უარყოფი, ბ-ნო მესხიშვილო. „ძველი კანონი მთლიანად მოყვანილია ახალ კანონის პირველ მუხლში“, განაცხადა მესხიშვილმა და ამტომ ახალმა კანონმა თავის თავად უნდა გააუქმოს ძველი კანონიო. საქმეც იმაშია, რომ ძველი კანონის მეოთხე მუხლის ძალით ცალკე ახალი მოქალაქეობის კანონით განსაზღვრული უნდა ყოფილიყო მხოლოდ პირობა უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომის მიღებისა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ და საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისა, წარმოდგენილი კანონ-პროექტი-კი, წინააღმდეგ ძველი კანონის მეოთხე მუხლისა, საქართველოს მოქალაქეებათ აცხადებს სხვა და სხვა პირობ, რომლებიც ადმინისტრაციულ ერთეულზე სრულიათ არ იყო მიწერილი, ე. ი. ახალი კანონი არღვევს ძველი კანონის მოთხოვნილებას და მით უკანასკნელის უვარგისობასაც აღიარებს, რაც გამოსახულია ახალი კანონის ბოლო მუხლში. ბ-ნი მესხიშვილი მეკითხებოდა, შესაძლებელია ამისთანა არგუმენტაცია იურისტის მიერ? ნათქვამიდან აშკარაა, რომ არამც თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელია, თუ იურისტი მესხიშვილი იურიდიულად იაზროვნებს და მოქალაქეობის ძველს და ახალ კანონს კარგათ ჩაუკვირდებან.

მეორე ორტორმა ბ-ნ არსენიძემ ჩემ მიერ წამოყენებულ დებულების წინააღმდეგ განაცხადა: „ბ. გობეჩიამ უნდა იცოდეს, რომ როდესაც რევოლუციის სახელს გამოიტანს ამ ტრიბუნაზე, ცოტაოდენი ცოდნაც უნდა გამოიჩინოს რევოლუციონური პრაქტიკისაო“. მართალია მე არ მომისმენია ბ-ნ არსენიძის მიერ კემბრიჯის და ბერლინის უნივერსიტეტებში წაკითხული ლექციები სხვა და სხვა ქვეყნის რევოლუციებზე და ამიტომ, შესაძლებელია, ამ ტრიბუნაზე ვერ გამოვდიოდე რევოლუციური პრაქტიკის ცოდნის შესაფერისი „ბაგაით“, მაგრამ ის ლექცია, რომელიც მან ჩვენ ერთი კვირის წინეთ ამ ტრიბუნიდან წაგვიკითხა ინტერნაციონალის შესახებ, ჩემის აზრით, ვერ მოწმობს პატივცემულ ლექტორის დიდ ცოდნაზე. არსენიძემ გვითხრა: „ინტერნაციონალისაგან მხოლოდ ერთი რამ გავვიგონია: ერთი ერი — ერთი სახელმწიფო“. არსენიძის აზრით, რომელსაც თურმე სოციალისტური ინტერნაციონალიც იზიარებს, კლასთა ბრძოლა და მუშათა კლასის ინტერესების დაცვა ისეთ სახელმწიფოში შეიძლება, სადაც ერთი ერი ბინადრობს და თურმე თუ ისე მოეწყო სახელმწიფო, რომ უკანასკნელი ერთი ერის ფარგლებმა შთანთქა, მაშინ ბოლო მოეღება სხვა და სხვა ერთა შორის შულსა და ბრძოლას, ე. ი. ამ ჩვენი ცოდვილ დედამიწის ზურგზე დამყარდება თითქმის ყოველი ბედნიერება. ჩვენ რომ ვიმსჯელოთ არსენიძისებურად, მაშინ საქართველოდან უნდა განვდევნოთ ყველა ერთა შვილები გარდა ქართველი ერისა, რადგანაც მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა მოწყობილი თანახმად იმ ინტერნაციონალის ფორმულისა, რომელიც სადღაც ამოუკითხავს ბ-ნ არსენიძეს, მაგრამ წაკითხულის აზრი ალბად ვერ გაუგია. სო-

ცილისტურ ინტერნაციონალისაგან ყოველ სოციალისტს მხოლოდ ერთი რამ გაუგონია, ბ-ნო არსენიძე, ის რომ ყოველ სხვა და სხვა ერებით დასახლებულ სახელმწიფოში უმრავლესობის ერის სოციალისტებმა თანაბრად უნდა დაიცვან თავიანთი და უცხო ერთა მშრომელთა ინტერესები. ბ-ნი არსენიძე კი აცხადებს; თუ ეროვნული სახელმწიფო დაარსდება, რასაკვირველია, იქ ერთი ერი იქნება გაბატონებულიო. საქართველოში ქართველი ერის გაბატონება ისე ესმის ბ-ნ არსენიძეს, როგორც გაბატონება ქართველი რევოლუციონერების და ქრთველის რეაქციონერებისაც, თორემ ყოვლად შეუძლებელია კანონპროექტის მეხუთე მუხლის თავგამოდებით დაცვის შემდეგ ვინმემ, როგორც ამას სჩადის არსენიძე განაცხადოს, რომ ამ კანონით ჩვენ ვიცავთ მუშათა კლასს, დემოკრატას და მუშათა კლასის მტრებს ლახვარს ვსცემთო. მე ვესმის, როდესაც ერთი ერის გაბატონებას სახელმწიფოში მხარს უჭერს ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენელი პარლამენტში. ბურჟუაზიას ამის დასაბუთებაც შეუძლია მეცნიერულად, რადგანაც მის მიერ აღზრდილი და მოსყიდული მეცნიერები ბევრს სწერენ ამაზე იმ მიზნით, რომ ასიამოვნონ თავიანთ მწყალობელთ. მაგრამ სრულიად გაუგებარია, როდესაც იმავე წყაროდან ჰკრეფენ პროლეტარულ პარტიის წარმომადგენელნი მასალას, რომ გაამართლონ იმავე საკითხზე თავისი შემცდარი, არა სოციალისტური და არა ინტერნაციონალისტური აზრი. ყოველ შემთხვევაში მე დარწმუნებული ვარ, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენი მშრომელი ხალხი თვით შეივანებს ჩვენი ფრაქციის სიმართლეს მოქალაქეობის საკითხში და მაშინ ის იტყვის, ვინ იცავდა მშრომელთა ინტერესს და ვინ იღვა ნამდვილ სოციალისტურ პო-

ზიციანზე — ჩვენ თუ ის პარტია, რომელსაც ამიერიდან უნდა ეწოდოს პარტია დაკარგული სოციალიზმისა.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის კრების წევრს ბარათაშვილს.

იესე ბარათაშვილი (ს.-ფ.) როგორც ეტყობა სოციალისტ-რევოლუციონერები ემზადებოდნენ მთელი 7 დღე იმისათვის, რაც დღეს თქვენ აქ მოისმინეთ (გობეჩია: მაშინ არ მომცეს მესამედ სიტყვა). თქვენ თუ არ მოგცემდნენ სხვა თქვენ ამხანაგებს მისცემდნენ, შენგელაიას არ ულაპარაკნია, ის ილაპარაკებდა. ამ მომზადების დროს თქვენ არ ხელმძღვანელობდით სალი აზრით. თქვენ სიტყვაში მარტო ის ვპოვე, რომ გაიძახით — სოციალისტურ თვალსაზრისით ეს კანონი არ მიიღებო. (ხმა: ეს არ მოგწონს?) მე არ მომწონს იმისათვის, რომ ამ სიტყვას ამ შემთხვევაში არავითარი შინაარსი არა აქვს (ხმა: არც ექნება თქვენთვის!) არც თქვენთვის ჰქონია და არც მომავალში ექნება. ეს ადვილი დასამტკიცებელი არის.

ბ. შენგელაია ბრძანებს, რომ სახელმწიფოს შეადგენს ერი, ტერიტორია და კანონი. (კედია: და ფედერალისტები!) თუ ფედერალისტებიდან არ შესდგება ბ-გვაზავა, საბედნიეროდ არც ნაციონალ-დემოკრატებისაგან შესდგება. თქვენ გგონიათ, რომ სახელმწიფოს თქვენ ააშენებთ. (სიცილი. გვაზავა: მე რა შუაში ვარ?) არ ვიცი რომელი იყო თქვენგანი, მაგრამ მე ესე გავიგე. (**თავმჯდომარე:** კერძო ლაპარაკს თავი დაანებეთ!). თუ ის მცნება მართალი არის, რომ უნდა იყოს ტერიტორია, კანონი და ერი აქედან მოქალაქე შენგელაიას უნდა გამოეყვანა შესაფერი დასკვნა, მაგრამ მთელი მისი სიტყვა სწორედ ამ მესამე დებულების წინააღმდეგ არის. ჩვენ ვამბობთ, რომ ვქმნით სახელმწიფოს, სოციალისტ-რევოლუციონერები თანახმანი არიან, რომ უნდა შევქ-



მნათ სახელმწიფო და სახელმწიფო სწორედ ამ სამ ელემენტს უნდა ეყრდნობოდეს. მაშ რაშია საქმე? თურმე იმაში, რომ როცა ამ სახელმწიფოს ვაშენებთ უნდა მივიღოთ კანონი, რომლის ძალით ყველანი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებნი განურჩევლად უნდა აღიარებულ იქნან ქვეშევრდომად. თუ უსუსურობაზე არის ლაპარაკი — ეს სხვაა; — სწორედ ეს წარმოადგენს უსუსურობას. სოც. რევოლუციონერების აზრით ყველანი უნდა გველიარებინა ქვეშევრდომად ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე. მაშ ყველას ენდა მოვავლით მოქალაქეობა, განა ეს სოციალისტური თვალსაზრისი არის? (ხმა: თუ მოისურვებენ!) აქედან გაიძახიან „თუ მოისურვებენ“, თუ არ მოისურვებს? საქმე თურმე სურვილზე ყოფილა. ასე სახელმწიფოს აშენება შეუძლებელია. სახელმწიფო ეყრდნობა ერს, ერი შედგება მოქალაქეებისაგან, რომელნიც იღქურვებიან უფლებებით, ვალდებულებით და მოვალეობით, — ამ ელემენტებიდან იქმნება მცნება ქვეშევრდომობისა.

ქვეშევრდომობა სახელმწიფოსთვის აუცილებელი მოთხოვნილება არის. ეს არის საფუძველი, ცოცხალი ძალა, რომელიც შეადგენს სახელმწიფოს შემადგენლობას, ეს შესაგნებელია, მაგრამ განზრახ არ უნდა, რომ შეიგნონ. ჩვენს წინაშე არის ასეთი მაგალითი: როცა ვაშენებდით ჩვენს სახელმწიფოს, დავინახეთ, მრავალი ელემენტები ჩვენ წინააღმდეგ იყვნენ და ესერები ეყრდნობოდნენ ამისთანა ელემენტებს. ესენი საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდნენ (შენგელაია: ტყუილია!). თქვენ ამბობთ, რომ ეს ტყუილია, მაგრამ მე გარწმუნებთ, რომ ეს ისტორიით დამტკიცებულია და გარწმუნებთ, რომ ყველა სახელმწიფოებრივ დაწესებულებაში შემოდის იმ ელემენტების მეო-

ხებით. ესენი საქართველოს თავისუფლების წინააღმდეგ იყვნენ. (მაჭავარიანი: რაც მართალია-მართალია!). (ხმა: ტყუილია!).

თავმჯდომარე. უმორჩილესად გთხოვთ ნუ ლაპარაკობთ!

ბარათაშვილი. თქვენ ამბობთ მართალი არ არის, მაგრამ გადახედეთ თქვენ ფრაქციას და წინანდელ ფრაქციას, და დაინახავთ, რა ელემენტებით იყო სავსე, ხომ დაინახეთ რა მოხდა თქვენ შორის. მოხდა გათიშვა, — სწორედ იმ ნიადაგზე, რომ თქვენი თანამოაზრენი — ამხანაგები, წინააღმდეგ იყვნენ „საქართველოს დამოუკიდებლობისა“. თქვენ ეს გავიწყდებათ, სწორედ კანონი თქვენ მიერ შემოტანილი აღმართულია საქართველოს თავისუფლების და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. თქვენი პროექტები უნდა გაამრავლოთ იმ ელემენტებით რომელნიც სამუდამოდ დაანგრევენ ამ დამოუკიდებლობას. (მაჭავარიანი: ღმერთმა ნუ მოგვასწროს) მეც არ მგონია და ვერც მოასწრობენ ასეთ მოვლენას. ჩვენ ვამბობთ, რომ სახელმწიფო უნდა ეყრდნობოდეს იმისთანა ქვეშევრდომს, რომელიც დაკავშირებულია ისტორიულად, ეკონომიურად, რომელიც დაკავშირებულია სულიერად. თუკი იმისთანა კანონს მივიღებთ, რომ დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადების, ყველას ვალიარებთ ჩვენ ქვეშევრდომებათ, ჩვენთვის საზიანო არის, ესერების აზრი სოციალისტური თვალსაზრისი კი არ არის, არამედ სოციალიზმს ეწინააღმდეგება, ღღევანდელ ჩვენ პირობებს უნდა გაუწიოთ ანგარიში, თუ ეს შესწორება გატარდა, მოიტანს არევ-დარევას, შეარყევს სახელმწიფოებრივ წესწყობილებას, და აურდაურევს ეკონომიურ მდგომარეობას. (მაჭავარიანი: ქვეშაართია!) ესერები კეთილ სურვილებზე ლაპარაკ-

კობენ აღმოცენებულ სრულ გაუგებრობაზე.

ჩვენ ვიცით, რომ აწ არსებული სახელმწიფოები დიდ ყურადღებას აქცევენ ქვეშევრდომობის საკითხს. სახელმწიფო გახლავთ მოქალაქეთა იმისთანა ორგანიზაცია, რომელიც იქმნება ძალით. შეუძლებელია, რომ წარმოვიდგინოთ დღეს ჩვენ იმისთანა სახელმწიფო, რომელიც იძულებით არ იყოს შექმნილი, ჩვენ ვერ წარმოვიდგენია დღევანდელ დღეს იმისთანა სახელმწიფო, რომელიც შექმნილი იყოს სრულიად თავისუფლად, საცა განსაზღვრული არ არის მოქალაქეთა ვალდებულება და მოვალეობა. ამისთანა განსაზღვრა ხდება კანონით, რომელშიც ჩართულია ძალადობა.

ქვეშევრდომობის კანონს დიდი მნიშვნელობა აქვს და ბევრს იგი არ მოსწონს, რადგან უშლის მოქალაქეთა ერთგვარ თვითნებობას. რასაკვირველია უნდა მოვიწვიოთ იმისთანა ელემენტები, რომელნიც საქართველოს ქვეშევრდომობას დასახელმწიფოს თანაუგრძობენ. რაც „სახალხო გაზეთში“ ეწერა წაკითხვა უნდა, და შემდეგ მოვიქრება. დღეს ჩვენ მოწინააღმდეგეებს ეს ვერ შევატყვეთ.

მე მოგახსენეთ თქვენ, რომ წაკითხულს გაგება უნდა. „სახალ. ფურცელი“ — იმას ამცნობდა, რომ სახელმწიფოში უნდა იყვნენ იმისთანა ქვეშევრდომნი, რომელნიც თანაუგრძობენ ამ სახელმწიფოს მისწრაფებას, სახელმწიფოს განმტკიცებას. ის პირნი, რომელნიც ჩვენ გვემტერებიან, ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედობენ, განდევნილი უნდა იქნენ საქართველოს ტერიტორიიდან. ბ. შენგელაიას ისე ჰგონია, რომ ეს ზოოლოგიური მისწრაფებაა. ზოგს თავისებურად ესმის ზოოლოგია, ყველა თავის არშინით ზომავს. რა თვალსაზრისით უყურებდა გაზეთი ამ საკითხს ადვილად გასაგები იყო. ჩვენ

პირდაპირ ვაცხადებთ და ვაცხადებდით, რომ უმთავრესად ჩვენ ვეპრობით ქართველ ერს, ქართველ მშრომელ ხალხს. მწარე გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ ვიყავით მართლნი. ჩვენი სახელმწიფო იქმნება ჩვენი საკუთარი ძალებით. ჩვენი დამოუკიდებლობა ჩვენ თვითონ გამოვკვდეთ. ჩვენ უარს არა ვყოფდით, რომ სხვა ერების წარმომადგენელნიც, იმდენად რამდენადაც დაკავშირებულნი არიან ამ სახელმწიფოსთან მხარს დაგვიჭერდნენ, მაგრამ ბევრი ვნახეთ, ბევრი ვიწვინეთ, ბევრი გამოვცადეთ. არა სანდო პირებს მოუყრიათ ჩვენში თავი, ბევრი სხვა ნაციის წარმომადგენელი გამოჩნდნენ, რომელნიც ებრძოდნენ ამ დამოუკიდებლობას და ჩვენ გვეშინიან, რომ სწორედ ამათ არ მოვახვიოთ თავს მოქალაქეობა. ჩვენი კანონი ნათელია, ცხადია, ყოველმხრივ გათვალისწინებულია — საკითხი არის გათვალისწინებული უფლებრივად, ტერიტორიულად, ნაციონალურად. ვინც დაკავშირებულნი არიან ჩვენს სახელმწიფოსთან და აღმოუჩინეს დახმარებას, ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის, ვინც ადმინისტრატიულად მიწერილია, ბოლოს და ბოლოს ვინც მოისურვებს ჩვენ ქვეშევრდომობას, ხდებიან საქართველოს ქვეშევრდომებად. განა ამით ჩვენ ვდევნით ვისმეს? ამით არა ქართველს ვეუბნებით წავიდნენ აქედან? განა მათ კეთილ მისწრაფებათ გზას უჭრით, განა არ ვაძლევთ ყველას საშუალებას იცხოვროს ჩვენში? ქართველ ხალხის წარმომადგენლებს ცილს ვერ დასწამებენ. აბა გვიჩვენეთ ვისა ვდევნით? მაშ რა არის აქ საწინააღმდეგო?! განა ეწინააღმდეგება ყოველი ჩვენი ნათქვამი სოციალისტურ თვალსაზრისს? ცარიელი სიტყვებით ფონს ვერ გავლენ. გამოლაშქრება მესხიშვილის წინააღმდეგ მოკლებულია სიმართლეს. მართალი იყო იგი როცა

ამბობდა, რომ თავი იმისათვისა გვაქვს, რომ უნდა მართლაც რომ ვერიდოთ წარამარა ლაპარაკს. დემაგოგიურ გამოსავლებს არავითარი საფუძველი არა აქვს.

ეს კანონ-პროექტი, რომელიც ჩვენ მიერ უნდა იყოს მიღებული, იცავს სახელმწიფოს, იცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის კრების წევრს არსენიძეს.

რაუდენ არსენიძე. მე წინააღმდეგი ვარ შემოტანილ შესწორებისა და აი რა მოსაზრებით; ამ კანონ-პროექტს ყველა სახელმწიფოს მოქალაქეობას, საფუძვლად აქვს ორი პრინციპი, ობიექტური და სუბიექტური. ობიექტური არის ის, რომელიც თვალთ დაინახება, რომლის ხელის შეხება შეიძლება, რომელიც ნების და სურვილის გამოთქმის გარეშე გამოხატავს ამა თუ იმ ადამიანის მდგომარეობას; სუბიექტური არის თავის ნების პირადი გამოხატვა თავის სიტყვით, თავის ენით. ჩვენ პროექტის პირველ მუხლში უპირატესობა აქვს მიცემული ობიექტურ ნიშანს, ობიექტური ნიშნებისთვისა არის, თუ ვინ არის საქართველოს მოქალაქე. რაც შეეხება ესერების მიერ წაყენებულ 1 მუხლს, აქ უპირატესობა აქვს მიცემული სუბიექტურ პრინციპს. აქ სწერია: (კითხულობს. ხმაურობა.) მე ვამბობ უპირატესობაზე, ობიექტური ნიშნებიც არის აქ აღნიშნული, მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელოა, რომ მასზე ლაპარაკიც არ ღირს.

აქ სწერია: (კითხულობს) და აი მე ვამბობ, — აქ ობიექტური ნიშნები სავსებით გაქარწყლებულია, ეს სიტყვის მასალად არის მოყვანილი და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. აქ სწერია: „კანონის გამოქვეყნებამდის ვინც კი სცხოვრობდა“. ამით მთელი ის ფრონტი, რომელიც დაიძრა ყარსიდან და ერზერუმიდან და გაიარა სა-

ქართველოს ტერიტორიაზე, ყველანი ამ გამოქვეყნებამდის სცხოვრობდნენ აქ, და შემდეგ წავიდნენ რუსეთში, არც ერთ მათგანს საშუალება არ ექნება სამი თვის განმავლობაში გამოაცხადოს, რომ არ სურს ჩვენი მოქალაქეობა, და ამ კანონის მიხედვით, ყველა ისინი უნდა ვაღიაროთ ჩვენს მოქალაქეებად. ვინაიდან სამი თვის განმავლობაში იმათ ვერაფერი გამოაცხადეს, მთელი რიგი ასეთ შემთხვევით განვიღო პირებისა, რომელიც ჩვენს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ცხოვრობდა ჩვენ ტერიტორიაზე იქნებიან ჩვენგან გამოცხადებული საქართველოს მოქალაქეებად. თუ არის სადმე ანტიდემოკრატიული, გაუგებარი, უმიზნო, მიზანშეუწონელი პროექტი, არის ესერების პირველი მუხლი სუბიექტურ მოტივებით, ყოველგვარ ობიექტურ ნიშნების უარყოფით. მათ ალბათ ეგონათ, რომ ის, რაც დაწერეს, არის ნამდვილი ობიექტური ნიშანი: მაგრამ ეს არის ნიშანი იმდენად შემთხვევითი ხასიათისა, იმდენად ზოგადის ხასიათისა რომ არავითარ კონკრეტულ საშუალებას არ გვაძლევს, ნამდვილ მოქალაქეთა კონტიგენტი გამოვარკვიოთ.

კომისიის პროექტში კი ჩვენ გვაქვს პრინციპი ობიექტური, სწორი და მტკიცე. ეს ობიექტური პრინციპი არის ადმინისტრატიულ ერთეულზე მიწერა. ესე იგი ადამიანი, რომელსაც სურს გამოვაცხადოთ ჩვენს მოქალაქედ არა თუ გაუვლია შემთხვევით ჩვენს ტერიტორიაზე, არა თუ დროებით ცხოვრობდა, აქ სანამ სურდა, და როცა მოისურვა, წავიდა, აქედან არამედ ერთგვარად მიღებული გახდა კიდევაც ამ ტერიტორიაზე, აქაურ ადმინისტრატიულ ერთეულზე მიწერა, ეს იგი მაზრის, გუბერნიის, ან სოფლის საზოგადოებრივი მცხოვრები გახდა. ამით თავისი ნებისყოფა გამოხატა, ამით მან სთქვა, მე დღეს ვარ

მიჯატული იმ მიწა-წყალზე რომელსაც საქართველო ეწოდება. ცხადია როდესაც საქართველო, ბედს იცვლის, აცხადებს დამოუკიდებლობას და სხვა მისი მცხოვრებლებიც იზიარებენ მის ბედს.

აი, ეს პრინციპი გახლავთ მიღებული კომისიის მიერ. როდესაც ჩვენ 26 მაისს გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა, ამით გამოცხადდნენ დამოუკიდებლად ყველა ისინი, ვინც ამ ტერიტორიის უდავო მცხოვრებლები არიან. დანარჩენის შესახებ ჩვენ ცალკე მუხლები გვაქვს, და მაშინ მოგახსენებთ, როგორ გადავჭყრიტ იმათი ბედი, ვინც ასე უდავო მოქალაქეთ ვერ ჩაითვლება. ჩვენ რომ მიგველო პრინციპი, რომელიც აქ წამოაყენეს ესერებმა ე. ი. ვინც არ განაცხადებს უარს სამი თვის განმავლობაში, ყველა ის ჩავვეწერა საქართველოს მოქალაქედ, აქ დაირღვეოდა მეორე მთავარი პრინციპი — ის, რომ, სახელმწიფო თითონ კი არ იღებს მოქალაქეს, არამედ საქართველოს მოქალაქედ შემოდის ის, ვისაც ეს სურს. სახელმწიფო კი არა, არამედ უბრალო საზოგადოებაც, რომ ავიღოთ, რომელსაც თავის მიზნები აქვს და რაიმე საგანს ემსახურება, ისიც ყველა მსურველს არ მიიღებს. თქვენ გსურთ, რომ იყოთ ჩვენი წევრი, მაგრამ ეხლა ჩვენ გეკითხებით, გვსურს თუ არა, რომ თქვენ იყოთ ჩვენი საზოგადოების წევრი. მე მგონი ასე კითხვის დაყენება სავსებით სამართლიანია. თქვენ გსურთ ჩვენი მოქალაქეობა, მაგრამ ჩვენ კი არ გვსურს, რომ თქვენ იყოთ ჩვენი მოქალაქე. (ხმა: დღეს!) დღესაც ისე, როგორც მომავალში. მე ვამბობ ამიტომ, დამფუძნებელ კრების მოწვევამდის, მანამ, სანამ შესდგებოდა ნამდვილი კონტიგენტი მოქალაქეებისა ჩვენ შეგვეძლო გამოგვეცხადებინა მხოლოდ ისეთი კანონი, როგორიც არის 16 ივლისის დე-

ბულება. მაშინ არც დავა, არც ლაპარაკი არ შეიძლებოდა ამის წინააღმდეგ, მიუხედავად ამისა, იყვნენ ეს მოქალაქენი მომხრე თუ მოწინააღმდეგე იმ ნაბიჯისა, რომელიც ჩვენ გადავდგით, იქნებოდნენ ეს რეაქციონერები, თუ რევოლუციონერები, თუ ისინი, ვისაც თავის თავი რევოლუციონერები ეგონათ, რეაქციონერები კი იყვნენ. ყველა ის ხალხი, რომელთაც ამ ტერიტორიასთან ჰქონდა დაკავშირებული თავის ბედი, და ცხოვრობდა აქ, არ შეიძლებოდა არ გამოგვეცხადებია ჩვენ მოქალაქედ. და ისინი ჩვენ გამოვაცხადეთ უდავო მოქალაქეებად. შემდგომ კანონმდებლობას აქვს საქმე ამ უდავო მოქალაქეებთან. დამფუძნებელი კრება ამ პირველ მუხლის საფუძველზე შეიკრიბა, მართალია 109 სოციალ-დემოკრატი მოგვცა, ხოლო სოციალ-რევოლუციონერები ცოტა არ იყოს შეავიწროვა, მაგრამ ყველა ამისათვის ხომ ამ ძირითად კანონს ვერ გავაუქმებთ. ეს არის პირველი მუხლი ამოღებული 16 ივლისის დებულებიდან. ეს გახლავთ საფუძველი, რომელზედაც აშენდა ჩვენი დამფუძნებელი კრება — ეს სიმტკიცე ჩვენი დამოუკიდებლობისა.

მე ვამბობ, რომ როდესაც გამოდის ამ ტრიბუნაზე დეპუტატი და ამბობს ეს მუხლი ამოშლილი უნდა იყოსო — ეს ამბობს, მოვჭრათ ის საფუძველი, რომელზედაც ჩვენ ვზივართ. თუ კი საფუძველს მოშლით, რომელზედაც სახელმწიფო აშენებს მთელ ცხოვრებას, მაშინ ხომ უნდა გააუქმოთ თვით დამფუძნებელი კრება, თუ ლოლიკას დავიცავთ, და ახლად მოვიწვიოთ იგი ახალ ქვეშევრდომობის კანონის მიხედვით, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, არ გეცოდინებათ ვინ აგვირჩია, ჩვენმა მოქალაქეებმა თუ სხვისმა. თუ ეს კანონი გავაუქმეთ, ჩვენ ვამბობთ, სამმა თვემ უნდა განვლოს და მხოლოდ მაშინ გავი-



გებთ, ვართ ჩვენ მოქალაქენი თუ არა. მანამდე კი ჩვენ ეჭვის ქვეშ ვიქნებით და არ გვეცოდინება ვართ მოქალაქე თუ არა, გვაქვს უფლება დამფუძნებელ კრების წევრობისა თუ არა. რომ გავიგოთ, მოქალაქე ვართ საქართველოსი თუ არა, (ხმა: გობეჩია იტალიელია!) უნდა უცადოთ 3 თვე; იქნება ამ ხნის განმავლობაში ვინმემ განაცხადოს კიდევ რომ არ სურს აქ ცხოვრება, ან არ სურს გახდეს დამფუძნებელ კრების წევრი. ყველა ამ მოსაზრებით ამ მუხლის მიღება ყოველად შეუძლებელია.

აქ იყო სხვა საბუთი წამოყენებული: ეს კანონ-პროექტი თურმე არ არის სოციალისტური. მე აქ გამახსენდა შემდეგი დებულება: ყველა ის ვერ შევა სასუფეველში, ვინც იძახის „უფალო, უფალო“. ჩვენც ესე ვფიქრობთ, ყველა ის ვინც იძახის: „სოციალიზაცია, სოციალიზაციაო“, კიდევ არ არის ნამდვილი სოციალისტი (გობეჩია: თქვენ აძლევთ პატენტს?) მუდამ ამ სიტყვის გამოვრება მე მარწმუნებს წინააღმდეგში, მუდამ ამ ზოგად პრინციპების ერთი-მეორეზე წამოყენება და მისი კონკრეტიზაციის მოუხერხებლობა, მარწმუნებს შემდეგში: რომ ზოგიერთებმა ზოგადი პრინციპი ამოიკითხეს, მაგრამ მისი ცხოვრებასთან შეგუება და ცხოვრების ყოველ მოვლენისთვის გამოყენება ვერ მოახერხეს. სოციალიზმის მნიშვნელობა დღეს იმაში მდგომარეობს, რომ ეს პრინციპი ცხოვრების იმ კონკრეტულ მოვლენას შევუგუოთ, რომელიც წინ გვიდგას. ჩვენ, სოციალისტებმა უნდა გამოვიყენოთ ეს პრინციპი იმგვარად, რომ იგი გახდეს სასარგებლო იმ კლასისთვის, რომელიც უმთავრესი მატარებელია სოციალისტურ იდეის, ე. ი. მუშათა კლასისათვის, მშრომელ ელემენტებისათვის. ამ მხრივ თუ შევხედავთ იმ კლასს, რომელმაც მოგვცა ჩვენი და-

მოუკიდებლობა, უნდა რომ ჩვენ სწორედ ეს კანონი უნდა გამოგვეცა და არა ის, რომელზედაც აქ ესერები გვეუბნებიან. ამ კანონის საშუალებით ჩვენ გამოვაცალეთ სახელმწიფოს მთელი რიგი ისეთი ელემენტებისა, რომელიც ამ დემოკრატიას, ამ ხალხს უშლიდა ხელს თავის შემოქმედებით მუშაობაში. თუ ამ ფაქტს უარყოფს ვინმე, მაშინ ვიტყვი, რომ ეს დებულება ყალბად მიგვიღია, მაგრამ თუ ეს ფაქტი მართალია, თუ ეს სწორი, ისტორიული მოვლენაა, მაშინ ეს მუხლი ყოფილა რევოლუციური იმათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენ ნამუშევარს და ჩვენ ნამოღვაწევს დანგრევას უბირებდა. რევოლუცია ტრიბუნაზე ფრაზების თქმას კი არ შეიცავს, რევოლუცია იმაში გამოიხატება, რომ დემოკრატიის მტრებს ლახვრად მოხვდეს. და აი მე. ვამბობ, ამ კანონით ჩვენი დემოკრატიის მტრებს ძალიან გავუძნელეთ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა და მუშაობა. რაკი ეს ასე მოხდა, ცხადია ეს კანონი იყო სასარგებლო დემოკრატიისა და მაშასადამე თავის არსებითი მნიშვნელობით რევოლუციური. (ხმა: ნაციონალისტებისთვის!) ნაციონალისტებისთვისაც იყო სასარგებლო, იმიტომ რომ დემოკრატიულ წყობილების დროს უფრო მეტი თავისუფლება აქვს ყოველ ჩგუფს და მიმდინარეობას, ვინემ სხვა რომელიმე წყობილებაში. ცხადია, რომ დემოკრატიულ წყობილების დროს უფრო მეტი თავისუფლება აქვს ყოველ ჩგუფს და მიმდინარეობას, ვინემ სხვა რომელიმე წყობილებაში. ცხადია, რომ დემოკრატიის ფრთის ქვეშ ნაციონალისტები წინანდელზე უკეთ ცხოვრობენ, თუმცა წინააღმდეგი არიან მისი, მე მგონია, სოციალიზმის დროს კიდევ უფრო უკეთ იცხოვრებენ, როცა განხორციელდება მუშათა კლასის იდეალი, მაშინ ეს ნაციონალისტები თითონ კმაყო-

ფილებით იტყვიან. აი რა ბედნიერი ვართ მუშათა კლასის ხელში, მაგრამ ეს არ გვაძლევს საბუთს იმისას, რომ სოციალისტები ნაციონალისტებად გამოვაცხადოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ნაციონალისტები (ხმაურობა) სიამოვნებით შეუერთდნენ ამ მალალ საზოგადოებას. (გვაზავა: სამოთხე იქნება!) ვინ შემოუერთდებოდეს ამ კანონ-პროექტს ეს კი არ არის მნიშვნელოვანი. მთავარი არის ის, რაც გაკეთდება. რაც ობიექტურად მოყვება ამ კანონს. ხოლო ივანე გაიღიმებს, პეტრეს ეწყინება, თუ რა მოხდება, ეს ფამუსოვის პრინციპია და არა სოციალისტების. შემდეგ ისიც გვითხრეს, რომ ეს კანონ-პროექტი თურმე სოციალისტურ პრინციპის წინააღმდეგ ყოფილა, იმიტომ რომ სოციალისტებს არასოდეს არ უთქვამთ ეროვნულ სახელმწიფოს დაარსება კარგიაო. მე უნდა ხელახლად გავიმეორო, ის, რაც ერთი კვირის განმავლობაში შეედლო ჩემ წინ მოლაპარაკე ორატორს გამოერკვია, სახელდობრ, რომ ინტერნაციონალიზმი და სოციალიზმი ქადაგებს სწორედ ასეთ პრინციპს: „ერთი ერი, — ერთი სახელმწიფო“. ეს არის პრინციპი, მაგრამ რომ მათ უკუღმართად არ გაიგონ, ისე როგორც მათ გაიგეს ციტატები ჟორდანისას სიტყვებიდან, მე უნდა განვაცხადო, რომ ეს დებულება არ არის აბსოლუტური მცნება. ერთი ერი — ერთი სახელმწიფო, ყველა პირობებში, ყველა ერისთვის, შეიძლება არ გახდეს საუკეთესო, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ თუ თქვენ საჭიროდ და აუცილებლად დაინახავთ, რომ ერთი ერი გადაიქცეს ერთ სახელმწიფოდ, თქვენ სრული უფლება გაქვთ ეს იარაღად გამოიყენოთ მუშა ხალხის, მშრომელ ხალხის სასარგებლოდ, მათ გასაძლიერებლად. აი ეს პრინციპი, ასეთი შეზღუდვით მუდამ მიღებული იყო სოციალ-დემოკრატების მიერ. შეიძლე-

ბა ისტორიიდან დაგისახელოთ ერთი ფაქტი. 1903 წელს სამზღვარ გარედა გამოვიდა ერთი წიგნაკი „ქართველი ნაციონალისტები“, სადაც ეწერა, რომ ჩვენ შეგვიძლიან დამოუკიდებლობაც მივიღოთ ერისა. ეს იყო 1903-4 წელს. იმ დღიდან მოყოლებული დღემდე საქართველოს სოციალ-დემოკრატებს საერთოდ არასოდეს ასეთ პრინციპისთვის არ გადაუხვევიათ.

ერთი ერი — ერთი სახელმწიფო; რა არის ეს პრინციპი? ამ პრინციპზე არის აშენებული ერთი მუხლი ყველა სოციალ-დემოკრატების პროგრამისა, — ერთა თვითგამორკვევა; და ეს მართო სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში კი არ გახლავთ, არამედ ყოველ სოციალისტურ პროგრამაში არის, და როცა სოციალისტი პროგრამაში იცავს რაიმე მუხლს, უნდა იცოდეს ის ძირითადი პრინციპი, რომლიდანაც ეს მუხლი გამომდინარეობს. წინააღმდეგ შემთხვევაში უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება თითონ თავის პარტიის წინაშე. ჩვენ აქ გვითხრეს „ბაგაჟზე“, და მე უნდა განვმარტო, რომ არც მე მსურდა მომეტანა ჩემოდნები და მთელი ხროვა წიგნებისა, მე ვგულისხმობდი გონებრივ სიმდიდრეს, ცოდნას ან წიგნებით ან ცხოვრებაში შეძენილს, და არა წიგნებს და სხვა რაიმე ასეთ ნივთიერ საგნებს. და თუ ის ასე საოხუნჯოდ გამოიყენეს, რომ მე ვერ მოვიტანე წიგნებიო, ეს მხოლოდ თავის თავის გაოხუნჯება არის, და არა აზრისა, რომელიც აქ იყო წამოყენებული. ყველა ამ აზრების გამო, მჭ მგონი შემიძლია დავასკვნა შემდეგი, ის პირველი მუხლი, რომელიც წამოყენებულია პროექტში, არის ნამდვილი გამომხატველი, კონკრეტულად დღევანდელ პირობებში ჩამოყალიბებულ იმ ინტერესებისა, რომელიც უნდა დაიცვას ჩვენმა დემოკრატებმა. ის პრინციპი კი, რომელიც არის წამოყენებული ესერების მიერ.



შემოტანილი შესწორების სახით, არის სრულიად გამოუსადეგარი ჩვენი დემოკრატიისათვის, და როგორც ასეთი გამოიწვევს ჩვენში მხოლოდ უაზრობობას, არეგ-დარევს ჩვენს ცხოვრებას, და სწორედ ამ მოსაზრებით უნდა უარყოფილ იქნეს.

თავმჯდომარე. კამათი დასრულებული გახლავთ. კენჭს უყრი იმ შესწორებას, რომელიც შემოტანილია სოცრევ. მიერ. ვინ არის წინააღმდეგი? შესწორება უარყოფილია. საერთოდ უყრი კენჭს პირველ მუხლს. ვინ არის წინააღმდეგი პირველი მუხლისა? მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

მომხსენებელი. (კითხულობს მეორე მუხლს).

თავმჯდომარე. ამ მუხლში სოციალ-დემოკრატების ფრაქციას შემოაქვს ასეთი შესწორება, ამოიშალოს; (კითხულობს) „მაგრამ 1914 წ. ივნისი 19-დღე (ძველი სტილით) უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში განუწყვეტილ ცხოვრობდა საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე ამის მაგივრად ჩაიწეროს: „მაგრამ 1914 წ. იანვრის 1-დან განუწყვეტილ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე“.

ამ შესწორების შესახებ სიტყვა ეკუთვნის კრების წევრს გობეჩიას.

ივანე გობეჩია. (ს.-რ.) მეორე მუხლს კომისიის რედაქციით წინათ მხარს უჭერდნენ სოციალ-დემოკრატები საკონსტიტუციო კომისიაში, მაგრამ ეხლა შემოაქვთ შესწორება და საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრების ხანგრძლივობას მოქალაქეობის მოსაპოვებლად ამოაკლებენ ორი წლით, მოქალაქეობის მოსაპოვებლად ეხლაც დიდი სტაჟია დაწესებული — თითქმის ხუთნახევარი წელიწადი.

კანონ-პროექტის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე წაკითხვა რომ იყოს დაწესებული რეგლამენტის ძალით, მაშინ სოციალ-დემოკრატები, ალბათ,

სრულიად უარყოფენ ყოველგვარ სტაჟს მოქალაქეობის უფლების მოსაპოვებლად, რადგანაც მათი აზრი მოქალაქეობის საკითხში, როგორც ეს ეხლა გამოირკვა, განიცდის თანდათანობით ევოლუციას. ჩვენი ფრაქციის აზრით, როდესაც ახალი სახელმწიფო არსდება განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ყოველ პირს, რომელიც ცხოვრობს ამ უკანასკნელზე, უფლება უნდა ჰქონდეს თავის თავი ჩათვალოს ამ ახლად დაარსებულ სახელმწიფოს მოქალაქედ და სულ სხვანაირად უნდა დაისვას საკითხი მხოლოდ იმათ შესახებ, ვინც სახელმწიფოს დაარსების შემდეგ შემოიხიზნება სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამათ უნდა მოიპოვონ მოქალაქეობა ნატურალიზაციით და ამისათვის უნდა არსებობდეს ერთგვარი წესი. თითქმის ყველა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს ცხოვრობდა საქართველოში, იყო რუსეთის რესპუბლიკის მოქალაქე და თანაბრათ სარგებლობდა რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლებებით მიუხედავდ, იმისა, თუ რომელ ერს ეკუთვნოდა ესა თუ ის პირი. როდესაც საქართველოს, როგორც გასაზღვრულ ტერიტორიის დამოუკიდებლობა გამოცხადებულ იქნა, მაშინ ხელოვნურად საქართველოში მცხოვრებთა შორის უთანასწორობა გაჩნდა. ნაციონალისტური თვალსაზრისით ამის დასაბუთება შეიძლება. ნაციონალისტი ამბობს: მე ქართველი ვარ, საქართველოს ტერიტორია ჩემი მამაპაპის სისხლით არის მორწყული და ამიტომ სხვა ერთა შეილებს საქართველოს ტერიტორიაზე მივანიჭებ მოქალაქეობის უფლებას მაშინ, როდესაც ამას მე დავინახავ საჭიროდ და იმ სახით, რომლითაც ეს მე მსურს. მაგრამ ინტერნაციონალისტი ისე ვერ იმსჯელებს, მით უმეტეს სოციალისტი, და ამიტომ ჩვენი ფრაქცია წინააღმდეგია ამ შემთხვევაში ცხოვრების



ხანგრძლივობის ყოველგვარი სტაჟის დაწესებისა იმათთვის, ვინც დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს ცხოვრობდა საქართველოში.

მომხსენებელი რაჟდენ არსენიძე. მე თავიდანვე ვიცოდი, რომ ის ორატორები, რომელნიც აქ გამობრძანდნენ, ჩემს წინააღმდეგ, საგანზე არ ილაპარაკებდნენ, და მართლაც ასე ჩაიღინეს.

აქ ერთი პრინციპი არის აღიარებული ერთი კატეგორიის მოქალაქეებისთვის, ისინი კი სულ სხვებზე გველაპარაკებიან, რომლებზედაც ჩვენ გვაქვს სხვა მუხლში ლაპარაკი — სახელდობრ მუშებზე. და სხვა ასეთგვარ აქ დაბინავებულ ხალხზე. შეიძლება და ეხლავე არ გავგეცა ამაზე პასუხი, მაგრამ მაინც მინდა წავუკითხო და გავაგებინო მათ, რომ იმათთვის, ვინც მუშები არიან, გვაქვს სხვა წინადადება მესამე მუხლში. ამ მუხლში აირა სწერია (კითხულობს).

ცხადია, იმის თქმა, რომ მუშებს ორი წელიწადი აჩუქესო, თუ ორი წელიწადი აპატიესო, — ეს იყო სიტყვის მასალად მოტანილი, ანდა გავუგებრობით, ამაზე იმიტომ აღარ შევჩერდები.

ამ მუხლის შესახებ არსებითად არ მოგახსენებთ, თითქოს მეორე მუხლით იბღალბოდეს სხვა ერების უფლებები, თითქოს ამ მუხლით ვანიჭებდეთ რაღაცა უპირატესობას ქართველებს და ვართმევდეთ უპირატესობას სხვა ერის ხალხს. აქ სწერია: „ყოფილი რუსეთის ქვეშევრდომი“. ცხადია, აქედან შეიძლება ერთი დასკვნა გამოიტანოთ, იმ უცხოელებს, რომელნიც გერმანიის, ავსტრიის, ინგლისის და სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომები არიან, ეს მუხლი არ ეხებათ. მართლაც ეს მუხლი მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომებს ეხებათ: ყოველივე რუსეთის ქვეშევრდომს, ვინც კი იყო წინათ რუსეთში, იყო ის

რუსი, ქართველი, სომეხი. თუ მუხლს უღმანი, ეს ეხება ყველას განურჩევლად.

მაშასადამე ეს მუხლი არის ინტერნაციონალური, და თუ ვიხმარე ტერმინოლოგია გობეჩიასი ეს იქნება სოციალისტური, ვინაიდან ბრძანებს, რაკი ინტერნაციონალურია უეჭველად სოციალისტური არისო.

მე ვამბობ, ეს აუცილებლად ინტერნაციონალური გახლავთ სწორედ იმიტომ, რომ ყველა ნაციისთვის ერთი და იგივე მუხლი არის მიღებული (ხმაური). მაგრამ სწორედ იმიტომ არ გვინდა დავარქვათ სოციალისტური, რომ „ინტერნაციონალური“ ბევრი არა სოციალისტიც გვინახავს, ბევრი ბურჟუაც და რეაქციონერიც, — ინტერნაციონალური თუ რევოლუციონური ფრაზით. მე ვამბობ, რომ ეს მუხლი ინტერნაციონალურია იმიტომ, რომ იგი თანასწორად ეხება ყველა ერებს, ვისაც რაიმე კავშირი და დამოკიდებულება აქვს იმ სახელმწიფოსთან, რომელიც ჩვენ დავაარსეთ. ამიტომ ეს მუხლი თანასწორად აწესებს შეღავათს იმ პირთათვის, რომელნიც აქ ცხოვრობდნენ რამოდენიმე ხნის განმავლობაში მაინც, ესე იგი შემთხვევით კი არ არიან აქ, არამედ რამოდენიმე ხანი მაინც უცხოვრიათ ჩვენ ტერიტორიაზე, და ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ რამდენიმედ მაინც არიან დაინტერესებულნი, რამდენიმედ მაინც არიან დაკავშირებულნი ჩვენ ხალხთან განსაზღვრულ დროს. (ხმა: ვინ მოგვით ამის უფლება? ხმაურობა. ზარი).

თავმჯდომარე. ბატონებო, უმორჩილესად გთხოვთ კერძო ლაპარაკს თავი დაანებოთ, ყოვლად შეუძლებელია ესე კრების წარმოება. კეთილ ინებეთ, ნუ უშლით ორატორს!

რაჟდენ არსენიძე. აქ გვეკითხებიან, ვინ მოგვით უფლებაო? მე უნდა განვაცხადო, რომ დამფუძნებელი კრებ-

ის წევრისთვის ასეთი შეკითხვა სა-
მარცხვინოა! (ტაში).

ჩვენ ეს ნება მოგვცა ხალხმა. (ნე-
ლი ტაში) (კედია: უფრო გაბედულად
დაუქარით!).

ამიტომ ჩვენ ვკანონმდებლობთ იმ
ხალხის სახელით, რომელმაც გამოგვ-
წავნა და იმ პირებისთვის, რომელნიც
პირველ მუხლის ძალით არ მოხვდ-
ნენ ჩვენს ქვეშევრდომებათ, ჩვენ უნ-
და შევქმნათ ერთგვარი შედავათი იმ-
ისდა მიხედვით, თუ რამოდენად არ-
იან ისინი შეკავშირებულნი ჩვენ ქვე-
ყანასთან, და ამ შეკავშირების ნიშ-
ნად ჩვენ ავიღეთ მათი ხანგრძლივი
ცხოვრება ჩვენს ტერიტორიაზე.

კომისიის მიერ იყო მიღებული 1914
წ. 19 ივნისი და იმის წინ კიდევ 3 წ.
ცხოვრება ამ ტერიტორიაზე და ეს
იმ მოსაზრებით, რომ შესაძლებელია
მრავალ მათგანს ომში გაწვევის გამო
დაეტოვებინათ ეს ტერიტორია, და ეს
იძულებითი წასვლა ამ ტერიტორიი-
დან ნაკლად გვინდა ჩავუთვალოთ და
ამ იძულებითი წასვლის გამო არ უნ-
და წავგვერთმია მათთვის მოქალაქეთა
მიღების უფლება. და სწორედ ამი-
ტომ შევიტანეთ, რომ 3 წელიწადი
ვინც ცხოვრობდა ჩვენში, იმათ მიე-
ცეთ უფლება მოქალაქეობა მოითხო-
ვონ და დაუყოვნებლივ მიიღონ კი-
დეც-თქო. რასაკვირველია, რომ დიდ
ომიანობას არ ჰქონოდა ამ ჩვენ და-
მოუკიდებლობის გამოცხადებამდინ ად-
გილი, ჩვენ მაშინ ვიტყოდით, ვინც
აქ სამი წელიწადი სცხოვრობდა საქ-
ართველოს დამოუკიდებლობის გამო-
ცხადების დღემდე. მაგრამ ჩვენ ვამ-
ბობთ, რომ აუარებელი პირები, რო-
მელსაც კავშირი აქვს ჩვენს ხალხთან,
არ იყო აქ ომის გამო; ის წასული
იყო სხვაგან სადმე შორეულ ფრონტ-
ზე 1914 წლიდან, და სამი წლის წი-
ნად კი უეჭველად იყო. აქ, ვინაიდან
სხვა რაიმე მოსაზრება აქედან არ მო-
ითხოვდა მის წასვლას. ეს ერთი.

მეორეც, ომი იყო და ომის განმავ-
ლობაში აქ იყო შემთხვევით ომის
გამო ჩამოსული აუარებელი ხალხი,
რომელთაც არ უნდოდათ საქართვე-
ლოში ცხოვრება. ცხდია ასეთ ხალხს
რომ მივადგეთ და შევთავაზოთ ჩვენი
მოქალაქეობის უფლება. ეს ჩვენ სა-
ხელმწიფოებრიობას არც ღირსებას
შეჰმატებს და არც სარგებლობას მო-
უტანს. ამიტომ მივიღეთ ჩვენ პირველი
სამი მუხლი და არ გაყვეით იმ ცა-
რიელ ფრაზეოლოგიას, რომელიც ამ-
ბობს, რომ ვისაც სურს, ის უნდა მი-
იღოს.

აქ კიდევ ჩვენ გვეუბნებიან, თქვენ
როგორ ბედავთ ამ მუხლის მიღებას,
როდესაც ზოგიერთი არა ქართველი
რეაქციონერი ქუჩაში დადის და ზოგ-
იერთი ქართველი რევოლუციონერი
კი ციხეში ზისო. მე უნდა განვაცხა-
დო, რომ ამას არავითარი კავშირი,
არავითარი დამოკიდებულება არა აქვს
მოქალაქეობასთან. ცხადია, ვინც ცი-
ხეში სხედან რაიმე დანაშაულობის
გამო სხედან და ვინც რაიმე დანაშა-
ულობას ჩაიდენს, იგი უეჭველად ცი-
ხეში მოხვდება; ისიც, ვინც რევოლუ-
ციონერს უწოდებს თავის თავს ციხე-
ში მოხვდება, თუ დანაშაული ჩაიდი-
ნა. აქ მოქალაქეობა ვერ იხსნის მას
ვერც ციხიდან, ვერც სხვა სასჯელი-
საგან, სწორედ ამიტომ მე მგონია,
რომ საბუთი აქ მოსატანი არ არის.
დემოკრატიულ რესპუბლიკაში არ იჭ-
ერენ ქუჩაში ამა თუ იმ კაცს იმისათ-
ვის, რომ მას რეაქციონერი ჰქვიან,
და არა რევოლუციონერი ან სოცია-
ლისტი. რომ არ იჭერენ ეს არ ჩაით-
ვლება ბოროტებად დემოკრატიულ
რესპუბლიკისთვის, ვინაიდან ჩვენში
არსებობს თავისუფლება პიროვნედი-
სა, და ამას ვაზორციელებთ. პირიქით,
რომ ვთქვათ, რატომ იჭერთ მოქალა-
ქესო, ეს კიდევ გასაგები იქნებოდა?
მაგრამ იმის თქმა, რომ მოქალაქეს
ზოგს იჭერთ და ზოგი ისე დადიანო.

ეს რაღაც გაუგებრობაა. რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვს ჩვენს გასაბჭოებ საგანთან.

სწორედ ამიტომ ვამბობ. უნდა ილაპარაკოთ მუხლის გამო, და არა სხვა საგანზე, რომელიც სრულიად არ შეეხება ამ მუხლს. ესეც გვითხრეს, თქვენ ალბათ შეზღუდვა იმიტომ შეიტანეთ ამ მუხლში, რომ ვილაციის გეშინიათო. ჩვენ, რომ გვეშინოდეს გავიქცეოდით. ჩვენ კი არ გვეშინია, ჩვენ ვიბრძვით, და რადგან ვიბრძვით, ამისთვის ვქმნით ისეთ კანონს, რომელიც ბრძოლაში გამოგვადგება. თქვენ კი გგონიათ, რომ როცა კანონი დაწერილია და კანონის ცხოვრებაში გატარებით ვაწარმოებთ ბრძოლას — ეს შიში არისო. თუ კანონით ბრძოლა შიშია, მაშინ, ხელი უნდა ავიღოთ კანონმდებლობაზე, ვინაიდან შიში შეფერის თქვენისთანა რევოლუციონერს!

თავმჯდომარე. კენჭს უყრი იმ შესწორებას, რომელიც შემოტანილია სოც.-დემ. ფრაქციის მიერ და რომელიც უკვე მოგხსენდათ. ვინ არის წინააღმდეგი? შესწორება მიღებულია. ვინ არის წინააღმდეგი მეორე მუხლის შესწორების? მეორე მუხლი მიღებულია. შემდეგი.

მომხსენებელი. (კითხულობს მეორე მუხლს).

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მესამე მუხლი მიღებულია.

მომხსენებელი. (კითხულობს მე-4 მუხლს).

თავმჯდომარე. ამ მუხლში გახლავთ შემოტანილი ორი შესწორება. ერთი სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციისა, (კითხულობს). „ამ მუხლის ძალით მიღებული დადგენილება მომრიგებელმა მოსამართლემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სათანადო პროკურორს. უკანასკნელს უფლება ეძლევა დღიდან ასლის მიღებისა ორი კვირის ვა-

დაში გაასაჩივროს ასეთი დადგენილება“.

მეორე ესერების ფრაქციისა. (კითხულობს): „პირველ მუხლში აღნიშნული განცხადება წარედგინება ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეს, რომელიც აღნიშნავს საქართველოს მოქალაქეობაზე უარის მთქმელთა განსაკუთრებულ წიგნში“.

ეს ორი შესწორება გახლავთ შემოტანილი. მომხსენებლის დასკვნა.

მომხსენებელი რაჟდენ არსენიძე. ესერების შესწორება მიუღებელია უკვე იმიტომ, რომ მათი პირველი მუხლი, რომელსაც ის ეკუთვნის, უარყოფილია. ამიტომ თავისთავად ცხადია, ეს შესწორება უარყოფილი უნდა იყოს, უნდა მოიხსნას, იმიტომ რომ უაზრობას შეიტანს კანონში და ეს დამფუძნებელ კრების ღირსებას არ შეეფერება.

არის მეორე შესწორება, რომელიც სოციალ-დემოკრატიის ფრაქციის სახელით არის შემოტანილი. ეს შესწორება შეიცავს ერთგვარ გარანტიას იმისას, რომ მოსამართლე არ იყოს უკონტროლო, რომ მას ჰქონდეს კონტროლი სახელმწიფოსი, თუნდაც პროკურორის სახით. მე პირადად ამის წინააღმდეგი არაფერი არ მექნება, თუმცა ეს მიღებული არ იყო კომისიაში, კომისიის აზრით მოსამართლეს საკმარის გარანტიას წარმოადგენს სახელმწიფოს ინტერესებისთვის.

თავმჯდომარე. კენჭს უყრი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესწორებას. ვინ არის წინააღმდეგი? შესწორება სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციისა მიღებულია. ვინ არის წინააღმდეგი სოც.-რევ. ფრაქციის წინააღმდეგის? ვინ არის მომხრე? (სოც.-რევოლიუტ.) სოციალ-რევოლუციონერების შესწორება უარყოფილია.

მე-4 მუხლი შესწორებით მიღებულია.

მომხსენებელი. (კითხულობს მე-6 მუხლს).

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მეხუთე მუხლი მიღებულია.

მომხსენებელი (კითხულობს მე-6 მუხლს).

თავმჯდომარე. ამ მუხლის ლიტერატურაში სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას შემოაქვს ასეთი ცვლილება (კითხულობს): **ლიტ. ა.** შეიცვალოს შემდეგი რედაქციით. „შვილი საქართველოს მოქალაქისა, დაბადებული საქართველოს ტერიტორიაზე, ან მის გარეთ“.

მომხსენებლის დასკვნა.

მომხსენებელი არსენიძე. ეს სარედაქციო ხასიათის შესწორება არის. იგი აზრს არსებითად არ სცვლის, ამიტომ წინააღმდეგი არ ვართ.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი შესწორების? შესწორება მიღებულია. ვინ არის წინააღმდეგი მუხლის შესწორებით? მუხლი მიღებულია. შემდეგი.

მომხსენებელი (კითხულობს მე-7 მუხლს).

თავმჯდომარე. არის შესწორება სოციალ-რევოლუციონერებისა, პირველი გახლავთ ასეთი (კითხულობს): ამოიშალოს პირველ შენიშვნიდან სიტყვები: „თავისი მეცნიერული შრომით, სამხედრო დახმარებით, საზოგადოებრივ მოღვაწეობით თუ სხვა მხრივ“.

მეორე შესწორება არის აგრეთვე ამოიშალოს სრულიად შენიშვნა მე-2-ე „აგრეთვე ვადის მოუთხოვნელად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქეთ ყოველი უცხო ქვეშევრდომი ქართველი“.

მომხსენებელი არსენიძე. პირველი შენიშვნიდან ამოიშალოს (კითხულობს) „თავისი მეცნიერული შრომით, სამხედრო დახმარებით, საზოგადოებრივ მოღვაწეობით თუ სხვა მხრივ.“

მე ზედმეტად მიმაჩნია ამის ამოშ-

ლა და აი რატომ: აქ არის ერთი შენიშვნი მიღებული, „თვალსაჩინო ღვაწლი“. მხოლოდ რაში გამოიხატება ეს ზოგადი მცნება, გამოურკვეველია. ასეთ პირობებში კანონმდებელი მიმართავს ხოლმე რამზღენიშე მაგალითის ჩამოთვლას, რომლითაც აღნიშნავს მიმართულებას კანონმდებლის აზრისა. აქაც კანონმდებელი აღნიშნავს, როგორ მდგომარეობას ეწოდება თვალსაჩინო ღვაწლი. აი მაგალითად აღნიშნულია მეცნიერული სამხედრო ან სხვა რამ ამისდაგვარი საზოგადოებრივი სარგებლობა, ეს არის დიდი ღვაწლი მთელი ხალხისთვის, მთელი ერთეულისთვის და არა ის, რაც რომელიმე კერძო პირს, პარტიის წევრს მიაჩნია დიდ ღვაწლად, მაგრამ არსებითად კი არ შეადგენს ღვაწლს. იმისთვის, რომ თვალსაჩინო არ იყოს განხილული ყოველივე პირის, ინდივიდის პირადი შეხედულების მიხედვით, არის ჩამოთვლილი ზოგიერთი დიდი ღვაწლი, რომელთან შედარებით ჩვენ შეგვიძლია სხვა ღვაწლიც დავაფასოთ. აი ამ აზრით არის ჩამოთვლილი აქ მაგალითები და კომისიის აზრით ეს უნდა დარჩეს.

რაც შეეხება მეორე შენიშვნის ამოშლას, მე ეს სრულიად მიუღებლად მიმაჩნია და აი რატომ: ამ შენიშვნით შეღავათი ეძლევა უცხო ქვეშევრდომ ქართველს. ამ შესწორების ავტორნი წინააღმდეგნი არიან რომ ამას ნაციონალიზმად თვლით და სხვა, მაგრამ არაფერი ასეთი აქ არ გახლავთ. ნაციონალიზმი არის, როდესაც თავის ხალხის სასარგებლოდ სხვა ერს რამე ზიანს მოუტან. ჩვენ რომ გვსურდეს საქართველოს და ქართველების სარგებლობის მოსატანად, ზიანი მივსცეთ სხვა ერს, სხვა ერი დავჩაგრეთ, დავიმორჩილოთ, რამე ხარჯები, ბეგარები გადავახდევინოთ და სხვა — ეს იქნებოდა ნაციონალიზმი, ზოოლოგიური ნაციონალიზმი, კაცი-ჰამიობა. ხოლო

ჩვენ რომ ჩვენ ტერიტორიაზე ყოველი ქართველი იოლად და ადვილად მივიღოთ და გამოვაცხადოთ ქართველ მოქალაქეთ, ამით მე მგონია არც ერთის ინტერესებს არ ვზღაღავთ, არც ერთ ერს ჩვენ არ ვზაგრაავთ. პირიქით, ჩვენ ამით ხელს შევუწყობთ, რომ მოხდეს კონსოლიდაცია ერებისა, რომ ერის გაფანტვას ხელი შევუშალოთ, რადგან ამით ერი ადვილად იზაგრება. ამ შენიშვნის მიღებით ჩვენ ხელს შევუწყობთ მხოლოდ ეროვნულ ჩაგვრის შემცირებას და შესუსტებას. ამიტომ ის მიღებული უნდა იქნეს.

კანონი მოქალაქეობისა*

I

1. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქედ ჩაითვლება ყოველი მკვიდრი, რომელიც მიწერილი იყო რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსავე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-მდე (ძვ. სტ.)

2. ყოფილ რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი, რომელიც პირველ მუხლში აღნიშნულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, მაგრამ 1914 წლის იანვრის 1-დან განუწყვეტლივ სცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე და სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა, მიღებულ იქნება საქართველოს მოქალაქედ მე-4 მუხლში აღნიშნული წესით.

3. მე-4 მუხლში აღნიშნულ წესითვე მიღებულ იქნება საქართველოს

* კანონის ტექსტი მოგვაწოდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მომზადებისა და გამოცემის რედაქციის გამგემ ელისო გურგენიძემ (რედ.).

მოქალაქედ ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი, იც აკმაყოფილებს შემდეგ სამ პირობას: ა) აქვს რაიმე უძრავი ქონება საქართველოს რესპუბლიკაში, ან თავის საქირაო შრომით იჩენს თავს; ბ) არა ნაკლებ სამი წლისა სცხოვრობს განუწყვეტლივ საქართველოს ტერიტორიაზე, და გ) სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის მიღებისა განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა.

4. მე-2 და მე-3 მუხლში აღნიშნული განცხადება წარედგინება ადგილობრივ მომრიგებელ-მოსამართლეს, რომელიც მისცემს მოთხოვნელს მოქალაქეობის მოწმობას, უკეთუ იგი სათანადო პირობებს აკმაყოფილებს.

ამ მუხლის ძალით მიღებული დადგენილება მომრიგებელმა მოსამართლემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სათანადო პროკურორს. უკანასკნელს უფლება აქვს ასლის მიღების დღიდან ორი კვირის ვადაში განასაჩივროს ასეთი დადგენილება.

5. ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი ქართველი ჩარიცხულ იქნება საქართველოს მოქალაქედ ზემოაღნიშნულ (1, 2, 3 მუხ.) პირობის გარეშე, უკეთუ ის სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა განუცხადებს ამის სურვილს: საქართველოში მცხოვრები — ადგილობრივ მომრიგებელ-მოსამართლეს, ხოლო უცხო სახელმწიფოში მცხოვრები — მახლობელ კონსულს. ეს უკანასკნელი ვალდებული არიან მისცენ მოთხოვნელს საქართველოს მოქალაქეობის მოწმობა.

6. საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება აგრეთვე:

ა) შვილი საქართველოს მოქალაქისა, დაბადებული საქართველოს ტერიტორიაზე, ან მის გარედ;

ბ) ქორწინების გარეშე შობილი საქართველოს მოქალაქე დედისაგან;

გ) ცოლი ან ქვრივი საქართველოს მოქალაქისა;

დ) კანონიერის წესით შვილად აყვანილი საქართველოს მოქალაქისაგან;

ე) უცხოეთში გათხოვილი საქართველოს მოქალაქე ქალი რომელიც დაქვრივების ან განქორწინების შემდეგ განაცხადებს საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილს; ხოლო უწლოვანო შვილი ასეთი ქვრივისა ან განქორწინებულისა, უკეთუ ერთი წლის განმავლობაში დასრულწლოვანების შემდეგ არ განაცხადებს მამის მოქალაქეობაში დარჩენის სურვილს;

ვ) უცხოელთა უწლოვანი შვილი, ქორწინებაში თუ მის გარეშე შობილი, იმ დღიდან, როცა მისი მშობლები მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას;

ზ) შვილი საქართველოს იმ მოქალაქე ქალისა, რომელიც უცხოელს მისთხოვდება, მაგრამ მუდმივად სცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, უკეთუ ერთი წლის განმავლობაში დასრულწლოვანების შემდეგ არ განაცხადებს, რომ სურს მამის მოქალაქეობა შეინარჩუნოს, და

ც) ვინც ნატურალიზაციით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

7. ნატურალიზაციით მოქალაქეობის მოპოვებისათვის შუამდგომლობის აღძვრა შეუძლიან უცხო ქვეშევრდომს ან უქვეშევრდომს, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ სცხოვრობს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. შუამდგომლობა უნდა წარედგინოს ადგილობრივ თვითმართველობის საბჭოს, რომელიც ერთი წლის შემდეგ დღიდან შუამდგომლობის აღძვრისა განიხილავს მის თხოვნას და მიანიჭებს მთხოვნელს მოქალაქეობას, უკეთუ მას სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მავნე პირად არ მიიჩნევს. თხოვნის შეტანიდან განხილვამდე მთხოვნელი აუცილებლად საქართველოში უნდა ბინადრობდეს.

შენიშვნა 1. ყოველი უცხო ქვეშევრდომი, რომელსაც რაიმე თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკის წინაშე თავისი სამეცნიერო შრომით, სამხედრო დახმარებით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით თუ სხვა მხრივ, შეიძლება ამ ვადის მოუთხოვნელადაც იქნეს მიღებული საქართველოს მოქალაქედ.

შენიშვნა 2. ვადის მოუთხოვნელად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ აგრეთვე ყოველი უცხო ქვეშევრდომი ქართველი.

8. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლიან იყოს იმავე დროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქედ.

9. საქართველოს რესპუბლიკაში მხოლოდ მისი მოქალაქე არის აღკურვითი პოლიტიკური უფლებით.

10. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობას ჰგარგავს:

ა) ვინც უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომობას მიიღებს ნატურალიზაციის წესით;

ბ) ვინც უცხო სახელმწიფოს სამხედრო ან სამოქალაქო თანამდებობას მიიღებს საქართველოს მთავრობის ნებადაურთველად;

გ) ვინც უცხო ქვეშევრდომს მისთხოვდება და არ განაცხადებს საქართველოს მოქალაქედ დარჩენის სურვილს.

III

11. 1918 წლის ივლისის 16-ს დებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა (კან. და მთავრ. განკ. კრებული“, 1918 წ., კან. მე-20) გაუქმებულია.

1919 წ. მაისის 27.

დედანს ხელს აწერენ

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი **აღ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ყორღანი.**



ბიოგრაფიული მონაცემები

თინათინ წერეთელი

- თავი ბიოგრაფია

ცხოვრების გზა

თინათინ წერეთელი 1903 წლის 7 აგვისტოს (ძვ.ს. 25 ივლისს) დაიბადა სოფ. ცხრუკეთში (ჭიათურის რაიონი). თინათინის დაბადების შემდეგ ვასილ წერეთლის ოჯახი 1904 წელს გადმოსახლდა ქუთაისში და აქ ბინადრობდა 1926 წლამდე. ცხოვრობდნენ ქალაქის იმ ნაწილში, რომელიც რიონის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, სახელდობრ, ეგრეთწოდებული ხაზინის შესახვევში, ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის ახლოს. ვასილი ამ გიმნაზიაში ჰიგიენას ასწავლიდა სულ მალე თ. წერეთელი სასწავლებლად ქალთა გიმნაზიაში შეიყვანეს. გიმნაზიაში იგი ყოველმხრივ გამორჩეული მოწაფე იყო. ჩვენი სასიქადულო მწერლის დავით კლდიაშვილის და ქეთევან კლდიაშვილი ასე იგონებს თ. წერეთლის ცხოვრების ამ პერიოდს: „მუდამ წიგნებში ჩაფლული, გაკვეთილებზეც მერხის ქვეშ ამოდებულ წიგნს ჩასცქეროდა. მასწავლებლის გამოძახების დროს ჩვენი ერთი სიტყვის კარნახი საკმარისი

იყო, რომ მიმხვდარიყო, თუ რაზე იყო გამახვილებული მასწავლებლის შეკითხვა. თიკო ბრწყინვალედ უბასუხებდა, ისე რომ ვერც კი იგრძნობდა მასწავლებელი თუ მოწაფე სხვა რამეთი იყო გატაცებული. გონიერი გონა ასწრებდა დასვენებაზე თამაშსაც და სხვა გართობასაც. პატარები ვიყავით, როდესაც თეატრში იმართებოდა საბავშვო წარმოდგენები, დამდგმელი იყო დავით კლდიაშვილი. ბავშვები წარმოდგენდნენ სხვადასხვა ყვავილებს. თიკო, იებით შემკული, ლექსით გამოდიოდა“.

წიგნისა და ცოდნისადმი დიდ მიდრეკილებას, რაც ბავშვობიდანვე ახასიათებდა თ. წერეთელს, ასევე ადასტურებს მისი მეორე გიმნაზიის დროინდელი მეგობარი თამარ შარაშიძე — ჯაფარიძე: „თიკო კითხულობდა ძალიან ბევრს გიმნაზიაშიც, სახლშიც. სულ მიკვირდა, როდისღა ამზადებდა გაკვეთილებს. როგორც ჩანს, თავისი ზოგადი განათლებით, საკითხავ მასალაში რაღაც არაბავშვური სიღინჩით და სიღრმით წვდომის უნარით, დაკვირვებით საგნებსა და მოვლენებზე, თანდათან ყალიბდებოდა არა სტანდარტული და ჩვეულებრივი გიმნაზიელი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. 1990, № 1, 2.

მოწაფის სტერეოტიპი, არამედ მთლიანი პიროვნება და მოაზროვნე ადამიანი. გიმნაზიელი ამხანაგები ყველაფერ ამას შეიძლება ბავშვობისა და გამოუცდელი გამო ბოლომდე ვერ ვიზიარებდით, მაგრამ ქვეცნობიერად ყოველთვის ვგრძნობდით და უდიდეს პატივს ვცემდით თიკო წერეთლის დიდ შინაგან ძალას, რამაც შემდგომ წლებში სხვადასხვა გამოხატულების ფორმები მიიღო. ყველა ესწრაფოდა თიკოს საზოგადოებას. მასთან ყოფნა ტაქტის, თანაგრძნობის, სიყვარულის ატმოსფეროში ყოფნას ნიშნავდა“. ამ სიტყვების სისწორეში თავადაც დავერწმუნდით, როდესაც თ. წერეთლის გიმნაზიის დროინდელ ჩანაწერებს გავეცანით. გარდა საკუთარი ესეებისა მას თურმე ჩვევად ჰქონია გამოჩენილი რუსი (განსაკუთრებით ი. ტურგენევის) თუ უცხოელ მწერალთა ნაწარმოების თარგმნა. აშკარად იგრძნობა პოეზიისადმი დიდი სიყვარული, მაგალითად, ბალმონტის, გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილისა და სხვ. როგორც ელენე წერეთელმა გვიამბო, თ. წერეთელს გიმნაზიაში სწავლისას... ტანვარჯიშსაც კი ასწავლიდა ცხრაწლედში. ტანვარჯიშს იგი „შევარდენის“ ერთ-ერთ ფუძემდებლის დავით ჯავახიშვილის წყალობით დაუფლებია.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თ. წერეთელი 1922 წელს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება. თავდაპირველად მას განზრახული ჰქონდა ფსიქოლოგიური განათლება მიეღო, მაგრამ მალე გადაწყვიტავს სამართლის მეცნიერებას დაეუფლოს. ამის მიზეზი პროფ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ღრმად შთამბეჭდავი ლექციები აღმოჩნდა.

როდესაც თ. წერეთელს დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა, გამოვაქვეყნე წერილი მისი ცხოვრებისა

და შემოქმედების შესახებ. წერილის მომზადებისას მას ასეთი კითხვები მივმართე: რატომ შეარჩიეთ სამეცნიერო ასპარეზად სამართლის დარგი? მან ასე მიპასუხა: ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართულების განსაზღვრაში გადამწყვეტი როლი ლუარსაბ ანდრონიკაშვილს მიუძღვისო. ამ ლაკონიურ პასუხში ნათლად ჩანდა უდიდესი პატივისცემა და მოკრძალებადი ლუარსაბ ანდრონიკაშვილისადმი. ერთგულება და ღრმა პატივისცემა მასწავლებლისადმი თ. წერეთელმა მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში მრავალჯერ გამოავლინა და საქმით დაადასტურა. ასეთი დამოკიდებულების ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს მისი მონოგრაფია: „ლუარსაბ ანდრონიკაშვილი-რევოლუციონერთა და პროგრესულ მოღვაწეთა დამცველი“. ეს ნაშრომი მან 1976 წელს გამოაქვეყნა. სიკვდილის წინ თ. წერეთელმა ერთადერთი თხოვნით მიმართა თავის მეუღლეს, ასევე ლ. ანდრონიკაშვილის სანაქებო მოწაფეს ვ. მაყაშვილს რუსულ ენაზე გამოექვეყნებინა ნაშრომი თავიანთი მასწავლებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ეს თხოვნა, რომელიც ვ. მაყაშვილის შინაგან სურვილსაც გამოხატავდა, მან პირნათლად შეასრულა.

ლ. ანდრონიკაშვილი (1872-1939 წწ.) რევოლუციამდელი რუსეთის ადვოკატურის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო. მან პეტერბურგის ადვოკატურის სინდისის სახელი დაიმსახურა. ლ. ანდრონიკაშვილი იცავდა შეიარაღებული აჯანყებებისა და დემონსტრაციის მონაწილეებს, რევოლუციური ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და წევრებს, რევოლუციურ ტერორისტებს, პროგრესული პრესის მუშაკებს, თ. წერეთლის მონოგ-

რაფიაში გაშუქებულია ის მთავარი სასამართლო პროცესები, რომლებზედაც დამცველად ლ. ანდრონიკაშვილი გამოდიოდა და რომლებსაც გვერდს ვერ აუვლის ისტორიკოსი 1905-1907 წლების რევოლუციის შესწავლისას.

აკადემიკოსი ილია ვეკუა 1976 წლის 1 აპრილს თ. წერეთელს ამ ნაშრომის გამო სწერდა: „დიდი ხანია მე ამისთანა ცოცხლად და საინტერესოდ დაწერილი წიგნი მეცნიერზე და საზოგადო მოღვაწეზე არ შემხვედრია. წიგნი სულმოუთქმელად იკითხება: უეჭველია, მას ბევრი მკითხველი ეყოლება. სასურველია ის რუსულ ენაზე გამოიცეს“. ასევე მალალი შეფასება მისცა ხსენებულ ნაწარმოებს აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ. მან 1976 წლის 17 სექტემბერს თ. წერეთელს ასეთი ბარათი გამოუგზავნა: „ამ წიგნის წაკითხვამ განსაკუთრებული სიამოვნება მომგვარა. ბ-ნი ლუარსაბი არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, რომელიც ყველას ხიბლავდა, ვინც მას ჰხვდებოდა და იცნობდა“. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილმა შეწყვიტა საადვოკატო მოღვაწეობა.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისთანავე იურიდიული ფაკულტეტის გახსნა მის მესვეურთა მეტად საჭირობო საკმედ იქცა. ივანე ჯავახიშვილი მთელ იმედებს ლ. ანდრონიკაშვილის ჩამოსვლას უკავშირებდა. 1920 წლის 15 დეკემბერს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საბჭომ გადაწყვიტა სამოქალაქო კათედრის დოცენტის თანამდებობაზე მოეწვიათ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და თანაც მისთვის პროფესორის სარგო გამოყო. ეს შუამდგომლობა დაამტკიცა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ.

ლ. ანდრონიკაშვილის მოკლე ბიოგრაფიაში Curriculum Vitae შედ-

გენილი უნივერსიტეტის რექტორის ივ. ჯავახიშვილის ხელით, ნათქვამია: „ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი კახელია, სოფ. ოყიოელი, დაიბადა 1872 წელს. საშუალო განათლება ტფილისის პირველ გიმნაზიაში მიღო. უმაღლესი — პეტერბურგში და გერმანიაში, სადაც ორი წლის განმავლობაში სწავლობდა გამოჩენილ მეცნიერებთან ვინდელბანდთან, კუნო ფიშერთან, ლაბანდთან და სხვებთან. საგანგებოდ მუშაობდა ფილოსოფიაში და იურისპრუდენციაში. შემდეგშიაც, თუმცა ვეჭილობას შეუდგა. მაგრამ არც ფილოსოფიისა და არც თეორიული იურისპრუდენციისათვის თავი არ დაუწებებია და რუსეთში გაითქვა სახელი, როგორც განათლებულმა თეორეტიკოსმა და კანონების ინტერპრეტატორმა. მისი განმარტებანი სენატის პრაქტიკაშიც იყო მიღებული. ამიტომ იგი სენატორად დაინიშნა. რადგან ჩვენ არც ერთი თეორეტიკოსი-ცივილისტი არა გვყავს, ეს საგანი კი აუცილებლად საჭიროა ჩვენი დარგისათვის, ამიტომ სასურველი იყო მისი ცოდნისა და ნიჭის გამოყენება ჩვენი უნივერსიტეტისათვის“¹.

ლ. ანდრონიკაშვილი მისთვის ჩვეული ენთუზიაზმითა და ტემპერამენტით შეუდგა თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ორგანიზაციას. პირველ ხანებში ლ. ანდრონიკაშვილს თვითონვე მიყავდა ძირითადი კურსები — სამართლის თეორია, სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, სამოქალაქო სამართლის პროცესი.

ლ. ანდრონიკაშვილმა ერთბაშად მოიპოვა აღიარება, როგორც შესანიშნავმა ლექტორმა. მის ლექციებს დიდის გულისყურით ისმენდნენ სულ სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები და ხშირად გარეშე პირებიც. რით იყო

¹ იხ. სერგო ჭობენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, 1984, გვ. 297.

პირობადებული ასეთი საყოველთაო ინტერესი?

რასაკვირველია, ამ კითხვაზე დასაბუთებული პასუხის გაცემა შეუძლია იმას, ვისაც უშუალოდ მოუსმენია ლ. ანდრონიკაშვილის ლექციები. ამიტომ მათი უშუალო მსმენელების — თ. წერეთლისა და ვ. მაყაშვილის დაკვირვებებსა და შთაბეჭდილებებს დავემყარებით.

უპირველეს ყოვლისა, ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვის ძალა მისი აზრის სიღრმეში, ორიგინალობასა და მკაცრი ლოგიკური მსჯელობის უნარში გამოიხატებოდა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ლ. ანდრონიკაშვილი აზრის ლოგიკურ განვითარებას. აზრის სიღრმეს, სინათლეს და ლოგიკურობას ავსებდა ლ. ანდრონიკაშვილის იშვიათი ერუდიცია. მას ღრმად ქონდა შესწავლილი არა მარტო სამართლის ფილოსოფია, სამართლის ყველა დარგი, არამედ აგრეთვე ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ზოგადი ისტორია, რელიგიის ისტორია, ლიტერატურა და ხელოვნება რაკი სიტყვა ლიტერატურასა და ხელოვნებაზე ჩამოვარდა, მინდა ერთი მეტად დამახასიათებელი მოგონება გადმოვცე რომელიც აკადემიკოს ალ. ბარამიძეს ეკუთვნის: „1934 წელს ნინოობას ესწრებოდა ჩვენი კარის მეზობელი და ელიაშვილების ოჯახის (იგულისხმება ექიმისა და საზოგადო მოღვაწის ალ. ბარამიძის სიმამრის ივანე ელიაშვილის ოჯახი — გ. ტ.) დიდი მეგობარი სახელგანთქმული იურისტი, პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. გრიშაშვილის სადღეგრძელო რომ დაილია, ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა წარმოთქვა სიტყვა... ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვა შინაარსითაც და ფორმითაც იყო ბრწყინ-

ვალე მისთვის დამახასიათებელი ორატორული მქვერმეტყველებით, მგზნებარებით, ლაღად და თავისუფლად, არტისტიული ენებებით, სახის გამომეტყველი მოძრაობითა და ანთებული თვალებით ლ. ანდრონიკაშვილი ლაბარაკობდა პოეზიის ლეტაებრივ მაღლზე და ამ მადლით მირონცხებულ ი. გრიშაშვილზე, რომლის საუცხოო ექსპრომტი ლექსად ეს-ეს არის არაჩვეულებრივი გრანციით წაიკითხა მისმა ავტორმაო. ლ. ანდრონიკაშვილმა ხაზი გაუსვა მსოფლიო პოეზიის იმ მარად ძველი და ახალი, ოღონდ მაინც დაუძლეველი და ამომწურავი გრძნობის სიცხოველეს, რომელსაც სიყვარული ეწოდება. ამ გრძნობის სწორუპოვარი ტრუბადურია იოსებ გრიშაშვილიო, დაასრულა სიტყვა ანდრონიკაშვილმა. ჩვენ ყველანი კარგა ხანს მონუსხულივით შეეცქეროდით მას და გაოგნებისაგან თავი ვერ დაგვეღწია. ერთბაშად ი. გრიშაშვილი მოწყდა ადგილიდან, მიიჭრა ორატორთან და მხურვალედ გადაკოცნა... შემდეგ, წლების მანძილზე, ბევრჯერ მთხოვდა გრიშაშვილი აღმედგინა მეხსიერებაში და წერილობით გადმომეცა ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვის შინაარსი. ვერ შევძელი იმიტომ რომ ანდრონიკაშვილის სიტყვა იყო უწინარეს ყოვლისა ორატორული ხელოვნების სრულქმნილი ნიმუში. მე ვიტყვოდი — ორატორული სიმფონია. ჩვენ მოგვხიბლა ამ სიმფონიის სიტყვიერი ფორმის უზადობამ, შინაარსს უკვე ყურადღებას აღარ ვაქცევდით, თუმცა სიტყვის ძირითადი იდეა სრულიად ნათლად და მკაფიოდ იყო გამოხატული“.²

ამის შემდეგ უკვე სავსებით ნათელი უნდა იყოს, თუ რატომ გადაწყვიტა თ. წერეთელმა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქულტეტზე შესვლა.

² ალექსანდრე ბარამიძე, ახლო წარსულიდან (მოგონებანი), თბილისი. „მეცნიერება“, 1988, გვ. 289-290.

ლ. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით თ. წერეთელი სტუდენტობის წლებშივე დიდ სიბეჭითეს იჩენდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მეცნიერების დაუფლებისათვის ამასთან, ლ. ანდრონიკაშვილი თავის მოწაფეებისაგან მოითხოვდა ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ცოდნას, რადგანაც მიაჩნდა, რომ უამისოდ სამართლებრივი პრობლემების ღრმა შესწავლა შეუძლებელია.

თ. წერეთელი და ვ. მაყაშვილი არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ იმით, რასაც ლექტორი დაასახელებდა აუცილებელ ლიტერატურად. ისინი ღრმად სწავლობდნენ ძირითად კურსებსა და სახელმძღვანელოებს, მონოგრაფიებსა და მნიშვნელოვან სტატიებს. მაგალითად, სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში გამოცდების ჩასაბარებლად თ. წერეთელსა და ვ. მაყაშვილს შეუსწავლიათ ტაგანცევის ლექციები (ორ ტომად), სერგვესკისა და ლისტის სახელმძღვანელოები და პიონტოვსკის სახელმძღვანელო. სისხლის სამართლის პროცესის მომზადებისას მათ შეუდგენიათ ყველა ძირითად პრობლემაზე ერთიანი კონსპექტები. ამ კონსპექტს საფუძვლად დაედებია ფონიციკის ორი ტომი, სლუჩევსკისა და როზინის ვრცელი სახელმძღვანელოები, ლიუბლიანსკის მონოგრაფია ინგლისის მტკიცებითი სამართლის შესახებ, ვლადიმეროვის ნაშრომი მტკიცებულებათა შესახებ, პოლიანსკის ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესში და ა. შ. როდესაც გასცნობია ამ ერთიან კონსპექტს, რომელშიც შესწავლილი საგნის პრობლემატიკა და შესაბამისი საკითხები იყო გაშუქებული, ლ. ანდრონიკაშვილს გადაუწყვეტია არ გამოეცადა ისინი. მაგრამ ორივეს დაუჩემებია, რომ გამოცდა უსათუოდ შემდგარიყო. მისწრაფება საგნების ფუნდამენტური შესწავლისა იმდენად დიდი იყო, რომ

სამოქალაქო სამართლის კერძო ნაწილი მათ ნაწილ-ნაწილ ჩააბარეს და კი შესაძლებელს ხდიდა გაცილებით უფრო ღრმად აეთვისებინათ საგანი.

საერთოდ კი თბილისის უნივერსიტეტში სტუდენტობის წლები თ. წერეთელმა მეტად ნაყოფიერად გამოიყენა. იგი გულმოდგინედ მუშაობდა, გულისყურით ისმენდა ივ. ჭავჭავაძის, დ. უზნაძის, შ. ნუცუბიძის, ფ. გოგიჩაიშვილის, გრ. წერეთლისა და სხვა გამოჩენილ ქართველ სწავლულთა ლექციებს. საბოლოოდ მან სოლიდური სამართლებრივ-ფილოსოფიური განათლება მიიღო.

უნივერსიტეტში სწავლისას თ. წერეთლის მეგობარი, ცხოვრების ერთგული თანამგზავრი და ხშირად თანამოღვაწეც ხდება შემდგომში ცნობილი სწავლული კრიმინალისტი ვლადიმერ მაყაშვილი.

თბილისის უნივერსიტეტი თ. წერეთელმა 1926 წელს დაამთავრა. მცირე ხანს იგი დამცველთა კოლეგიის წევრად, შემდეგ კი საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის არბიტრაჟის რეფერენტად, ხოლო 1934 წლიდან 1937 წლამდე კი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს იურისკონსულტად მუშაობდა.

1933 წელს პროფ. გ. ნანეიშვილის ინიციატივით თ. წერეთელი ასისტენტად მიიწვიეს თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრაზე. ამით თ. წერეთელს შესაძლებლობა მიეცა ფართოდ გამოეყენებინა მეცნიერულსა და პედაგოგიურ საქმიანობაში სათანადო პრაქტიკული გამოცდილებით გამდიდრებული სამართლის სხვადასხვა დარგის ღრმა ცოდნა. 1937 წელს სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგეობა მიანდეს ლ. ანდრონიკაშვილს. ლ. ანდრონიკაშვილმა სთხოვა თ. წერეთელს წაეკითხა ვეებერთელა სამასსაათიანი კურსი სამოქა-

ლაქო სამართალში. მან უარი ვერ უთხრა მასწავლებელს, თუმცა ერთობ შეაშფოთა ურთულესი ამოცანის სიმძიმემ და სირთულემ. მაგრამ გაბედულად შეუდგა მოვალეობის შესრულებას. თ. წერეთელმა დაიწყო ინტენსიური, დაძაბული მუშაობა სამოქალაქო სამართლის კურსის წასაკითხად. დგებოდა დილის 6 საათზე და მთელი დღე დაძაბული მუშაობდა. მაღალი მოვალეობის შესრულებისათვის იგი თავს არ ზოგავდა. სამოქალაქო სამართლის კურსს თ. წერეთელი 1945 წლამდე კითხულობდა.

იმავდროულად 1934 წლიდან თ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის მაღალი ტიპის სემინარში. ეს სემინარი ლ. ანდრონიკაშვილმა დაარსა.

მეთოდური თვალსაზრისით ამ სემინარის მუშაობა მეტად თავისებური იყო: აქ იხილავდნენ კლასიკურ კაზუსებს — ნ. სერგეევსკის მიერ შედგენილი კაზუსების კრებულის მიხედვით და აგრეთვე რთულ შემთხვევებს საბჭოთა სასამართლო პრაქტიკიდან. განსახილველად მოჰქონდათ დამახასიათებელი სასამართლო საქმეები არქივიდან. მათი შერჩევა ხდებოდა წამყვან პრაქტიკოს მუშაკებთან კონსულტაციის საფუძველზე.

ლ. ანდრონიკაშვილმა შეიმუშავა კაზუსების განხილვის მისეული მეთოდიკა. თავდაპირველად კაზუსს იგი შესავალ ლექციაში ახასიათებდა. დაფაზე ხაზავდა მისი განხილვის სქემას, თან ახდენდა ილუსტრაციას ცხოვრებისეული მაგალითებით. სასამართლო საქმეთა განხილვაში სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. მათ შორის ხდებოდა როლების განაწილება. სემინარს ერთი მონაწილე საქმის შინაარსს მოახსენებდა, თანაც თავს იკავებდა ანალიზისა და შეფასებისაგან, ხოლო დანარჩენი ორი ბრალმდებლის როლ-

ში გამოდიოდა, ორი კი დამცველისა. ამოცანა ის იყო, რომ სტუდენტები ღრმად ჩასწვდომოდნენ განსახილველი საკითხის არსს, ამისათვის, რასაკვირველია, წინასწარი მომზადება იყო საჭირო.

სემინარისათვის ყველა გულდასმით ემზადებოდა. საანალიზოდ შერჩეულ კაზუსს ან სასამართლო საქმეს სწავლობდნენ აისტენტები მატერიალური სისხლის სამართლის, პროცესისა და კრიმინალისტიკის თვალსაზრისით. ამასთან ცდილობდნენ დაედგინათ განსახილველი თეორიული საკითხების წრე, რომლებიც შეიძლებოდა წარმოშობილიყო კაზუსის ან სასამართლო საქმის განხილვისას. ამის შემდეგ შეიკრიბებოდნენ ლ. ანდრონიკაშვილთან და დეტალურად განიხილავდნენ შესწავლილ მასალას. ამით ისახებოდა სასემინარო მეცადინეობის შინაარსი და მიმართულება. იმავდროულად ასისტენტები ამზადებდნენ იმ სტუდენტებს, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ კაზუსის განხილვაში. მათ განუმარტავდნენ, თუ რა მომენტებზე უნდა გაემახვილებიათ ყურადღება, საქმის შინაარსის გადმოცემისას, როგორ უნდა აეგოთ საბრალდებო და დაცვითი სიტყვა, მათი სტრუქტურა და სხვა.

სემინარის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენდა ხელმძღვანელის ან ასისტენტის დასკვნა იმ საკითხებზე, რომლებიც წარმოიშობოდა კონკრეტული მასალის განხილვისას. პრობლემის მეცნიერული დახასიათება ფართო იყო. აქ შეუქდებოდა ყველა ძირითადი კონცეფცია, რომელსაც ემხრობოდა ცალკეული მეცნიერი, სხვადასხვა კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტის ვარიანტები. დასკვნაში ნათლად უნდა ყოფილიყო ნაჩვენები თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთზემოქმედება. ნებისმიერი კონკრეტული მასალის განხილვისას აქცენტი კე-

ოდებოდა თეორიისა და პრაქტიკის მოთხოვნებზე, იმაზე, თუ რა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა შესაბამის დებულებას, არც ვევდნენ რომელს უნდა მისცემოდა უპირატესობა ანდა ხომ არ იყო შესაძლებელი მისი დამოუკიდებელი, არგუმენტირებული გადაწყვეტა. ასეთი დასკვნა უეჭველად შეიცავდა მეცნიერული კვლევის ელემენტებს. ამის გამო ასისტენტებისათვის სემინარი წარმოადგენდა მეცნიერული პრაქტიკის გამომუშავების ნამდვილ სკოლას. საკმარისია ითქვას, რომ ინტერესი სისხლის სამართლის ისეთი ფუნდამენტური პრობლემისადმი, როგორცაა მიზეზობრივი კავშირი, თ. წერეთელს აღეძრა მაშინ, როდესაც განხილული კაზუსების საფუძველზე მას მოუხდა ამ პრობლემაზე დასკვნის გაკეთება.

თ. წერეთელმა საკანდიდატო დისერტაციის თემად ასეთი პრობლემა შეარჩია: „ობიექტური მომენტის მნიშვნელობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის“. როდესაც ამ ნაშრომზე მუშაობა დაასრულა, თ. წერეთელმა იგი გააცნო მოსკოვის უნივერსიტეტის ცნობილ პროფესორს მ. ისაევს. 1943 წლის 12 ოქტომბერს პროფ. მ. ისაევი დეპეშას უგზავნის თ. წერეთელს: „თქვენი ნაშრომი ძვირფასი მეცნიერული გამოკვლევაა, რომელიც საკანდიდატო დისერტაციისადმი წაყენებულ მოთხოვნებზე მაღლა დგას. დაწვრილებით მოგწერთ“. 1943 წლის 13 ოქტომბერს პროფ. მ. ისაევი თ. წერეთელს წერს: „თქვენ მე მომანიჭეთ უდიდესი სულიერი სიამოვნება. როგორც კი მივიღე თქვენი დისერტაცია, მე ყველაფერი გვერდზე გადავდევე და დაუყოვნებლივ მის კითხვას შევუდექი. თქვენი ნაშრომის გულდასმით შესწავლის შედეგს წარმოადგენდა ჩემს მიერ დღეს გამოგზავნილი დეპეშა. ვიმედოვნებ მან მოაღწია თქვენამდე. თქვენი ნაშ-

რომი ჭეშმარიტად ძვირფასი მეცნიერული გამოკვლევაა. თქვენ გვევლინებით როგორც დასრულებული ოსტატი. რამ მიმიზიდა მე უპირველეს ყოვლისა? ეს არის მყარი ფილოსოფიური ფუნდამენტი, რომელზეც თქვენ დგებხართ. ფილოსოფიური მომზადება თქვენ დაგებხართ გადაგეწყვიტათ რიგი პრინციპული საკითხი: მიზეზობრივი კავშირის შესახებ, საშიშროების შესახებ და ა. შ. ტრაინინი თქვენ სავსებით დამსახურებულად გააკრიტიკეთ. თქვენს მიერ შერჩეული თემა უაღრესად საინტერესოა, თქვენ დააყენეთ მეტად საინტერესო პრობლემა ობიექტური მომენტის მნიშვნელობის შესახებ და არა მარტო დააყენეთ, არამედ მნიშვნელოვანწილად გადაწყვიტეთ ეს პრობლემა. ობიექტური მომენტის თვალსაზრისით ისეთი საკითხების ანალიზი, როგორცაა მომზადება, მცდელობა, თანამონაწილეობა და სხვა, ჩვენ გვაიძულებს ახლებურად შევხედოთ ამ პრობლემებს. თქვენ მშვენივრად იყენებთ არა მარტო თანამედროვე, არამედ რევოლუციამდელ ლიტერატურას. თქვენ გაანალიზეთ და გააკეთეთ განმაზოგადებელი დასკვნები საბჭოთა ლიტერატურიდან, თვით მცირე საქურნალო სტატიებიდანაც კი. გერმანული ლიტერატურა საკმარისზე მეტია. ჩემს ხელში გაიარა ბევრმა საკანდიდატო დისერტაციამ, მაგრამ არცერთი არაა ისეთი, რომ თქვენი დისერტაციისათვის შემედარებინა. მაგრამ რატომ მივმართე შედარებებს, თქვენი ნაშრომი კარგია თავისთავად, აბსოლუტურად და არა შედარებით. თუ საჭირო იქნება, მე დიდის სიამოვნებით მოგცემთ ოფიციალურ დასკვნას“ მეორე წერილში, რომელიც პროფ. მ. ისაევმა 1944 წლის 18 დეკემბერს გამოუგზავნა თ. წერეთელს, ნათქვამია: „თქვენ დააყენეთ უაღრესად საინტერესო პრობლემა. რუსულ ლიტერატურაში

არ არის ასეთი საინტერესო ნაშრომი. რომელიც ასე სრულად ასახავდა ობიექტური მომენტის მნიშვნელობას სინხლის სამართალში. კითხულობ და არ იცი, რაში არ შეიძლება თქვენ არ დაგეთანხმოთ, ისეა ყველაფერი ასე დამაჯერებელი და ყველაფერი ასე დასაბუთებული. ყველას ვუსურვებდი დაეწერა ასეთი სადოქტორო დისერტაცია“. კიდევ ერთი წერილი პროფ. მ. ისაევისა გამოგზავნილია 1944 წლის 1 ივლისს: „ჯერჯერობით თქვენ ერთადერთი ქალი მეცნიერი-კრიმინალისტი ხართ. მე თქვენ, თინათინ ვასილის ასულო, არავითარ კომპლიმენტს არ გეუბნებით, მაგრამ გადაჭრით ვაცხადებ, რომ თქვენი სახით მე მთელი 40-წლიანი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე პირველად ვხვდები ქალ-კრიმინალისტს, რომელიც ჭეშმარიტ მეცნიერს წარმოადგენს“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, რომელიც 1944 წლის 15 თებერვალს გაიმართა, თ. წერეთელმა მართლაც წარმატებით დაიცვა ხსენებულ თემაზე საკანდიდატო, დისერტაცია. ოფიციალური ოპონენტები იყვნენ: პროფ. ა. ვაჩიშვილი, პროფ. ირ. სურგულაძე, პროფ. ირ. სურგულაძის რეცენზიაში ნათქვამი იყო: „ყველა ზემოთ მითითებული თვისებების გამო შრომა ძალიან შორს იტოვებს საკანდიდატო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ შრომებს და მთლიანად დგას იმ სიმაღლეზე, რომელიც დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად კარგად შესრულებულ გამოკვლევას უნდა ახასიათებდეს.“

სულ მალე დგება საკითხი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სადოქტორო ასპირანტურაში მივიღინების შესახებ. 1944 წლის 7

სექტემბერს პროფ. მ. ისაევი მოსკოვიდან იწერებოდა: „თქვენს საქმიან აკადემიის სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა პროფ. ა. ტრაინინი. მან მეტად შეაქო თქვენი საკანდიდატო დისერტაცია და სადოქტორო დისერტაციის გეგმა. გეგმა მოიწონეს და თქვენ მიღებული ხართ დასწრებული სადოქტორო ასპირანტურის კანდიდატად, ვამბობ კანდიდატად. რადგან ფორმალურად დოქტორანტებს ამტიციებს აკადემიის პრეზიდიუმში. საბჭოზე გამოვიდნენ ნ. ღურმანოვი და ბ. მანკოვსკი და ყველა ძალიან დადებითად ახასიათებდა თქვენს ნაშრომს. ერთი სიტყვით, ჩემი თეორია იმის შესახებ, რომ „თქვენ პირველი ქალი-კრიმინალისტი — ნამდვილი მეცნიერი ხართ“ — გადაიქცა *Kommunis opinio* დოქტორად, რაც დადასტურა ჩემთან საუბარში მანკოვსკიმ“.

თ. წერეთლის თანხმობა, წასულიყო დოქტორანტურაში, მისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. ერთობ დაძაბულმა და ინტენსიურმა მუშაობამ ძლიერ გამოფიტა ფიზიკურად და იგი საავადმყოფოში მოათავსეს. დიაგნოზი: მწვავე დისტროფია. როდესაც თ. წერეთელი ინახულა ცნობილმა ქართველმა თერაპევტმა ნ. ყიფშიძემ, მან ლაკონურად მიუთითა — შექარი, კარაქი, სხვა მკურნალობა საჭირო არ იყო. გარდა ამისა, ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, ჭირდა, ისევე გრძელდებოდა სასურსათო კრიზისი. თ. წერეთელს თბილი ტანსაცმელი არ ჰქონდა, ამიტომ მოსკოვში წასვლა ერთობ საშიში იყო. ახლა იქ ბინის შოვნა, ვლადიმერ მაყაშვილის მძიმე ავადმყოფობა, მცირე ხელფასი. ასეთი უაღრესად არახელსაყრელი პირობების მიუხედავად თ. წერეთელმა მაინც გადაწყვიტა დოქტორანტურაში წასვლა. ამან მომავალში ბევრად შეუწყო ხელი იურიდიული მეცნი-

ერების განვითარებას საქართველოში.

1945 წელს თ. წერეთელი უკვე მოსკოვშია. მოსკოვში ყოფნისას თ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის შემოქმედებით (ცხოვრებაში იყო რამდენიმე დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი, წაიკითხა მოხსენებები ისეთ პრობლემებზე, როგორცაა მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი, უმოქმედობა, მონაწილეობდა ბრალის პრობლემისადმი მიძღვნილ დისკუსიაში და სხვ. იმავდროულად თ. წერეთელი თავაუღებლად მუშაობდა სადოქტორო დისერტაციაზე.

1949 წელს თ. წერეთელმა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“. დაცვა, რომელიც სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში გაიმართა, მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარდა. ოფიციალურ ოპონენტებად გამოვიდნენ ცნობილი საბჭოთა მეცნიერები: პროფ. მ. ისაევ, პროფ. ა. ტრაინინი, დოც. ტ. სერგეევა. საბჭომ ერთხმად მიანიჭა თ. წერეთელს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

მოვიტან მხოლოდ რამდენიმე ამონაწერს ოფიციალური ოპონენტების რეცენზიებიდან.

პროფ. მ. ისაევი: „სადისერტაციოდ ავტორის მიერ შერჩეული თემა ერთერთი ყველაზე რთული და ყველაზე ძნელი თემაა საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში. საკმაო გამბედაობა იყო საჭირო იმისათვის, რომ შედგომოდა მის დამუშავებას. როდესაც სამი წლის წინათ ავტორმა დაიწყო თემის დამუშავება, საბჭოთა იურიდი-

ულ ლიტერატურაში არსებობდა მხოლოდ ერთი სტატია მიზეზობრივი კავშირის შესახებ (პროფ. ლურმანოვისა). აუცილებელი იყო საფუძვლიანი ჩაღრმავება მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებაში, დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი პრობლემების საფუძვლიანი შესწავლა. რათა ზელი მოეკიდა მარქსისტული თეორიის თვალსაზრისით მიზეზობრივ კავშირთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისათვის“, „მიზეზობრივი კავშირის პრობლემას ავტორი განიხილავს არა იზოლირებულად, არამედ მის ყველა კავშირისა და გაუშუალობაში“. „ავტორმა ჩაატარა ვეებერთელა კრიტიკული სამუშაო, მაგრამ ამით იგი არ შემოფარგლულა. ავტორმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით დაესაბუთებინა მიზეზობრივი კავშირის მარქსისტული თეორია სისხლის სამართალში“, „ყოველგვარ ეჭვსგარეშეა, დისერტაციის გამოქვეყნება დადებით შემოქმედებას მოახდენს საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიის დამუშავებაზე და არა მარტო სისხლის სამართლის; ჩვენთვის ყოველგვარ ეჭვსგარეშეა აუცილებლობა იმისა რომ საბჭოთა ცივილიზატებმა გამოიყენონ ჩვენი ავტორის ნაშრომი სამოქალაქო სამართალში მიზეზობრივი კავშირის საკითხის დამუშავებისას“. „ამხ. წერეთლის ნაშრომში ძირითადია მიზეზობრივი კავშირის თეორიის დამოუკიდებელი გააზრებული კონსტრუქცია. ჩვენ ეს თეორია სრულიად დასაბუთებულად მიგვაჩნია“.

პროფ. ა. ტრაინინი: „პირველი, ერთადერთია საბჭოთა კრიმინალისტებიდან, რომელმაც იკისრა ვეებერთელა და საპასუხისმგებლო შრომა — მოგვცეს სისხლის სამართალში მიზე-

ზობრიობის მთელი პრობლემის მარქსისტულ-ლენინური გადაწყვეტა“.
დოც. ტ. სერგეევა: „როგორც წესი, როდესაც აკრიტიკებს ბურჟუაზიულ თეორიებს, დისერტანტი ადგენს მათ ისტორიულ და ფილოსოფიურ ფესვებს, გვაჩვენებს მათ პრაქტიკულ მნიშვნელობასა და პოლიტიკურ მიზანდასახულობას,“ „დისერტაციაში ნათლადაა გამოხატული ავტორის მისწრაფება ააგოს მოძღვრება მიზეზობრივი კავშირის შესახებ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძველზე, დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის საფუძველზე“.

ეს იყო კავშირის მასშტაბით, იურისტი ქალის პირველი სადოქტორო დისერტაცია საბჭოთა სისხლის სამართალში. აქ ურიგო არ იქნება, თუ ისტორიასაც გადავხედავთ.

ეკატერინე ფლეიშიცმა სორბონის უნივერსიტეტში იურიდიული განათლება მიიღო და რევოლუციამდელ რუსეთში დაბრუნდა იმის მტკიცე იმედით, რომ ადვოკატობა დაეწყო. საამისოდ მას მოუხდა მტკიცება სპეციალურ კომისიაში. მაგრამ პირველსავე სასამართლო პროცესზე, როდესაც განსასჯელთა წინ ადგილი ქალმა დაიკავა, მოსამართლემ უარი განაცხადა სხდომის წარმართვაზე. სახელდახელოდ მოწვეული თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა კერძო განჩინება, რომ ასეთი მდგომარეობა არ ეწინააღმდეგება კანონს. მაშინ პროკურორმა დატოვა დარბაზი. არც ისე მცირე მამაცობა იყო საჭირო, რომ ამის მიუხედავად გამარჯვებისათვის მიგელწია ასეთ მელოდრამატულ ისტორიაში. სხვათაშორის ე. ფლეიციშის ადვოკატობას, როგორც სენსაციურ ამბავს, რევოლუციამდელ რუსეთში მრავალრიცხოვანი იურიდიული ლიტერატურა, პუბლიცისტური წერილები

და ასე განსაჯეთ, სატირული სტატიებიც კი მიეძღვნა.

ე. ფლეიშიცი პირველი დოქტორი ქალი იყო სამოქალაქო სამართალში, ამავე დარგში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ზემელეევამ. სამართლის თეორიაში პირველი დოქტორი ქალი იყო კარევა. სისხლის სამართალში კი, როგორც ვთქვით, ქალთაგან პირველი დოქტორი თინათინ წერეთელი გახდა.

1948 წელს თ. წერეთელი თბილისის უნივერსიტეტში დაბრუნდა და 1969 წლამდე იურიდიული ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტებს უკითხავად საბჭოთა სისხლის სამართლის სპეცკურსს — მოძღვრება დანაშაულზე. 1950 წლიდან 1952 წლამდე იგი იურიდიული ფაკულტეტის დეკანი იყო. 1957 წლიდან თ. წერეთელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის ხელმძღვანელია.

იურიდიული მეცნიერების განყოფილებისა და მეცნიერული კადრების მომზადებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის თ. წერეთელს 1960 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1967 წლის 16 დეკემბერს თ. წერეთელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩია.

დაუცხრომელი სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად თ. წერეთელი დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. იგი ცხრაჯერ აირჩიეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დეპუტატად, იყო ამ საბჭოს აღმასკომის წევრიც. წლების განმავლობაში ასრულებდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის შტატ-

გარეშე წევრის მოვალეობას. ნიადაგ მონაწილეობდა საკანონმდებლო აქტების შედგენაში, თ. წერეთელი იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა რესპუბლიკური კომისიის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, უმაღლესი სასამართლოს მსაჯულთა სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი. ამასთან თ. წერეთელი რამდენიმე ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო („მაცნე“, „საბჭოთა სამართალი“, „საქართველოს ქალი“, „პრაგოვედენიე“).

თ. წერეთლის თავდადებული შრომა და კანონისადმი უანგარო სამსახური ღირსეულად დაფასდა — იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, აგრეთვე მედლებით.

თ. წერეთელი გარდაიცვალა 1980 წლის 8 ივნისს. ნეკროლოგში, რომელ-

საც ხელს აწერდნენ გამოჩენილი მეცნიერები, მოწაფეები, ნათქვამი იყო:

„თ. ვ. წერეთლის ნათელი სახე, მეცნიერის შთაგონებული და ღრმა სიტყვა, ზნეობრივი სისპეტაკე, უსაზღვრო კეთილმოსურნეობა და ურყევი პრინციპულობა მუდამ ეხსომებათ მის მეგობრებს, თანამშრომლებს და მოწაფეებს, ყველას, ვინც მას იცნობდა“.

პროფ. თ. წერეთლის დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ვ. ფრანგიშივლმა, პროფ. თ. შავგულიძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფ. ს. ჯორბენაძემ და ამ სტრიქონების ავტორმა.

თ. წერეთელი დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. იქვე განისვენებს მისი მეუღლე ვლადიმერ მაყაშვილი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

«სახელმციპო და სამარტალი» («Государство и право») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 145/54.

შპსი 60 კპპ.

0600360 76185

